ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 მაისი **სამშაბათი** 2011
№ 119 (13416) ფასი 60 თეთრი

## ქეცბაიამ იცის: სპლიტში მაგრად უნდა დავდგეთ, კარი უნდა გავამაგროთ



თემურ ქიქავა




2

გუშინ ეროვნულმა ნაკრებმა „ბასაზე“ ხორვატიის ნაკრებთან მატჩისთვის მზადება დაიწყო

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო



ლევან მჭედლიძე

## ხორვატიისთვის ახალგაზრდებიც ემზადებიან

3

### მონატრებული მჭედლიძე და ვიტესელი ჭანტურია უკვე თბილისში არიან



გიორგი ჭანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი



# ნაკრების სახლი უკვე დალაგდა

## სახორვატიო მზადება: ჯერ მხოლოდ ცხრა-ცხრაზე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 3 ივნისს ხორვატიასთან გასამართავი მატჩისთვის მზადება გუშინ დაიწყო. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ლეგიონერთა ის ნაწილი, რომელსაც კლუბებში ოფიციალური შეხვედრები აქვს ჩასატარებელი, შეკრებას მოგვიანებით შეუერთდებოდა. ასე რომ, გასაკვირი არ ყოფილა, გუშინდელ ვარჯიშში მონაწილეობა მხოლოდ 19-მა ფეხბურთელმა რომ მიიღო.

**გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, არდალიონ მიქაბერიძე, გურამ კაშია, უჩა ლობჟანიძე, კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი რეხვიაშვილი, დავით კვირკველია, თორნიკე გორგიაშვილი, ჯაბა კანკავა, მურთაზ დაუშვილი, ირაკლი მაისურაძე, სანდრო გურული, ჯაბა ლიპარტია, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი ადამია, ნიკოლოზ გელაშვილი, ირაკლი მოდებაძე – თემურ ქეცბაიას** განკარგულებაში გუშინ ეს მოთამაშეები იყვნენ.

ნაკრების საწვრთნელ ბაზა „ბასას" რეკონსტრუქცია რამდენიმე თვის წინ ჩაუტარდა და შენობა საფუძვლიანად გარემონტდა. ქეცბაიას გუნდი მაშინ ხორვატიასთან თბილისური დაპირისპირებისთვის ემზადებოდა და იმისთვის, რომ "ბასაზე" ახალდაგებული გაზონი არ დაეზიანებინათ, ნაკრების წევრებმა ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშეს.

ახლა კი, საბედნიეროდ, ქეცბაიას გუნდს უკვე აქვს იმის ფუფუნება, რომ სადაც ცხოვრობს, საწვრთნელი პროცესიც იქვე წარმართოს - ბაზის გაზონი იდეალური მდგომარეობაშია. დასრულებულია გვერდით მდებარე ხელოვნურსაფრიანი მოედნის მშენებლობაც, რომელიც ნაკრებს უამინდობისას გამოადგება. „ბასას" კარი საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრებისთვისაც ღია იქნება.

გუშინდელი ვარჯიში კი მსუბუქი იყო, დაახლოებით ერთ საათს გასტანა და გახურების შემდეგ დროის უმეტესი ნაწილი ორმხრივ თამაშს დაეთმო. თამაში ნახევარ მოედანზე, 9X9-ზე გაიმართა, ფეხბურთელებს ბოლომდე მინდვრის ნახევარიც კი არ გამოუყენებიათ – პირითი ხაზის ფუნქციას დამატებით გავლებული წყვეტილი ხაზები ასრულებდა.

ორმხრივი თამაშისას გუნდების შემადგენლობების განხილვას დიდი აზრი არ ჰქონდა, რადგან ახალწვეულები ორივე მხარეს მოხვდნენ და ძნელი წარმოსადგენია, ქეცბაიას რომელიმე გუნდში ოპტიმალური შემადგენლობა ჩაეფიქრებინა – მით უფრო, რომ ნაკრების რამდენიმე ლიდერი თუ ძირითადის სტაბილური წევრი გუნდს ჯერაც არ შეერთებია.

**ნუკრი რევიშვილი, კახა კალაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, ლაშა სალუქვაძე, აკაკი ხუბუტია, ზურაბ ხიზანიშვილი, გია გრიგალავა, გოჩა ხოჯავა, ჯანო ანანიძე, ვლადიმერ დვალიშვილი, დავით სირაძე, მათე ვაწაძე** – ეს 12 ფეხბურთელი ნაკრებს ეტაპობრივად შეუერთდება.

გუშინ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრებსა და ფეხბურთელებს კომენტარები არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ, მასმედიის ინტერესი დღეს ამომწურავად დაკმაყოფილდება – „ბასაზე" თემურ ქეცბაიას პრესკონფერენცია გაიმართება და იქვე ნაკრების წევრებთან გასაუბრების საშუალებაც იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტოები




ქეცბაია და ორი ახალწვეული გიორგი ადამია (მარცხენა ფოტოზე) და ჯაბა ლიპარტია





ბასა უკვე ბაზაა

### პირდაპირ ეროვნულში

## შანსი-მაისურა მაისურაძისთვის

რუსთავის „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელ **თორნიკე მაისურაძეს** მამის, **ზურაბ მაისურაძის** ნიჭი რომ დაჰყვა, გუნდში მის მიერ მიწვეული უდავოდ საინტერესო ფეხბურთელების ჩამონათვალიც ადასტურებს. **ირაკლი მაისურაძე** მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა, 23 წლის სწრაფი და სხარტად მოაზროვნე ნახევარმცველი **თემურ ქეცბაიამ** ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოიძახა.



ირაკლი მაისურაძე

კიევის „დინამოსა„ და ბელარუსის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, „ვიტებსკის„ მთავარმა მწვრთნელმა **ვალენტინ ხაცკევიჩმა** 2009 წელს მაისურაძეზე თქვა: *„ის ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია. ჩემი აზრით, მსგავსი სათამაშო ინტელექტი და ტექნიკა ბელარუსში ბევრ ახალგაზრდას არ აქვს„.*

რუსთავის „ოლიმპმა„ თურქულ შეკრებაზე ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი როცა დაიმატა, მხოლოდ ეს ფრაზა ვიცოდით; ისიც, რომ ირაკლი „ზესტაფონი 2"-დან უცხოეთში ადრეულ ასაკში წავიდა და ბელარუსში თამაშობდა - „მტზ-რიპოსა„ და „ვიტებსკში„, მეტი არაფერი.

მერე გავიგეთ, რომ 2010 წლის თებერვალში გაკოტრების პირას მისული „ვიტებსკი" ნალჩიკის „სპარტაკში„ ან „კრილია სოვეტოვში„ გადასვლის იმედად დატოვა. ეს ვარიანტები ჩაეშალა და ერთი წელი უგუნდოდ დარჩა, ფეხბურთის სიყვარულს კი მოსკოვის მოყვარულთა გუნდში თამაშით იკლავდა.

**- დარწმუნებული ვარ, ქეცბაიას მიწვევა მოულოდნელი იქნებოდა.**

- ჩემი მიზანი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაა, ტყუილად ხომ არ ვთამაშობ. მაგრამ გამოძახება მართლა მოულოდნელი იყო, ამის გამო კი - უფრო სასიამოვნოც. ქეცბაიამ მომცა შანსი, საქართველო და საკუთარი თავი ვასახელო. მადლობა ბატონ თემურს ნდობისთვის, ისევე, როგორც თორნიკე მაისურაძეს, რომელმაც „ოლიმპში" მიწვევით თავის წარმოჩენის და ნაკრებში მოხვედრის შანსი მომცა. შევეცდები, სამომავლოდ „ოლიმპს" უფრო წავადგე და ნდობა გავამართლო.

ვერ ვიტყვი, რომ „ოლიმპში" შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინე, მეტიც შემეძლო, მაგრამ ცუდადაც არ მითამაშია. ეროვნულ ნაკრებში ჰაერიდან არ ამიყვანდნენ.

**- შენი აზრით, 18 კაცში მოხვედრის შანსი გაქვს?**

- თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშან საქართველოში არავინ მიცნობდა, წლეულს კი ნაკრების კანდიდატი გავხდი, გამოდის, ყველაფერია შესაძლებელი. 12-დღიანი შეკრება იმიტომაც ეწყობა, ახალმა ფეხბურთელებმა თავი გამოვიჩინოთ.

**- თუ არ ვცდები, აქამდე არც ერთ ნაკრებში არ გითამაშია.**

- არც ერთში, პირდაპირ ეროვნულში მოხვედრა დიდი ბედნიერებაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს„ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## U21. შეკრების პირველი დღე



ლევან მჭედლიძე



გიორგი ჭანტურია

### ფეხბურთი და რაგბი დამობილდნენ:

# ყველანი საქართველოსთვის!

## მჭედლიძე და ჭანტურია აქ არიან, სხვებიც მალე ჩამოვლენ

გუშინ ოთარ გაბელიამ ახალგაზრდული ნაკრების წევრები სასტუმრო „ბომონდ გარდენში" შეკრიბა და 3 ივნისის ხორვატიასთან მატჩისთვის მზადება შეუდგა.

ნაკრებში მიწვეულთა უმრავლესობა უკვე გამოცხადდა: ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა „ემპოლის" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე**, რომელიც შეკრებაზე თანაგუნდელ **ირაკლი შეყილაძესთან** ერთად გამოცხადდა. ჰოლანდიიდან ჩამოვიდა „ვიტესის" თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია** და სასტუმროში თავის ძველ თანაგუნდელებთან, **დავით ხოჭოლავასთან** და **ვალერიან ყაზაიშვილთან** ერთად გამოცხადდა. გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან **ნიკა ძალამიძე, საბა კვირკველია** და **თორნიკე ოქრიაშვილი** – პირველ ორს საკლუბო თამაშები დარჩა, ოქრიაშვილს კი კლუბთან აქვს ურთიერთობა გასარკვევი.

გაბელია ამბობს, რომ კითხვები უგუნდო **გიორგი სალარიძისა** და უთამაშებელი **ივანე კანდელაკის** გამოძახების თაობაზე უადგილოა: *"სალარიძე ლუგანსკის „ზარიაში" თამაშობდა, გუნდი მცირე ხნის წინ დატოვა და ახლა თბილისის „დინამოში" ვარჯიშობს. მისი ნახვა ჩემმა თანაშემწე ზაურ სვანაძემ მირჩია, რომელიც „დინამოში" მუშაობს. ჩვენ მარცხენა მცველის და ნახევარმცველის პოზიციაზე პრობლემები გვაქვს, სალარიძე კი ამ ორივე პოზიციაზე თამაშობს. რაც შეეხება კანდელაკს, მას „ოლიმპში" ათამაშებენ და, რაც მთავარია, ავსტრიის ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა".*

ნაკრები ძირითადად თბილისის „ლოკომოტივის" საგურამოს ბაზაზე ივარჯიშებს, 29 და 30 მაისს კი თბილისში, „ამერის" სტადიონზე. გუშინ გაბელიამ ფეხბურთელები არ დატვირთა, საგურამოში მხოლოდ აღდგენითი ვარჯიში ჩაუტარა. მთავარი მწვრთნელი ოთხი დღე ორჯერად ვარჯიშებს გეგმავს, დანარჩენი დღეებში კი - მხოლოდ ერთხელ. თუმცა, გაბელიას თქმით, მომქანცველი დატვირთვები არ იქნება.

მას ამ პერიოდში თბილისის „დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელი დაეხმარება: *"ფიზმომზადების მწვრთნელი გუნდს ისედაც სჭირდება და მით უფრო ახლა, როდესაც სეზონი დასრულებულია, ფეხბურთელების უმრავლესობა გადაღლილია და ასეთ დროს სპეციფიკურ ვარჯიშებს დიდი მნიშვნელობა აქვს".*

26 მაისს გაბელია „ამერზე" ორმხრივ თამაშს ჩაატარებს, სადაც გაირკვევა ხორვატიაში გასამგზავრებელ მოთამაშეთა სია: *"მანამდე კი ფეხბურთელებს კარგად უნდა დავაკვირდეთ. საქართველოს ჩემპიონატში ბევრი მოთამაშე მომწონებია, მაგრამ ავსტრიულ ტურნირში ბევრის დაბალი კლასი გამოჩნდა – სამწუხაროდ, ევროპული დონის ფეხბურთისთვის ყველა მზად არ არის".*

ფეხბურთელებთან ერთად „ბომონდ გარდენში" 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებიც დასახლდა, რომელიც ხვალიდან მსოფლიოს ალაფისთვის იბრძოლებს.

*„მართალია, ვარჯიშების გამო ჩვენი ფეხბურთელები მორაგბეთა მატჩებს ვერ დაესწრებიან, მაგრამ გუნდის სახელით წარმატებას ვუსურვებ მათ, ყველა ხომ საქართველოსთვის ვთამაშობთ"* – გვითხრა გაბელიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

## კიდევ ერთი ემპოლელი ირაკლი შეყილაძეს ძირითადს შეჰპირდნენ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ჩამოსულმა **ირაკლი შეყილაძემ** სასიამოვნო სიახლე გვამცნო – 18 წლის თავდამსხმელი, რომელიც იტალიის სერია B-ს „ემპოლის" წევრია, ახალი სეზონიდან დაწინაურდება.

*„უკვე ისეთ ასაკში ვარ, დუბლებში თამაში აღარ წამადგება. ცხადია, მაინტერესებდა, რა პერსპექტივა მქონდა კლუბში და ხელმძღვანელებს ველაპარაკე. როგორც მითხრეს, უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, რომ ახალი სეზონიდან „ემპოლის" პირველ გუნდში გადამიყვანენ. იტალიაში საკმაოდ ცნობილი კლუბია და იქ მოხვედრა იოლი არ არის. ამიტომ ძალიან მიხარია, მწვრთნელების ნდობა რომ დავიმსახურე"* – ამბობს შეყილაძე.

**მერაბ მამულაშვილი**


ირაკლი შეყილაძე

## ეროვნული ჩემპიონატი

# სამტრედიამ ლიდერები დაიბრუნა

სავარაუდოდ, დღეს ან ხვალ გადაწყდება უმაღლესი ლიგის ახალი ფორმატისა და გადათამაშებაში მონაწილე გუნდების საკითხი. უმაღლესიდან გავარდნილი და დარჩენის იმედდაძრული გუნდები კი გადაწყვეტილებას არ ელოდებიან და გადათამაშებისთვის მზადებას შეუდგნენ.

„სამტრედიას" მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ანჯაფარიძემ** ფეხბურთელები შეკრებაზე გადაიყვანა. რაც მთავარია, გუნდს დაუბრუნდნენ მეორე ეტაპისას წასული ლიდერები, **შოთა ჩომახიძე** და **პაატა ბაკარანძე**.

გუნდისთვის ორივე დიდი ძალა იყო, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო გაუცდათ და ძნელი სათქმელია, გადათამაშების გამართვის შემთხვევაში შეძლებენ კი გუნდის დახმარებას?

**მერაბ მამულაშვილი**


შოთა ჩომახიძე

## U19

# ნაკრები უპრაქტიკოდაა

სხვა ასაკობრივი ნაკრებებისგან განსხვავებით, საქართველოს 19-წლამდელთა ახალი ფორმაციის ნაკრებს არსებობა, ფაქტობრივად, არ დაუწყია. გუნდს, რომელიც **გიორგი დევდარიანს** ჩააბარეს, ჯერ ერთი ამხანაგური მატჩიც კი არ ჩაუტარებია, არადა, 19-წლამდელებს შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდი ელით – 11-16 ნოემბერს თურქეთში ვითამაშებთ, სადაც ჩვენი მეტოქეები, მასპინძელთა გარდა, პოლონეთი და ლუქსემბურგი იქნებიან.

როგორც შევიტყვეთ, გაზაფხულზე ჩვენი ნაკრების ავსტრიულ ტურნირზე გამგზავრება იგეგმებოდა, მაგრამ ტურნირი ჩაიშალა. ასე რომ, დევდარიანს გუნდის მოსამზადებლად არცთუ დიდი დრო რჩება და იმედია, ეს პერიოდი მაინც იქნება ნაყოფიერად გამოყენებული.

ნაკრების შემადგენლობა უკვე გამოკვეთილია. დევდარიანს იმ 17-წლამდელებიდან, რომლებმაც მარტში ელიტრაუნდში ითამაშეს, თავისი გუნდის რეალურ კანდიდატებად მიაჩნია **ნიკა სანდოხაძე, გურამ სამუშია, ლუკას ჰუფნაგელი** და **გოგი გოგიჩაიშვილი**. გამოჯანმრთელების შემდეგ ნაკრებს, ალბათ, **ბაჩანა არაბულიც** შეუერთდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჰო თუ არა?


მალხაზ ასათიანი

# ანდრეი ბიბა: ასათიანი დინამოში? გამორიცხულია!

კიევის „დინამოს" მწვრთნელ-სელექციონერმა **ანდრეი ბიბამ** „ლელოსთან" კომენტარი გააკეთა იმ ხმების თაობაზე, ბოლო დროს რუსულ მედიაში ისევ რომ აგორდა, თითქოს **იური სიომინი** კიევის „დინამოში" კვლავ იწვევს **მალხაზ ასათიანს.**

*„არა მგონია, ეს სიმართლეს შეეფერებოდეს. ასაკი მაინც თავისას შვრება, მალხაზის საუკეთესო წლები უკვე ჩავლილია. ამას გარდა, უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, სადაც საინტერესო ახალგაზრდა მცველები გამოჩნდნენ და გაუმართლებელი იქნება, მათ გზა არ დავუთმოთ"* – თქვა ბიბამ.

**მერაბ მამულაშვილი**


ანდრეი ბიბა

## ლეგიონერები

# უკრაინა ბელარუსს სჯობს, ორივე – აქაურობას

23 წლის ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძე** ბრესტის „დინამოში" რუსთავის „ოლიმპიდან" 2009 წელს გადავიდა და ბელარუსული კლუბის ერთ-ერთ ლიდერი გახდა. ის ბელარუსში წელიწადნახევარია თამაშობს და ხშირად იქცევს მედიის ყურადღებას.

*„ბრესტის „დინამოსთან„ კონტრაქტი ნოემბრის ბოლომდე მაქვს. სასიამოვნო გარემო დამხვდა, მენდობიან და თამაშიც კარგად წამივიდა. ჩემი მწვრთნელი იური პუნტუსია, რომლის ჩამოყალიბებულიცაა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილი „ბატე„. ასეთი სპეციალისტის ნდობა კი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. „დინამოში„ გამოცდილება შევიძინე, ალბათ, უფრო ჩამოვყალიბდი და ფიზიკურადაც მოვუმატე, რადგან ბელარუსში ძალისმიერი ფეხბურთია და ფიზმომზადებას დიდ ყურადღებას აქცევენ"* – ამბობს ჭელიძე.

გაზეთი „ბელარუს სეგოდნია" წერდა, რომ ბრესტელთა გუნდი ქართველის გარეშე წარმოუდგენელია.

*"ბელარუსის ჩემპიონატის ყველა ტურის შემდეგ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებენ. რაც აქ ვარ, საუკეთესოდ ბევრჯერ დამასახელეს, მიმდინარე სეზონში კი - 3-ჯერ. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს, „დინამოს" სატურნირო მდგომარეობის გარდა – გუნდი ჩვეულად ვერ თამაშობს და ჩემპიონატში მე-10 ადგილზე ჩამოვქვეითდით, არადა, გასულ სეზონში სამეულში მოსახვედრად ვიბრძოდით".*

ჭელიძეს იმედოვნებს, რომ ნოემბერში, როდესაც სეზონი დამთავრდება, უკეთეს გუნდში გადავა.

*„კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერ არ გვილაპარაკია. ისე, რამდენიმე საინტერესო ვარიანტი შემომთავაზეს. ბელარუსმა აგენტმა მითხრა, რომ უკრაინული კლუბია დაინტერესებული და გადასვლა თუ გსურსო. ასეთი რამდენიმე წინადადება მივიღე და ველოდები სეზონის დასრულებას. უკრაინაში ან სხვა ძლიერ ლიგაში სიამოვნებით გადავალ. ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ლაპარაკია, კონკრეტული შეთავაზება დღემდე არ მიმიღია, მაგრამ დაინტერესება მაიმედებს, რომ კარიერას უკეთეს გუნდში გავაგრძელებ".*

ზაზა ამბობს, რომ ახლა საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებას უკანგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს: *"საქართველოში დაბრუნებას სულაც არ ვუკადრისობ, მაგრამ როცა უკეთეს ლიგაში უკეთეს პირობებს გთავაზობენ, ცხადია, არჩევანი აღარ გრჩება. ჩვენდა სამწუხაროდ, ბელარუსში ჩვენზე უკეთესი ჩემპიონატი და პირობებია. ასე რომ, თუ სადმე წავალ, მხოლოდ უკეთეს ლიგაში".*

**მერაბ მამულაშვილი**

# გაუღიმებს ფორტუნა არახამიას?

„ლელოს" პარტნიორმა, რუსულენოვან ვებგვერდ „ცისოკერის" რედაქტორმა **მირონ გოიხმანმა** საინტერესო ამბავი გაგვიმხილა: მეორე ბუნდესლიგის დიუსელდორფის „ფორტუნაში" ჩვენთვის უცნობი თავდამსხმელი **გია არახამია** ისინჯება.

*„ამ ფაქტის შესახებ გერმანიაში უკვე დაიწერა. 18 წლის არახამია თავდამსხმელია და საფეხბურთო კლუბ „სასკოში" თამაშობდა, „ფორტუნაში" კი ორი კვირის წინ გასინჯვაზე ჩამოიყვანეს. ჯერ არ ვიცით, დატოვებენ თუ არა, მაგრამ მას ძალიან აქებენ. დიუსელდორფელები ახლა სერიოზულ სასელექციო სამუშაოს ატარებენ"* – ამბობს გოიხმანი.

ინფორმაცია გერმანულ ინტერნეტგაზეთ „ექსპრესს.დე"-ზე ვნახეთ, სადაც აღნიშნულია, რომ კლუბის პრეზიდენტმა **პიტერ ფლუმტმა** სელექციონერებს ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიება დაავალა.

„სასკოს" ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი **თენგიზ კაცია** ავარჯიშებს. მისი გაზრდილები არიან ახლახან დანიის პირველი დივიზიონის „ორჰუსში" ჩარიცხული ახალგაზრდა ფეხბურთელები.

**მერაბ მამულაშვილი**

XXXVI ტურის მიმოხილვა

# სეზონი დამთავრდა გრძელდება

ჩემპიონატი „ოფიციალურად„ კვირას დამთავრდა, 26 მაისს საქართველოს თასის ფინალსაც ჩავატარებთ და, წესით და რიგით, სეზონიც დამთავრებულად უნდა გამოვაცხადოთ. თუმცა გასარკვევი კიდევ ბევრია: ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, ერთი პლეი ოფი (დებულების თანახმად) იქნება თუ ორი; ანუ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „სპარტაკი„ და „სამტრედია„ ჩაატარებენ პლეი ოფის მატჩებს პირველ ლიგაში III და IV ადგილზე გასულ გუნდებთან და აქედან გამომდინარე, სეზონის სრულად დასრულებამდე სამი ოფიციალური მატჩი გველოდება. ჩვენი ინფორმაციით, უკვე დღეს ყველაფერი უნდა გაირკვეს; იმედი დავიტოვოთ, რომ უახლოეს მომავალში ნათელი მოეფინება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს — მომავალ სეზონში ჩემპიონატის ფორმატის შეცვლას ვგულისხმობთ. თუმცა „სამარჩიელო„ აქაც არაფერია: თითქმის 99 %-ით გადაწყვეტილია, რომ ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატში 12 გუნდი იასპარეზებს! ჩემპიონატის ახალ ფორმატსა და საერთოდ, გათამაშების სტრუქტურულ ცვლილებებზე კიდევ არაერთხელ ვისაუბრებთ; მანამდე კი, XXII ჩემპიონატის დასკვნითი ტურის განსაკუთრებული ფაქტები თუ მოვლენები ვახსენოთ.

## ოქროს ფინიში

საქართველოს ახალმა ჩემპიონმა სეზონი მართლაც ამაღლებული განწყობილებით დაამთავრა, თუმცა „სხვანაირად„ ვერც იქნებოდა: „ვიტ ჯორჯიასთან„ მატჩის შემდეგ „ზესტაფონის„ მწვრთნელ-ფეხბურთელებს საჩემპიონო თასი და ოქროს მედლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გადასცა! ანუ კვირასაც ზეიმი იყო ზესტაფონში, ისე როგორც 14 მაისს, როცა **გია გეგუჩაძის** გუნდმა თავის ხანმოკლე ისტორიაში პირველად შეძლო ჩემპიონობის მოპოვება. უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ საქართველოს მართლაც ღირსეული და დამსახურებული ჩემპიონი ჰყავს; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სეზონის ბოლოსკენ „ზესტაფონი„ მართლაც ჩინებული მაჩვენებლით მოვიდა — 22-მატჩიანი წაუგებელი სერია „სახუმარო„ საქმე ნამდვილად არ არის. ალარაფერს ვამბობთ „ჩვეულებრივ„ ფაქტებზე: უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი მატჩი „ზესტაფონმა„ მოიგო, საკუთარ კარში ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა და მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი გაიტანა. ისე, ბოლო ტურში „ზესტაფონმა„ მეტად და მეტად „აუცილებელი„ 4 გოლი გაიტანა; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გუნდმა სეზონი ჩინებული მაჩვენებლით დაამთავრა: 36 შეხვედრაში 72 გოლი გაიტანა, ანუ საშუალოდ ერთ შეხვედრაში 2 ბურთი! ისე როგორც მთელმა გუნდმა, სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა **ნიკოლოზ გელაშვილმაც** — 25 წლის ფორვარდი 18 გოლით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სხვათა შორის, ბოლო სამ წელიწადში გელაშვილი მეორედ გახდა საუკეთესო ბომბარდირი და აქვე, ბარემ იმ ფეხბურთელებსაც შეგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში მსგავსი მიღწევა რომ ჰქონიათ: **ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, სულიკო დავითაშვილი.**


ნიკოლოზ გელაშვილი

## მშვენიერი სტიმული

ბოლო ტურამდე „დინამო„ იყო ერთადერთი გუნდი, საკუთარ მოედანზე წაგება რომ არ ჰქონდა; და აი, XXII ჩემპიონატის დაკვნით შეხვედრაში ექსპერიმენტული შემადგენლობით მოასპარეზე დინამოელები „ტორპედოსთან„ დამარცხდნენ (1:2). სხვათა შორის, „დინამოს„ მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** წინა ორი ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაშიც გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული შემადგენლობა გამოჰყავდა, მაგრამ 2009 და 2010 წლებისგან განსხვავებით, თბილისელებს ამჯერად ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავდათ. ისე, „ტორპედოს„ მთავარმა მწვრთნელმა **გია გიგატაძემაც** სანახევროდ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა და თასის ფინალის წინ ასეთ ძლიერ მეტოქესთან გამარჯვება ქუთათურთა გუნდისათვის მშვენიერი სტიმულიც უნდა იყოს. ამ შეხვედრაში რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოხდა: უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა მასპინძელთა 18 წლის ნახევარმცველმა **ჯამბულ ჯიღაურმა,** ხოლო „ტორპედოს„ შემადგენლობაში თავი გამოიჩინა გუნდის ახალწვეულმა, 19 წლის **ლუკა გუგუჩიამ**. თუმცა, გუგუჩიამდე „დინამოს„ დამწუხრება „ტორპედოს„ გამოცდილმა ფორვარდმა, 30 წლის **რევაზ გოცირიძემ** მოახერხა, რომელმაც ამ თვეში უკვე 4 გოლი გაიტანა.

## დებიუტანტების დღე

ჯიღაურის გარდა, „დინამოს„ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა 19 წლის **ლევან კუხალეიშვილს** და საერთოდაც, ეს მატჩი იმითაც იყო „განსაკუთრებული„, რომ მასპინძელთა შორის არც ერთ ლეგიონერს არ უასპარეზია!

საერთოდაც, ჩემპიონატის დასკვნითი ტურის თითქმის ყველა მატჩში არაერთი დებიუტანტი გამოჩნდა: „ზესტაფონის„ შემადგენლობაში 19 წლის **როსტომ გენაძე** ვიხილეთ, ბოლო მატჩებში რუსთაველთა გუნდის სამწვრთნელო შტაბი თამამად ენდობოდა 15-16 წლის ბიჭებს: **გიორგი აბურჯანიასა** და **ლაშა ქოჩლაძის** მსგავსად უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა **ილია კერძევაძეს,** რომელიც... 1996 წელს არის დაბადებული! 15 წლის გახლავთ „ბაიას„ ნახევარმცველი **ნიკოლოზ ახვლედიანი,** რომელმაც ასევე სადებიუტო მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში; აი, რაც შეეხება ბოლო ტურში „ბაიას„ მეტოქეს „სამტრედიას„, ეს გუნდი ზუგდიდში, ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობით იყო ჩასული და ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან ერთ-ერთმა, 18 წლის **შოთა კერძევაძემ** სულაც სადებიუტო გოლი გაიტანა უმაღლეს ლიგაში. ისე, „ბაია„ ვახსენეთ და ამ გუნდის სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც უნდა ვთქვათ: 22 წლის **ირაკლი ეხვაიამ** სეზონში მეექვსე გოლი გაიტანა, 19 წლის მცველმა **ნიკა აფაქიძემ** - მესამე, ასევე 19 წლის **ირაკლი ქობალიამ** კი „დუბლი„ შეასრულა და 7 გოლით „ბაიას„ საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

**გია ტუხაშვილი**




### I ლიგა. XXXIII ტური

**იმერეთი–მეშახტე 4:0**

20.05. ხონი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 მ. ჩხარტიშვილი (42), 2:0 რ. კვერნაძე (64), 3:0 მ. ჩხარტიშვილი (67), რ. კვერნაძე (74).

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, თ. ხარებავა, ა. მეტონიძე (65. ჯ. ლოლუა), რ. კაშია, მ. ჩხარტიშვილი, ლ. კირკიტაძე, ბ. ჩხეტიანი (65. ვ. ბრეგაძე), გ. ცაგარეიშვილი (70. გ. ქობალია), რ. კვერნაძე.

სათადარიგოები: ი. შენგელია, ი. ასათიანი, დ. ხაბურძანია, დ. გოდერიძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

მეშახტე: ი. ორბელაძე, ა. ქუთათელაძე (78. თ. ღვინიანიძე), ბ. ბერაია, ლ. მაჩალაძე, ა. გუბელაძე ვ. აფციაური, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე (67. ა. სახელაშვილი), ბ. ჯიშიაშვილი, დ. გოგოლაძე (78. ბ. შარვაშიძე), გ. ბოხუა.

სათადარიგო: დ. ოდიშარია

მწვრთნელი: გ. ბაბუხადია

გაფრთხილება: გ. ცაგარეიშვილი; ა. აფციაური, დ. გოგოლაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა (სოხუმი)

**ჭიათურა–კოლხეთი (ხ) 1:0**

20.05. ჭიათურა. „თ. მაღრაძე„. 100 მაყურებელი

1:0 ლ. ქურდაძე (53)

ჭიათურა: ა. დარბაიძე, ნ. ტყემალაძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ლ. ცუცქირიძე, ლ. ქურდაძე, ლ. კობახიძე, ზ. ნოზაძე, ვ. ჯელაძე (41. გ. ცუცქირიძე), დ. ტაბატაძე (83. ბ. ჭუმბურიძე), დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: გ. ბადურაშვილი, ჯ. კაპანაძე, გ. მეცხოვრიშვილი, თ. კურტანიძე, თ მიშველიძე

მწვრთნელი: ა. სევასტოპულო

კოლხეთი: ზ. გელაშვილი (70. გ. ხუნჭუა), ლ. მეფიშვილი, ლ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (63. რ. ადონია), კ. ალანია, ც. ბუკია, კ. გოგენია (67. გ. ფაჩულია), პ. გაბრავა, მ. ჭკადუა.

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გაფრთხილება: ვ. ჯელაძე, ზ. ნოზაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

**ნ. დინამო–სამგურალი 2:0**

20.05. თბილისი. „შატილი„. 200 მაყურებელი

1:0 მ. ლომაია (71), 2:0 გ. მაისურაძე (77)

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ჩუბინიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, ბ. ახალბედაშვილი (66. გ. შუშიაშვილი), ა. ხვთისავრიშვილი, გ. ქვარაია (11. გ. მაისურაძე), ზ. კვარაცხელია, ლ. ლაბარტყავა, მ. ლომაია (84. გ. ჯაჭვაძე).

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, ი. მახათაძე, დ. ქიმერიძე, გ. თანიაშვილი

მწვრთნელი: ვ. გაგუა

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჩიხლაძე, ზ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, დ. კუხალაშვილი (73. გ. თევდორაძე), ი. შალიკაშვილი (77. გ. ბუხაიძე), ზ. ქუთათელაძე, ლ. ნავერიანი (60. გ. თუთბერიძე)

სათადარიგოები: შ. ესებუა, მ. მესხი, ლ. მესხი

მწვრთნელი: ტ. მანაგაძე

გაფრთხილება: მ. ლომაია; ნ. უგრეხელიძე, დ. ჩაკვეტაძე, გ. თუთბერიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ბათუმი–გაგრა 1:1**

20.05. ბათუმი. „ადელი„. 200 მაყურებელი

1:0 ნ. დიასამიძე (50), 1:1 გ. გაბედავა (78)

ბათუმი: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ზ. ლობჟანიძე, კ. მაკარიანი, ა. ბაჯელიძე, დ. სამსეიშვილი (81. მ. ჯორბენაძე), მ. ჟვანია (65. ლ. რამიშვილი), ე. გრიგალაშვილი (51. გ. მანწკავა), ზ. ხაჭიპერაძე, თ. ბერიძე, ნ. დიასამიძე.

სათადარიგო: რ. თევდორაძე

მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, გ. ტყეშელაშვილი, ი. ხუციძე, ლ. კალანდაძე, ნ. ჯიშკარიანი, მ. ნაკონეჩნი (75. დ. გიგაური), ლ. შარიქაძე, ზ. ჩხეტიანი, მ. კობერიძე (46. დ. ციცხვაია), ვ. ორდინსკი (79. ნ. ჭკუასელი), გ. გაბედავა.

სათადარიგოები: კ. სეფიაშვილი, გ. ყურულაშვილი, ბ. გედენიძე, ჯ. გაბუნია

მწვრთნელი: ა. პისკოვეცი

გაფრთხილება: ზ. ლობჟანიძე, ზ. ხაჭიპერაძე; მ. ნაკონეჩნი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**გურია–მარტვილი 0:2**

20.05. ლანჩხუთი. 200 მაყურებელი

0:1 მ. ტაპე (19), 0:2 ლ. ჩალაძე (22)

გურია: მ. გოგუაძე, ვ. ქვრივიშვილი, რ. კუკულაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ბ. წერეთელი, ჯ. გოგიბერიძე (62. გ. ჭეიშვილი), გ. კვიტაიშვილი, ნ. ტოროტაძე გ. თოლორდავა (46. გ. შენირული), ლ. რუსიეშვილი (70. ს. ბახია), თ. სივსივე

სათადარიგოები: ი. ხვედელიძე, ზ. რაზმაძე, გ. კუკულაძე

მწვრთნელი: ი. ფაცურია

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი. გ. ჟვანია, თ. კაკუშაძე. ა. სუხიაშვილი, გ. ილურიძე, გ. წონორია, ლ. ჩალაძე, მ. ტაპე (80. ო. ტორაძე), გ. თოდუა (62. დ. დიდმარხვაშვილი), ლ. კუჭუხიძე (46. გ. ამბროლაძე)

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ჟ. [illegible], ი. ფაცაცია, დ. ბერუაშვილი

მწვრთნელი: [illegible]

გაფრთხილება: [illegible]

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**ჩიხურა–ადელი 2:0**

20.05. საჩხერე. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 დ. ჩაგელიშვილი (16), 2:0 ა. ალავიძე (61)

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი. ე. ზივზივაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ი. გვეტაძე, ი. ტყებუჩავა, ი. ზაბახიძე, ა. ივანიშვილი (74. თ. ნადირაძე), დ. ქამუშაძე, ა. ალავიძე (80. გ. იაკობაშვილი), ბ. პეტრიაშვილი (62. თ. მეტრეველი), დ. ჩაგელიშვილი

სათადარიგოები: შ. დოლაძე, გ. ქიმაძე, ნ. მაჭარაშვილი, ო. გიორგობიანი

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

ადელი: გ. რომანაძე, ლ. კვანტალიანი, ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, გ. ზოიძე (55. ნ. დავითაძე), ჯ. მერაბიშვილი, ვ. ფალავანდიშვილი, დ. ჯალალანია, გ. ქოქოლაძე (67. თ. მჟავანაძე), გ. დევაძე, ზ. გობეჯიშვილი (76. თ. გიორგაძე)

სათადარიგო: ს. მამისეიშვილი

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

არბიტრი: ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**სქური–ლოკომოტივი 1:0**

20.05. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია„. 400 მაყურებელი

1:0 გ. ჭკუასელი (63)

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ გვილია, ე. ფარცვანია, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია, დ. კუტალია (89. დ. რაფავა), ი. მალიჩავა, ბ. გუჯეჯიანი, ლ. გაბუნია, ლ. ქანთარია, გ. ჭკუასელი (90. ბ. სვანიძე)

სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, გ. კვირკვია, ა. მიქენაია, გ. აკობია

მწვრთნელი: ვ. გულორდავა

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, ა. შენგელია, ნ. ჭანტურია, ზ. გვაძაბია (66. დ. ჯიქია), დ. საჯაია, გ. ბოჭორმელი, ლ. კვარაცხელია, გ. შარანგია (55. მ. მაკარაშვლი), დ. დარციმელია, მ. ხოკერაშვილი (32. დ. მიქავა), ნ. შერაზადიშვილი

სათადარიგოები: თ. ოდიკაძე, გ. რეზესიძე, გ. მალაზონია, დ. გაბელია

მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

გაფრთხილება: ი. მალიჩავა, დ. კუტალია; ნ. შერაზადიშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**დილა–ჩხერიმელა 2:0**

20.05. გორი. თ. ბურჯანაძე. 300 მაყურებელი

1:0, რ. გოგინაშვილი (45) 2:0 რ. გოგინაშვილი [illegible]

დილა: ბ. შეყრილაძე, ო. ცარიელაშვილი, გ. ქარქუზაშვილი, დ. ჭითანავა (46. დ. ტლაშაძე), ი. ლომიძე, ვ. ჯოჯუა (70. ი. ცნობილაძე), ნ. ნოზაძე (55. ა. სირბილაძე), ვ. ნემსაძე, რ. ახალკაცი, დ. რაჟამაშვილი, რ. გოგინაშვილი

სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ვ. რუსიშვილი, თ. ბარამიძე, გ. მიხანაშვილი

მწვრთნელი: გ. ცეცაძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე (45. ვ. თაბუკაშვილი), ა. ქაშაკაშვილი, ც. ხარაბაძე (55. ლ. გუმბერიძე), ლ. მახარაძე, გ. კუხიანიძე (88. ა. ლაბაძე), გ. თურმანიძე, გ. ზაქარაშვილი, რ. ჩიხლაძე, კ. ძაგანია

სათადარიგოები: მ. ლომსაძე, გ. ხეცურიანი, კ. კუბლაშვილი

მწვრთნელი: გ. ხუნდაძე

გაფრთხილება: გ. ზაქარაშვილი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 31 | 22 | 6 | 3 | 71-18 | 72 |
| 2. მარტვილი | 31 | 21 | 7 | 3 | 58-15 | 70 |
| 3. გორი | 31 | 19 | 9 | 3 | 57-21 | 66 |
| 4. ჩიხურა | 31 | 20 | 5 | 6 | 57-24 | 65 |
| 5. ბათუმი | 31 | 17 | 9 | 5 | 65-18 | 60 |
| 6. გურია | 32 | 14 | 4 | 14 | 50-59 | 46 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 31 | 11 | 10 | 10 | 29-34 | 43 |
| 8. იმერეთი | 31 | 11 | 4 | 16 | 36-41 | 37 |
| 9. მეშახტე | 31 | 10 | 5 | 16 | 32-47 | 35 |
| 10. ნ/დინამოელი | 31 | 10 | 5 | 16 | 39-57 | 35 |
| 11. ჩხერიმელა | 31 | 7 | 13 | 11 | 34-44 | 34 |
| 12. მერცხალი | 31 | 8 | 7 | 16 | 40-67 | 31 |
| 13. ადელი | 31 | 9 | 2 | 20 | 36-54 | 29 |
| 14. სქური | 31 | 8 | 5 | 18 | 28-50 | 29 |
| 15. სამგურალი | 31 | 8 | 5 | 18 | 37-63 | 29 |
| 16. ჭიათურა | 31 | 8 | 5 | 18 | 27-67 | 29 |
| 17. ლოკომოტივი | 31 | 7 | 7 | 17 | 30-47 | 28 |

**ბოლო ტური. 24 მაისი**

გაგრა-ჭიათურა
ადელი-სქური
ჩხერიმელა-მერცხალი
მარტვილი-იმერეთი
მეშახე-ბათუმი
კოლხეთი (ხ)-ნ. დინამო
სამგურალი-ჩიხურა
ლოკომოტივი-დილა



ექსკლუზივი

წერილი მეთხუთმეტე

# მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში



ვიდრე ყრილობის პერიპეტიებზე მოგითხრობდეთ, მინდა, ერთი განცხადება გავაკეთო. არავის ეგონოს, რომ, როდესაც მე „ოპონენტებს„ და „მოწინააღმდეგეებს„ ვუწოდებ ჩვენი საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებს, მათ პიროვნულად ვუპირისპირდებოდი ან რაიმე შუღლი იყო ჩვენ შორის. პირიქით, წიგნიც, რომლის გამოცემასაც ვაპირებ, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორიას ასახავს და მინდა მივუძღვნა ბატონ ბორის პაიჭაძის ხსოვნას. თუ რატომ მაინცდამაინც ბატონ ბორის პაიჭაძეს, ამასაც მოგახსენებთ. 1990 წლის 15 თებერვლის ღამეს შინ მისული გახარებული ვიყავი იმით, რომ ქართული ფეხბურთი მსოფლიო საფეხბურთო რუკაზე გაჩნდებოდა და ქართველებს გვეყოლებოდა ეროვნული ნაკრები, რომელიც მსოფლიოს თუ ევროპის პირველობათა ოფიციალური მატჩებისას გვერდზე დაუდგებოდა იტალიის, საფრანგეთის თუ ინგლისის ნაკრებებს და, ბუნებრივია, აჟღერდებოდა ჩვენი ქვეყნის ჰიმნი და აფრიალდებოდა ჩვენი სამშობლოს დროშა. ყრილობაზე ბევრი კარგი გამოსვლა იყო, მაგრამ მე მაინც ბატონი ბორისის გამოსვლა მიტრიალებდა მეხსიერებაში, მის გამოსვლაში იგრძნობოდა სამშობლოსა და ქართული ფეხბურთის დიდი სიყვარული, იგრძნობოდა უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე. სამწუხაროდ, ბატონ ბორისს არ სჯეროდა, რომ ქართული ფეხბურთი შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას და განვითარებას. სწორედ იმ ღამეს ვუთხარი საკუთარ თავს, რომ პირველი ვახარებდი ბორის პაიჭაძეს ჩვენი ფეხბურთის სერიოზულ წარმატებას, მინდოდა, „ქართული ფეხბურთის ბერმუხა„ ისე არ წასულიყო ამ ქვეყნიდან, რომ არ მოსწრებოდა ჩვენი ფეხბურთის გამარჯვებას, მაგრამ სამწუხაროდ, ბატონი ბორისი ყრილობიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა...

ბატონი ბორისი მართალი იყო, მართლაც დიდ სიძნელეებს წავაწყდით დამოუკიდებლობის გზაზე. იყო ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემები, იყო შეცდომებიც, პირადულის საქვეყნოზე წინ დაყენებაც, ქიშპობაც, დაპირისპირებაც, უსახსრობაც...

ეს ყველაფერი იყო და ჩვენი ფეხბურთი ისე ვერ ვითარდება, როგორც გვეგონა და გვინდოდა, თუმცა ბატონი ბორის პაიჭაძისა და მისი თაობის მიერ საძირკველჩადგმული ქართული ფეხბურთი იბრძვის თავისი საკადრისი ადგილის დასამკვიდრებლად მსოფლიოს საფეხბურთო ფერხულში და, მე თუ ვერ მოვესწრები, ვინმე მომავალი თაობიდან მივა ბორის პაიჭაძის საფლავზე და ჩასძახებს ქართული ფეხბურთის გამარჯვებაზე...

ბატონი ბორის პაიჭაძის თამაშს მე ვერ მოვესწარი, ბუნდოვნად მახსოვს ავთანდილ ღოღობერიძის დრიბლინგი. რაც შეხება 64 წლის „დინამოს„, 1963 წლიდან დილმის მასივში ვცხოვრობდი და გაკვეთილებიდან ვიპარებოდი, რათა „დინამოს„ ვარჯიში მენახა. მეც, ფეხბურთში მოვარჯიშე ბევრი სხვა ბავშვივით, 10-კაპიკიანი ბილეთით ჩრდილოეთ ტრიბუნიდან ვგულშემატკივრობდი ჩვენს „დინამოს„, 1966-67 წლებში კი უკვე როგორც საქართველოს იუნიორთა ნაკრების წევრი, „დინამოს„ ბაზაზე ვვარჯიშობდი. ორჯერ ძირითად შემადგენლობასაც ვეთამაშეთ, ხუმრობა ხომ არ იყო, თვით მესხი და მეტრეველი, ხურცილავა, სიჭინავები, ასათიანი, გივი ნოდია, კოტრიკაძე იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები. ერთი თამაში 3:0 მოგვიგო „დინამომ„, მეორე კი - 3:1. ყოველთვის ვამაყობდი, რომ ის ერთადერთი გოლი ბატონ სერგო კოტრიკაძეს მე გავუტანე. ტაშკენტის მატჩის რეპორტაჟს ქუჩაში დაკიდებულ რადიოში ვუსმენდი დაახლოებით ოც კაცთან ერთად, დათუნაშვილმა რომ კუთხურიდან გაათანაბრა ანგარიში, ივანოვი გასული იყო მოედნიდან, შეცვალეს და მეც ბევრი პატარა ბიჭივით ვიკითხე, შეუძლია ივანოვს რომ ისევ შემოვიდეს-მეთქი? მეშინოდა ივანოვის. ჩემი პირველი დასწრებაც კარგად მახსოვს „დინამოს„ მატჩზე, 1958 წლის აგვისტოში 26 მაისის სახელობის სტადიონზე ჩვენები ლენინგრადის „ადმირალტეეცს„ ეთამაშებოდნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1963 წლის სეზონის გახსნის მატჩი ლენინგრადის „ზენიტთან„, მაშინ სლავა მეტრეველმა პირველად ითამაშა „დინამოს„ შემადგენლობაში, ასევე პირველი გოლი გაიტანა გურამ პეტრიაშვილმა, იმ მატჩში ორი ბურთი იამანიძემ შეაგდო, დაუვიწყარი იყო მიხეილ მესხის მიერ გატანილი საჯარიმო, ახლაც თვალწინ მიდგას. მარცხენა შუამარბის ადგილიდან დაარტყა, მეკარეს ეგონა, რომ იქიდან კარში დარტყმას აზრი არ ჰქონდა, იფიქრა, პენალტის ნიშნულთან დაკიდებსო. მიხეილ მესხმა კი მოულოდნელად მოჭრილი დარტყმით წინ გამოვარდნილ მეკარეს თავზე გადაატარა ბურთი და ანგარიში გახსნა. 1964 წლის ფორმაციის გუნდი ძალიან ტიპურ ქართულ ფეხბურთს თამაშობდა ყოველგვარი პრაგმატიზმის გარეშე თითქმის მთელი გუნდი რომანტიკოსები იყვნენ, ასე მოთამაშე გუნდს, ბუნებრივია, უნდა გასჭირვებოდა ჩემპიონობა, მაგრამ დიდმა ოსტატობამ თავისი გაიტანა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაშკენტის მატჩში ჩვენი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშობდა თითქოს მეორე თბილისის „დინამო„, სახელად მოსკოვის „ტორპედო„, ჩვენსავით ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი და ასევე ნიჭიერი, შემოქმედი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. კარგად მესმის იმ სტაჟიანი გულშემატკივრების, ვისაც ის „დინამო„ განსაკუთრებულად უყვარს. მეც მათ რიგებში ვარ, ჩემთვისაც უაღრესად ძვირფასია ჩვენი ფეხბურთის ის პერიოდი. ეს იყო გუნდი, რომელიც ისე საინტერესოდ თამაშობდა, რომ წაგებული მატჩის შემდეგაც კი კმაყოფილი ტოვებდა გულშემატკივარი სტადიონს. რაც შეეხება შემდეგ თაობებს, აქ უკვე ბევრი ჩემი თანატოლი თამაშობდა. ბევრთან ერთ გუნდშიც კი მითამაშია, მანუჩარ მაჩაიძეზე ადრე მოგახსენეთ, ერთ სკოლაში ვვარჯიშობდით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუნიორთა ნაკრები ერთად დავამარცხეთ; გოჩა მაჩაიძე, დავით ყიფიანი და მე ბორია ჭელიძესთან 35-ე სკოლაში ერთად ვთამაშობდით, ვლადიმერ გუცაევთან ერთად უნივერსიტეტის გუნდში ვიყავი. „დინამოს„ ეს თაობა მთლად ახლობელი იყო ჩემთვის. რაც შეხება გივი ნოდიას, არასოდეს გვითამაშია ერთ გუნდში, მაგრამ ჩემთვის, როგორც უკან ჩაწეული ცენტრალური თავდამსხმელისათვის, იდეალური წინ წაწეული ცენტრალური თავდამსხმელი იყო, სულ ვოცნებობდი მისნაირ პარტნიორზე, რომელიც ყოველთვის მზად იყო გასახსნელად. ახლა ერთ საიდუმლოსაც გეტყვით, რომელიც, რამდენადაც ვიცი, არასოდეს თქმულა. 1990 წლის 15 თებერვლის საფეხბურთო ყრილობის პერიოდში სხვადასხვა „ბანაკში„ ვიყავით მე და გივი ნოდია, შემდეგი ერთი წლის განმავლობაში ისე დავუახლოვდით ერთმანეთს და იმდენი საერთო გვქონდა, რომ 1991 წლის მარტის რიგგარეშე საფეხბურთო ყრილობაზე სწორედ გივი ნოდია იყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ჩემი კანდიდატი და ჩვენ ერთად ვიბრძოდით ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში დებულების დარღვევისა და სხვა უკანონობის წინააღმდეგ. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაზეთ „11 X 11„-ში წერილი დავბეჭდე სათაურით „როსლა გველირსოს ჩვენ გალვიძება„. წერილში აზრს გამოვთქვამდი მსოფლიოს ჩემპიონატზე და მსოფლიო ფეხბურთის განვითარების ტენდენციებზე. წერილის ბოლოს ჩემი პატივისცემა და სიყვარული გამოვუხატე ჩვენს ვეტერან ფეხბურთელებს. ძალიან კარგად ვიცი, რა დიდი შრომით, ოფლით და ხანდახან სისხლით არის მოპოვებული ის წარმატებები, რომელთაც მიაღწიეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, რამდენ ადამიანურ სიამოვნებასა და სიხარულზე თქვეს უარი იმისთვის, რომ ქართველი ხალხი გაეხარებინათ. მთელი ამ ჩემი მონოლოგის მიზანი მხოლოდ ის არის, მკაფიოდ დავაფიქსირო ჩემ მიერ მონათხრობი ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობის ისტორიაში. ვიმეორებ, არავის ეგონოს, რომ ჩვენ ვუპირისპირდებოდით ჩვენს ფეხბურთელებს, პიროვნებებს, ეს იყო იდეისთვის ბრძოლა, რომლის ერთადერთი მიზანი მსოფლიოს საფეხბურთო რუკაზე ადგილის დაკავება და ქართველთა სანუკვარი ოცნების, ეროვნული ნაკრების მსოფლიო არენაზე გამოჩენა იყო.

**ზურაბ პეტრიაშვილი**

დასასრული

რეალი

# მოურინიომ დუმილი დაარღვია და...

## თავს ისევ ბარსას და უეფა-ს დაესხა



ჟოზე მოურინიო

როგორც იქნა, დუმილი დაარღვია „რეალის„ პორტუგალიელმა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ,** რომელსაც, მას მერე რაც „ბარსელონასთან„ მატჩის შემდეგ გამონათქვამებისთვის დასაჯეს, მედიასთან სიტყვა არ დასცდენია. „განსაკუთრებულმა„ „სამეფო კლუბის„ ოფიციალურ საიტზე „რეალის„ ფანებს მიმართა და ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა „ბარსელონასთვის„ და უეფა-სთვის კბილი არ გაეკრა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ მოურინიომ ევროპული ფეხბურთის მამები „ბარსას„ მიმართ სიმპატიებში დაადანაშაულა, რისთვისაც უეფა-სგან 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო. მას მერე ჟოზე შეგნებულად აღარ მიდის პრესკონფერენციებზე, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ლა ლიგაში. მის მოვალეობას ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ასისტენტი **აიტორ კარანკა** ასრულებდა. აი, რა დაწერა 48 წლის სპეციალისტმა „რეალის„ საიტზე:

*„მე მაქვს ძალზე უბრალო სურვილი სამომავლოდ - მინდა ზოგიერთმა პროფესიონალმა ფეხბურთელებმა თუ საფეხბურთო ინსტიტუტმა არ დაივიწყოს ის, რაც მათ ნაკლებად ახსოვდათ გასულ სეზონში - „ფეარ პლეის„ პრინციპი. „ფეარ პლეიზე„ მხოლოდ ლაპარაკი შედეგს ვერ მოგვიტანს, საჭირო შესაბამისად ქცევაც. ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ჩვენ უნდა ვუთხრათ არა რასიზმს. ვიმედოვნებ, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი უკეთ იქნება და ყველანი გავიხსენებთ ამ უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ პრინციპებს„.*

მოურინიომ რასიზმი ტყუილად არ ახსენა. „რეალი„-„ბარსელონას„ მატჩში **სერხიო ბუსკეტსმა** რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა ბრაზილიელ **მარსელოს**, თუმცა საბოლოოდ, საქმის განხილვის შემდეგ ფიფა-მ გადაწყვიტა, არ დაესაჯა კატალონიელი ნახევარმცველი.

ამის შემდეგ მოურინიომ მადლობა გადაუხადა „რეალის„ გულშემატკივრებს: *„სეზონი დასრულებულია და მინდა გულშემატკივრებს მადლობა გადავუხადო, ფეხბურთელები და მწვრთნელები ყოველთვის ვგრძნობდით მათ მხარდაჭერას და ეს დიდად გვეხმარებოდა წარმატების მიღწევაში. ახლა ყველა ჩვენ ნაკლს გავაანალიზებთ და ახალ სეზონში უკეთესად გაგახარებთ„.*

ტრანსფერი

# რეალის მესამე შენაძენი

გუშინ „სამეფო კლუბმა„ გამოაცხადა კიდევ ერთი ტრანსფერის შესახებ: **ნური შაჰინისა და ჰამით ალთინტოპის** შეძენის შემდეგ, „რეალმა„ „ესპანიოლის„ შემტევ ნახევარმცველ **ხოსე მარია კალეხონს** 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. შეიძლება ითქვას, რომ 24 წლის გარემარბი შინ ბრუნდება, ის ხომ „რეალის„ აღზრდილია.

კალეხონს საოცარი სეზონი ჰქონდა „ესპანიოლში„. ბრწყინვალე თამაშით მან სპეციალისტთა და ევროგრანდთა ყურადღება მიიპყრო, თუმცა ისევ „რეალმა„ იპირველა. საერთო ჯამში, კალეხონმა „ესპანიოლის„ მაისურით ლა ლიგაში 97 თამაში ჩაატარა. გასულ სეზონში მეტოქეები ყველაზე ხშირად კალეხონის წინააღმდეგ ჯარიმდებოდნენ.

ხოსე მარია კალეხონი „რეალში„ პირველად 2002 წელს მივიდა. 2007 წელს მას „რეალ კასტილიაში„ ჰქონდა დებიუტი. ამ სეზონის შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა ბარსელონაში გადაბარგდა. საერთო ჯამში, მან „ესპანიოლის„ მაისურით 10 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ხოსე მარიას ჰყავს ტყუპისცალი **ხუან მიგელი (ხუანმი)**, რომელიც ახლა „გრანადაში„ თამაშობს.

„ესპანიოლში„ ის ფორვარდად გადავიდა, თუმცა ბარსელონაში მას პოზიცია შეუცვალეს, რადგან ფლანგიდან გაცილებით ეფექტურად უტევდა. კალეხონს ორივე ფლანგზე ერთნაირად კარგად შეუძლია თამაში, თუმცა უფრო ხშირად მას მარცხენა ფრთაზე ვხედავდით. 2010/11 წლების სეზონში მან 37 თამაშში 6 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი გააკეთა. სეზონის განმავლობაში მის წინააღმდეგ 124-ჯერ დაჯარიმდნენ. მაშ ასე, 3-წლიანი განშორების შემდეგ, **ჟოზე მოურინიოს** დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ხოსე მარია კალეხონი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა.

ახალი კონტრაქტი ძალაში (როგორც წესია) 1 ივლისიდან შევა. ესპანური მედია ტრანსფერის ფასად 5,5 მილიონ ევროს ასახელებს, თუმცა ეს არაოფიციალური რიცხვია. კალეხონი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, რომლის შემადგენლობაში 4 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოხმაურება

# გასრულდა ესე ამბავი



ჩაო, კარლო

## სხვა სამყაროდან ჩამოსულები

**სერ ალექს ფერგიუსონმა** პრემიერლიგის თასი ალმართა და იკითხა: „რატომ ამბობდნენ ისეთ სისულელეს, თითქოს დღევანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი„ დიადი გუნდი არ არის?

„იუნაიტედმა კვირას ოფიციალურად ჩაიბარა ინგლისის ჩემპიონის მე-19 ტიტული და ეს ამბავი „ოლდ ტრეფორდზე„ „ბლექპულის„ 4:2 დამარცხებით აღნიშნა. ჩავხედოთ ცხრილს და ის ბოლო წლების ცხრილებს შევადაროთ. მანჩესტერელებმა მეორე ადგილზე გასულ „ჩელსის„ 9 ქულით აჯობეს. პრემიერლიგაში ასეთი უპირატესობა 2001 წლის მერე არ დაფიქსირებულა. მაშინ, იმავე „იუნაიტედმა„ „არსენალი„ ჩამოიტოვა 10 ქულით. ფერგიუსონმა თქვა:

„ღმერთო, რა სეზონი იყო. ასეთ დრამატულ ჩემპიონატს ვერც კი ვიხსენებ. ფეხბურთელებმა ყველაფერი დიდებულად ჩაატარეს. ქება და დიდება მათ! ბევრი საუცხოო მატჩი იყო. ახლა, ჩვენს ქვეყანაში „მანჩესტერ იუნაიტედია„ ის გუნდი, რომელიც ყველაზე მეტჯერ გახდა ჩემპიონი და ეს ძალიან მახარებს. ეს ამბავი ოქროს ასოებით ჩაიწერება კლუბის ისტორიაში.

დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველა გუნდს თავისი ხელწერა აქვს, ფეხბურთი ვითარდება, ჩვენ კი დავამტკიცეთ, რომ ამ სეზონში უძლიერესები ვიყავით. კიდევ, იმას ვიტყვი, რომ მართალია სტუმრად ციდან ვარსკვლავები არ მოგვიწყვეტია, მაგრამ მაგრამ რაც მე „იუნაიტედის„ მწვრთნელი ვარ, შინ ასეთი შთამბეჭდავი და შედეგიანი ფეხბურთი არ გვითამაშია. ჩვენი უდიდესი მონინაალმდეგე, „ჩელსი„ ოთხჯერ დავამარცხეთ.

სეზონის მსვლელობისას იყო რამდენიმე შეხვედრა, სადაც ისე ვითამაშეთ, გეგონება სხვა სამყაროდან ვიყავით ჩამოსული, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ განვითარების სწორ გზას ვადგავართ„.

„ბლექპულთან„ შეხვედრა 40 წლის ჰოლანდიელი მეკარისთვის, **ედვინ ვან დერ საარისთვის** „ოლდ ტრეფორდზე„ უკანასკნელი გახლდათ — ის ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს. მატჩის შემდეგ მან თქვა:

„მინდა დიდი მადლობა ვუთხრა სერ ალექსს, რომელმაც ექვსი წლის წინ მომიწვია „იუნაიტედში„. მგონი, ეს ტრანსფერი ორიოდ წლით დაგვიანებულიც კი იყო. სიამოვნებით გავატარებდი „იუნაიტედში„ რამდენიმე სეზონით მეტს. აქ გატარებული ყოველი წუთი ძვირფასია ჩემთვის. ჩემ მიმართ დიდებულნი იყვნენ ფანები და თანაგუნდელები. „მანჩესტერ იუნაიტედი„ ჩემ გულში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილზე დარჩება. ის მსოფლიოში საუკეთესო გუნდია„.

ვან დერ საარს „იუნაიტედის„ შემადგენლობაში ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი - შაბათს, „უემბლიზე„ „ბარსელონას„ წინაალმდეგ. ეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალია. პრესკონფერენციის დასრულებისას ჰოლანდიელმა ჟურნალისტებს ასე მიმართა:

„აბა, შაბათამდე. იმედი მაქვს თასით ხელდამშვენებული წარვდგები თქვენ წინაშე„.



გამარჯვებული ფერგიუსონი

## ანჩელოტი გააგდეს!

მოხდა ის, რაც კარგა ხანია მოსალოდნელი იყო: „ჩელსის„ იტალიელი თავკაცი **კარლო ანჩელოტი** სამსახურიდან გაუშვეს. გახმაურდა თუ არა ეს ამბავი, „ლურჯების„ ფანებმა კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს ჟოზე მოურინიოს** დაბრუნება მოსთხოვეს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში ანჩელოტიმ კარის გაჯახუნებაც კი ვერ შეძლო: ლივერპულის „გუდისონ პარკზე„ „ევერტონთან„ 1:0 წააგო. გვიან საღამოს დასავლეთლონდონელთა პრესცენტრმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

„ჩვენი მეპატრონე და დირექტორატი დიდ მადლობას უხდის კარლოს იმ წვლილისთვის, რომელიც მან „ჩელსის„ ცხოვრებაში ორი სეზონის განმავლობაში შეიტანა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა გუნდი პრემიერლიგის ჩემპიონი და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი გასულ წელიწადს. თუმცა, ბოლო სეზონი „ჩელსიმ„ ცუდად ჩაატარა, რასაც არავინ ელოდა და გადაწყდა, რომ ახლა ყველაფერს ცვლილებები აჯობებს„.

როგორც მოგახსენეთ, „ლურჯების„ ფანებმა მოურინიოს დაბრუნება მოითხოვეს, თუმცა არც ჰოლანდიელი **გუს ჰიდინკის** შესახებ უნდა დავივიწყოთ — 64 წლის სპეციალისტი 2006-2010 წლებში რუსეთის ნაკრების თავკაცი იყო და სწორედ იმ პერიოდში (2009 წლის გაზაფხულზე), ცოტა ხნით, აბრამოვიჩმა „ჩელსიშიც„ მიიწვია. დღეს ჰიდინკი თურქეთის ნაკრებს უდგას სათავეში და თუ რუს ოლიგარქს მისი კვლავ „გალურჯება„ უნდა, რამენაირად უნდა გამოისყიდოს.

ანჩელოტიმ კი თქვა: „მე კლუბის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. „ჩელსიში„ ორი საუცხოო წელიწადი გავატარე. ვფიქრობ, ურიგოდაც არ მიმუშავია. ახლა ჩემს მომავალზე დავიწყებ ფიქრს. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ყველაფერს პრემიერლიგაში დარჩენა მირჩევნია„.

და, რამდენად დიდია მოურინიოს დაბრუნების შანსი? ამ კითხვაზე, ახლა, ნამდვილად ვერ გიპასუხებთ, თუმცა, ერთის თქმა შეგვიძლია, რომ თავის დროზე აბრამოვიჩმა პორტუგალიელი სამსახურიდან საკმაოდ უხეშად გააგდო და მათ შორის, როგორც ინგლისური გაზეთები წერდნენ, ცუდი ურთიერთობა იყო. დღეს, იგივე გაზეთები წერენ, რომ 48 წლის მოურინიომ და 44 წლის აბრამოვიჩმა ურთიერთობა გაარკვიეს და ერთმანეთს უკავშირდებიან კიდეც.

## წავიდა, ჰე...

„ბლექპულის„ ძალიან სიმპატიური გუნდი პრემიერლიგიდან მისი მცველის, **იან ივეტის** იდაყვმა გააგდო... სწორედ ივეტმა შეაგდო ის ავტოგოლი, რომელმაც „ბლექპულს„ „მანჩესტერ იუნაიტედთან„ წააგებინა, თუმცა **იან ჰოლოუეის** ვაჟკაც ბიჭებს „ოლდ ტრეფორდზე„, დიდი ჩემპიონისთვის გოჯიც არ დაუთმიათ. საბოლოოდ, შეხვედრა „იუნაიტედის„ გამარჯვებით, 4:2 დასრულდა.

მომავალ სეზონში, ჰოლოუეი და მისი „ბლექპული„ „ვესტ ჰემსა„ და „ბირმინგემთან„ ერთად „ჩემპიონატში„ ანუ პრემიერლიგის ქვედა საფეხურზე ისასპარეზებენ.

ივეტმა თავის კარში რომ შეაგდო, ანგარიში 2:2 იყო, მაგრამ ამაყმა ჰოლოუეიმ ასე თქვა: „ეს ბიჭები „ბლექპულის„ ლეგენდებში მოხვდებიან და ჯიმი არმფილდის გვერდით დაიკავებენ ღირსეულ ადგილს. ის, რასაც მათ ამ მოკლე დროში მიაღწიეს, ფენომენალური იყო, მაგრამ ეს უკვე წარსულია. ამიერიდან მე დიდი სამუშაო მელის. უპირველეს ყოვლისა პოზიციები მექნება გასამაგრებელი. მტაცებლები უკვე ჩასაფრებულები არიან და ჩემი გმირებიდან მომავალ სეზონში რამდენი დამრჩება კაცმა არ იცის„.



ბირმინგემი გავარდა

„ოლდ ტრეფორდზე„ გამართულ შეხვედრაში იყო ექვსწუთიანი მონაკვეთი, როდესაც „ბლექპული„ უგებდა „მანჩესტერ იუნაიტედს„ და მის გულშემატკივარს გულში კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასწაულის იმედი უღვიოდა. თუმცა მერე, პარალელურად მიმდინარე შეხვედრებში საქმეები ისე განვითარდა, რომ გაირკვა - „ბლექპულს„ გავარდნიდან ვერც ფრე გადაარჩენდა.

პარალელურად ჩატარებული შეხვედრები ვახსენეთ: „უიგანი„ **უგო როდალეგას** გოლმა დატოვა პრემიერლიგაში (**რობერტო მარტინესის** გუნდმა სტოკში გაიმარჯვა), „ვულვერჰემპტონს„ კი „კარგმა წაგებამ„ უშველა — **სტივენ ჰარტმა** „ბლექბერნის„ კარში გოლი თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე შეაგდო და გუნდმა 2:3 წააგო, რაც დასარჩენად საკმარისი აღმოჩნდა.

„უიგანის„ ფეხბურთელებმა და 37 წლის მწვრთნელმა, **რობერტო მარტინესმა** რასაკვირველია ქება დაიმსახურეს, მაგრამ გუნდის წარმატება მეპატრონე **დეივ უილენის** დიდი გარჯის შედეგიც არის. 74 წლის თავმჯდომარემ თქვა:

„ჩვენ პატარა კლუბი გვყავს და პატარა ქალაქიდანაც ვართ, მაგრამ დიდი გული და უტეხი სული გვაქვს. არ გეგონოთ, რომ პრემიერლიგაში დარჩენა ამ ლიგის დიდი შემოსავლების გამო გვიხარია. ეს, უბრალოდ, თავმოყვარეობის ამბავი იყო. ჩვენმა ბიჭებმა ეს დაიმახსოვრეს, ისინი ფანტასტიკურები იყვნენ„.

ალსანიშნავია, რომ „უიგანმა„ ბოლო ორი შეხვედრა მართლაც საუცხოოდ ჩაატარა. წინა ტურში „ვესტ ჰემს„ მოუგო, ბოლოში კი, როგორც მოგახსენეთ, „ბრიტანია სთედიუმზე„ გაიმარჯვა. საინტერესო ფაქტია: მთელი ორი წლის განმავლობაში მარტინესის ხელმძღვანელობით გუნდმა პირველმა გაიმარჯვა ზედიზედ ორ შეხვედრაში.

„თამაშის წინ ფანებს დავპირდი, რომ თუ გავიმარჯვებდით, ჩემს იღბლიან პიჯაკს მათ ტრიბუნაზე ავუგდებდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გამახსენდა, შიგ საფულე მედო და გადავიფიქრე„ - თქვა პრეს-კონფერენციაზე ბედნიერმა მარტინესმა.

ლონდონში, **რომან პავლიუჩენკოს** მიერ ბოლო წამს გატანილმა გოლმა „ტოტენჰემ ჰოთსპურს„ „ბირმინგემი„ დაამარცხებინა. როგორც გუშინ მოგახსენეთ, რუს ფორვარდს ეს გოლი რომც არ გაეტანა, „ბლექბერნის„ კარში გატანილი „ვულვზის„ მეორე გოლის გამო ბირმინგემელები მაინც გავარდებოდნენ. ახლა, მათ მწვრთნელს, **ალექს მაკლიშს** შეუძლია თავი იმით იმშვიდოს, რომ მართალია გავარდა, მაგრამ „ქარლინგის თასის„ მფლობელი მაინც გახდა.

„გულდაწყვეტილი ვარ. გოლი რომ გავიტანეთ, ვიფიქრე, გადავრჩით-მეთქი... ახლა უსიამოვნო შეგრძნება მთელი ზაფხულის განმავლობაში გამყვება, მაგრამ ვალდებული ვარ, „ბირმინგემი„ პრემიერლიგაში დავაბრუნო.

თამაში გიჟურად მიმდინარეობდა. ყოველ წამს მესიჯები მომდიოდა. სიტუაცია სხვა სტადიონებზეც იცვლებოდა და ხან ვრჩებოდით პრემიერლიგაში, ხან ისევ ვვარდებოდით. ნამდვილი საგიჟეთი გამოვიარე და ემოციურად განადგურებული ვარ. გეგონება, თავზე ტრუსები მეცვა და მთელი საღამო ისე ვცეკვავდი. სხვა გზა არ მაქვს, პროფესიონალი ვარ და თავი ხელში უნდა ავიყვანო„.

## ტევესი კი გარბის

„სიტი„ მესამე ადგილზე გავიდა — გაზაფხულზე ხელიდან წასულ „არსენალს„ აჯობა და სექტემბერში, ჩემპიონთა ლიგაში თამაშს პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს. ინგლისის ჩემპიონატში ასეთი მაღალი ადგილი „სიტის„ 34 წელიწადია არ დაუკავებია, მაგრამ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მიღწეული არ აკმაყოფილებს და კლუბის არაბ მეპატრონეებს ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფულს სთხოვს, თან, რაც შეიძლება სწრაფად.

ისტლენდელებმა ბოლო ტურში სტუმრად „ბოლტონი„ დაამარცხეს, 2:0. გოლები **ჟოლიონ ლესკოტმა და ედინ ჯეკომ** გაიტანეს.

მანჩინიმ თქვა: „ჩვენ ახალი ფეხბურთელები გვჭირდება, რათა გუნდი კიდევ უფრო გავაძლიეროთ. ფეხბურთი ისეთი სფეროა, სადაც შესაძლოა დიდძალი ფული დახარჯო, მაგრამ ვერაფერი მოიგო. ფული გარანტიას არ იძლევა. მეორე მხრივ, თუ არ დახარჯავ, ვერც მოიგებ. მოკლედ, ფეხბურთი ძალიან უცნაური რამ არის, მაგრამ ერთი რამ მაინც ფაქტია: წარმატებისთვის უნდა დახარჯო კიდეც და მერე სწორადაც იმუშაო.

გასული სეზონი ფანტასტიკური იყო. ახლა, ახალი მოთამაშეების შესაძენად 40 დღე გვაქვს„.

მანჩინის, რასაკვირველია, **კარლოს ტევესის** ამბავზეც ჰკითხეს. 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის დარჩენა-არდარჩენის ამბავი ხომ ახლა, ისტლენდზე, ყველაზე მეტად აწუხებთ. ამ კითხვაზე იტალიელმა უპასუხა, რომ ფორვარდი არსად არ წავა და კლუბში დარჩება, მაგრამ მისი ქცევა საპირისპიროს ამტკიცებს. კერძოდ, ტევესმა გადაწყვიტა კლუბის გუშინდელ ზეიმს არ დასწრებოდა და არგენტინაში გაფრენილიყო - ბილეთები დაჯავშნა. დაგვეთანხმებით, ეს ცოტა უცნაური საქციელია. ნეტავ, თავდამსხმელს ბუენოს-აირესში ასეთი რა საქმე ჰქონდა, რომ ერთ დღეს ვერ მოითმენდა თავისივე წარმატების საზეიმოდ? იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გაქცევა მინიშნება გახლდათ, რომ მას „სიტიდან„ წასვლა სურს, საქციელი მაინც უცნაურია — ამქვეყნად კლუბს უამრავი ფეხბურთელი ტოვებს და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას, საამისოდ, ზეიმების გაცდენა და ჯიბრიანი თუ გაუწონასწორებელი ქცევა არ სჭირდება. ცნობისთვის: „მანჩესტერ სიტიმ„ ვარსკვლავს ინგლისურ და მის მშობლიურ ესპანურ ენებზე მისწერა, რომ ზეიმის გაცდენის შემთხვევაში ერთი კვირის ხელფასით დააჯარიმებდა, ეს კი 225 ათასი ფუნტი გახლავთ.

და კიდევ ერთი ცნობა „მანჩესტერ სიტის„ ბანაკიდან: ისტლენდელებმა ვაჭრობაში „ბარსელონას„ აჯობეს და „სელტას„ ვუნდერკინდი **დენის სუარესი** იყიდეს.

ვიგოელთა კლუბის პრეზიდენტმა, **კარლოს მოურინომ** დაადასტურა, რომ ესპანეთის 17-წლამდელთა გუნდის ნახევარმცველი ისტლენდზე გადადის. გარიგება ასეთია: ინგლისელები „სელტას„ თავიდან 850 ათას ფუნტს ანუ დაახლოებით მილიონ ევროს გადაუხდიან, თუმცა თუ ფეხბურთელი გამოადგებათ, თანხას 2,75 მილიონ ფუნტამდე (3,13 მილიონი ევრო) გაზრდიან.

ბარემ აქვე დავძენთ, რომ „სიტის„ 24 წლის იაპონელი **კეისუკე ჰონდას** შეძენაც აინტერესებს. ჰონდა, მოგეხსენებათ, მოსკოვის ცსკა-ს საკუთრებაა. ისტლენდელთა ინტერესის სფეროსია კიდევ ერთი იაპონელი, „ლესტერში„ მოთამაშე, 29 წლის **იუკე აბე**.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ტევესს სიტი მობეზრდა



ვულვერჰემპტონმა მომგებიანად წააგო

ლიგა 1. XXXVII ტური. გამოხმაურება



ვეტერანები კუპე და მაკელელე ფეხბურთიდან ცოტა გულდაწყვეტილები მიდიან

# მიუგებელი მისაგები

## ტურის მატჩი

ამ რუბრიკაში არჩევანი ნამდვილად არ გვქონია. შეუძლებელი იყო, გვერდი აგვექცია და გასული უქმეების საუკეთესი მატჩად პსჟ-„ლილი" არ დაგვესახელებინა. „პარკ დე პრენსის" დაპირისპირებიდან გულშემატკივარი ძალიან ბევრს ელოდა და მოლოდინი ბოლომდე გამართლდა. ტრიბუნებზე შეკრებილმა ფანობამ ცეცხლოვანი ფეხბურთი იხილა. სასიამოვნოა, რომ ჩემპიონის ვინაობა ასეთ ბრწყინვალე შეხვედრაში გაირკვა. ყველაფერი კი ისევ **გრეგორი კუპესა** და **ლუდოვიკ ობრანიაკის** დუელით გაიხსნა. გახსოვთ, რომ საფრანგეთის თასის ბედი სწორედ ამ უკანასკნელის დარტყმულმა გადაწყვიტა 89-ე წუთზე. ამჯერად კი გოლი მე-5 წუთზე გავიდა. პირველი ნახევარი მაინც ფრედ დასრულდა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **გილემ ოარომ** მშვენივრად ითამაშა, კარიდან 7 მეტრში ბურთი იოლად დაამუშავა და ძლიერად დაარტყა. სულ რამდენიმე წუთში ოარო მატჩის ერთ-ერთი გმირიდან ანტიგმირად გადაიქცა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე არბიტრმა ის სიმულაციისთვის მინდვრიდან მიაბრძანა. ვერ გეტყვით, რამდენად დასაბუთებული იყო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ პსჟ-ს რომ ამის შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა, ფაქტია. მატჩი ისე დასრულდა, რომ გუნდებმა თითო გოლიღა გაუცვალეს ერთმანეთს. პარიზელებს მბჟუტავი იმედიღა დარჩათ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მაინც დაეუფლებიან. მათდა სამწუხაროდ, ყველაფერი მათზე დამოკიდებული უკვე აღარ არის.

რაკი ლაპარაკი მონდომებაზე ჩამოვარდა, შეუძლებელია, მოკლედ არ ვთქვათ „მონაკოს" თავდადებულ ბრძოლაზე. პატარა სამეფოს მკვიდრები „მონპელიეს" თავდადებით ეკვეთნენ და გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა გასავარდნ ზონას თავი მაინც ვერ დააღწიეს.

ის, რომ „არლმა" 36-ე ტურში გამარჯვება მოიპოვა, უკვე საოცარი იყო, თუმცა უკვე აღარ ვიცით, რა დავარქვათ იმას, რაც 37-ეში მოხდა. განა რა მოხდა ასეთი? „არლმა" კიდევ მოიგო - მართალია მასავით ელიტიდან დაქვეითებულ „ლანსთან" იმარჯვა, მაგრამ ესეც საკმარისი მიზეზია იმისთვის, რათა ვთქვათ: გაოგნებულები ვართ.

## ტურის მოვლენები

**გრეგორი კუპე** სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთიდან მიდის. მისი განცხადებით ის ფეხბურთს პროფესიულ დონეზე აღარ ითამაშებს, თორემ საყვარელი საქმის გარეშე ვერ გაძლებს. გრეგორისთვის ეს ბოლო კლუბში ბოლო საშინაო მატჩი იყო და შესაბამისად, პსჟ-ს ხელმძღვანელობამ მისთვის სათანადო გაცილების მოწყობა სცადა. „სცადა" - იმიტომ, რომ გუნდმა მხარი ვერ აუბა და თამაშის მოგება ვერ შეძლო. ვეტერანს რაც ეკუთვნოდა, თანაგუნდელებმა ის პატივი ვერ მიაგეს. იმავეს თქმა შეიძლება ასევე ღვაწლმოსილ ვეტერან **კლოდ მაკელელეზე**. ფეხბურთიდან ისიც მიდის და ისიც გულდაწყვეტილი.

37-ე ტურმა ის შედეგი მოიტანა, რომ საბოლოოდ გაარკვია 4 ადგილი მესაკუთრის ვინაობა. „ლილს" რომ პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება და „არლს" ბოლოს, ეს უკვე იცით. გაირკვა ისიც, რომ „ლანსი" ჩემპიონატს მე-19 ადგილზე დაასრულებს, ხოლო „მარსელი" მე-2-ზე.

„მარსელის" 21 წლის ესპანელმა განაპირა მცველმა **სესარ ასპილიკუეტამ** გასული წლის ნოემბერში მუხლი დაიზიანა და მას მერე მინდორზე აღარ გასულა. პერსპექტიულმა ფეხბურთელმა დაბრუნება მხოლოდ 37-ე ტურის შეხვედრაში მოახერხა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **დიდიე დეშამმა** მას სიმბოლურად მისცა მინდორზე შესვლის საშუალება.

## ტურის გმირი

„ნიცა" გავარდნის პირას იყო და მისმა ლიდერმა **ერინ მულუნგიმ** ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ 2008 წელს „სტრაბურთან" ერთად ერთხელ უკვე განცდილი კრახი ამჯერად თავიდან აეცილებინა. 27 წლის გაბონელმა ფორვარდმა „ლორიანს" დუბლი შეუსრულა. ბოლო ტურში „ნიცას" „ვალანსიენთან" უწევს რთული გასვლითი დაპირისპირება, ხოლო მის უშუალო კონკურენტ „მონაკოს" „ლიონის" მასპინძლობა მართებს. ლიგა 1-ში დასარჩენად „ნიცას" ქულა არ ჰყოფნის, „მონაკომ" თუ მოიგო, ის ბურთების სხვაობით ასწრებს და ლიგაში რჩება.

## ტურის ფრაზა

„ეს მატჩი ჩვენი წლევანდელი პრობლემების სადემონსტრაციოდ მშვენიერი მაგალითი იყო. საკუთარ მინდორზე ბევრი სულელური ქულა დავკარგეთ და გასვლაზე მეტ-ნაკლებად ნორმალურმა თამაშმა ამის კომპენსაცია ვერ მოახდინა," – თქვა „მარსელის" კარის დარაჯმა **სტივ მანდანდამ**. თუმცა ფრანგი ჟურნალისტების აღიარებით, სტივს შეეძლო ყოველგვარი ზედმეტი ფილოსოფიის გარეშე ეღიარებინა, რომ „ლილი" წელს მის გუნდს ერთი თავით სჯობდა.

სტატიის დასასრულს აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ ლიგა 1-ის უმთავრესი ინტრიგის „გარდაცვალების შემდგომ" თქვენთვის სეზონის სიმბოლური ნაკრები გაგვეცნო. ნაკრები, რომელიც საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა გამოკითხვით შეადგინა. მაშ ასე: **სტივ მანდანდა** (მარსელი) – **ანტონი რევეიერი** (ლიონი), **ადილ რამი** (ლილი), **მამადუ სახო** (პსჟ), **ტაიე ტაივო** (მარსელი) – **იან მვილა** (რენი), **ჟერვინიო** (ლილი), **ედენ აზარი** (ლილი), **ნენე** (პსჟ) – **კევინ გამეირო** (ლორიანი), **მუსა სოვი** (ლილი)

## ტურის სიმბოლური ნაკრები

**ლანდრო** (ლილი) – **სახო** (პსჟ), **აპანგა** (ბრესტი), **სეტო** (ტულუზი) – **ფერე** (ნანსი), **მარტენი** (სოშო), **კადერი** (ვალანსიენი), **ობრანიაკი** (ლილი) – **იდეიე** (სოშო), **მულუნგი** (ნიცა), **კერმორგანი** (არლი)

## ტურის გუნდები

„ნანსი" „რენის" წინააღმდეგ მატჩს როგორც ცხოვრების ბოლო ბრძოლას ისე მიუდგა და სრულიად დამსახურებულადაც გაიმარჯვა. შედეგად, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ეს პროვინციული გუნდი ელიტაში მომავალ წელსაც ითამაშებს. ამით ურუგვაელმა მთავარმა მწვრთნელმა **პაბლო კორეამ** გუნდს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. მოგეხსენებათ, სეზონის დასრულებისთანავე ის საფრანგეთს ტოვებს და სამუშაოდ სამხრეთ ამერიკაში მიდის.

აიაქსი

# ახალი კონტრაქტები

„აიაქსის" ხელმძღვანელობას ჯერ ძველი სეზონის შედეგები არ ჰქონდა შეჯამებული, რომ უკვე ახალზე ფიქრს შეუდგა. პირველი სიახლეები მათ ბანაკში უკვე დადასტურდა, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ.

ამსტერდამელებმა 22 წლის ნახევარმცველ **სიმ დე იონგს** ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. გულშემატკივარს ალბათ ახსოვს, რომ სწორედ სიმის დუბლმა მოუტანა „აიაქსს" გამარჯვება „ტვენტესთან" 34-ე ტურის შეხვედრაში. აღნიშნულ ინფორმაციას გაზეთი „ომრუპ გელდერლანდი" ავრცელებს. ფეხბურთელს კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს და „აიაქსს" მისი გახანგრძლივება ორი წლით სურს.

„აიაქსის" გულშემატკივრებისთვის ჩვენ კიდევ ერთი კარგი ინფორმაცია გვაქვს. ჰოლანდიურმა გრანდმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ტვენტესთან" **ტეო იანსენის** ტრანსფერზე შეთანხმდა. როგორც აღმოჩნდა, შეთანხმება მხარეთა შორის გასულ პარასკევს მიღწეულა. მცირე გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ ფეხბურთელს მუხლზე მსუბუქი ოპერაცია ჰქონდა დაგეგმილი და შესაბამისად ახლა სამედიცინო შემოწმების ჩატარებას აზრი არა აქვს. თუმცა ამის მიუხედავად „წითელ-თეთრების" სამედიცინო შტაბმა ფეხბურთელის ტრანსფერზე ვიზა მაინც გასცა. როგორც ჩანს, დაზიანება სერიოზული მართლაც არ არის. 29 წლის შუახაზელის ტრანსფერი სულ რაღაც 3 მილიონი ევრო დაჯდა. მხარეთა შორის კონტრაქტი ორი წლით 2013 წლამდე გაფორმდა. ბუნებრივია, ჟურნალისტებმა „აიაქსის" ახალწვეულს კომენტარი სთხოვეს. აი, რა განაცხადა ფეხბურთელმა: *„აიაქსში" იმიტომ გადავედი, რომ კიდევ ერთხელ მინდა ჩემპიონი გავხდე".*

დაბოლოს, გეტყვით, რომ ჰოლანდიურმა გრანმა დაადასტურა, რომ მზადაა, საყრდენი ნახევარმცველი **რასმუს ლინდგრენი** გუნდიდან სრულიად უფასოდ გაუშვას. **ფრანკ დე ბურის** გუნდში მოსვლის შემდეგ მან ძირითადში ადგილი დაკარგა და შეიძლება ისიც ითქვას, რომ სასტარტოში დაბრუნების შანსი პრაქტიკულად არც აქვს. შვედმა ეს მშვიდად მიიღო და სამაგიეროდ ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. „აიაქსი" უდიდეს დათმობაზე წავიდა და მას თავისუფალი აგენტის სტატუსის მინიჭებას დაჰპირდა. სად გააგრძელებს კარიერას სკანდინავიელი, ჯერჯერობით უცნობია.



ტეო იანსენი

ვარსკვლავი

# წლის ფეხბურთელი



ედენ აზარი

ბელგიელი **ედენ აზარი** საფრანგეთის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად ზედიზედ ორჯერ დასახელდა 2009 და 2010 წლებში. წელს კი მან უზარმაზარი როლი ითამაშა იმაში, რომ „ლილმა" ჯერ საფრანგეთის თასი მოიპოვა, შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. სწორედ ეს დაუფასეს ახალგაზრდა ფეხბურთელს და ის საფრანგეთში მოთამაშე კოლეგა-ფეხბურთელების გამოკითხვის შემდეგ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ბელგიელის უშუალო კონკურენტები იყვნენ „ლილში" მისივე თანაგუნდელი **მუსა სოვი**, „ლორიანის" შემტევი **კევინ გამეირო** და პსჟ-ს ბრაზილიელი ნახევარმცველი **ნენე**. წლის მწვრთნელად კი, რასაკვირველია, **რუდი გარსია** დასახელდა. სეზონის მეკარედ გამოკითხვამ „მარსელის" კარის დარაჯი **სტივ მანდანდა** აღიარა. აზარს წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი ამჯერად **მამადუ სახომ** „წაართვა".

ედენ აზარის გარშემო უამრავი ჭორი დადის. თავად ფეხბურთელი აცხადებდა, რომ სეზონის ოფიციალურად დასრულებამდე სამომავლო გეგმებზე კრინტს არ დაძრავდა. თუმცა „ლილი" ყველა დსახულ მიზანს შესწვდა. ჟურნალისტებმა ვარსკვლავისგან პირობის შესრულება მოითხოვეს.

აზარს რჩევა მისცა საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **კრისტოფ დიუგარიმ**. მან მშვენივრად იცის, თუ რა ძნელია იტალიის ჩემპიონატთან შეგუება და შესაბამისად, თუ ვინმეს დაეჯერება, პირველ რიგში სწორედ ის არის. მან ბელგიელს გულწრფელად სთხოვა, რომ ამ ეტაპზე კარიერის „ინტერში" გაგრძელებაზე უარი თქვას და ლიგა 1-ში, მინიმუმ, წელიწადი დარჩეს. *„ასეთი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის იტალიაში სათამაშოდ წასვლა ძალიან ადრეა. ყოველთვის არის შანსი, რომ მისი ტალანტი გრანდში მთლიანად დაიკარგოს. ედენს მშვენიერი შანსი აქვს, „ლილის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს და თავისი პოტენციალი მთელ ევროპას დაუმტკიცოს. მე ვთხოვ მას, დარჩეს საფრანგეთში თუნდაც ერთი წელი. მას ნათელი მაგალითი ჰყავს კარიმ ბენზემას სახით. ის ხომ დიდ კლუბში დროზე ადრე გადავიდა და სწორედ ამის გამოა, პოტენციალს ბოლომდე რომ ვერ ავლენს. დამერწმუნეთ, ასეთ ასაკში შეუძლებელია პრესისა და ფანების ის ზეწოლა აიტანო, რაც ყოველ წვრილმან შეცდომას თან სდევს,"* – უთხრა ვეტერანმა „გაძეტა დელო სპორტს".

ჰოლანდიის ნაკრები

# ვან მარვიიკმა დაასახელა

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა **ბერტ ვან მარვიიკმა** „ნარინჯისფერთა" ლაშქარს უხმო. შეგახსენებთ, რომ სწორედ ჰოლანდია და გერმანია არიან ის გუნდები, რომელთაც პრაქტიკულად უკვე გაინაღდეს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობა. თუმცა ამჯერად ბენილუქსელებს ამხანაგური მატჩები ელით ბრაზილიისა და ურუგვაის წინააღმდეგ.

მეკარეები: **მიხელ ვორმი** (უტრეხტი), **ტიმ კრული** (ნიუკასლი), **იასპერ კილისენი** (ბრედა)

მცველები: **ჰალიდ ბულაჰრუზი** (შტუტგარტი), **ედსონ ბრაფჰეიდი** (ჰოფენჰაიმი), **ჯეფრი ბრუმა** (ლესტერი), **ჯონ ჰეიტინგა** (ევერტონი), **იორის მატიისენი** (ჰამბურგი), **ერიკ პიტერსი** (ეინდჰოვენი), **გრეგორი ვან დერ ვილი** (აიაქსი)

ნახევარმცველები: **იბრაჰიმ აფელაი** (ბარსელონა), **ნაიჯელ დე იონგი** (მანჩესტერ სიტი), **ჰედვიგეს მადურო** (ვალენსია), **სტინ სხაარსი** (ალკმაარი), **ვესლი სნეიდერი** (ინტერი), **კევინ სტროტმანი** (უტრეხტი), **დემი დე ზეუვი** (აიაქსი)

თავდამსხმელები: **ელჯრო ელია** (ჰამბურგი), **ლუკ დე იონგი** (ტვენტე), **დირკ კუიტი** (ლივერპული), **რობინ ვან პერსი** (არსენალი), **არიენ რობენი** (ბაიერნი), **კლაას-იან ჰუნტელაარი** (შალკე)



ბერტ ვან მარვიიკი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● რომა

# იმედიანი მონტელა ტრანსფერებზე ფიქრობს




ვინჩენცო მონტელა

როდესაც „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ვინჩენცო მონტელა** დანიშნეს, გუნდი კრიზისში იყო და ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა სკუდეტოს მოპოვების შანსი. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა ჯერ კიდევ რეალური გახლდათ და სწორედ ეს მიზანი დაუსახეს კლუბის მესვეურებმა ახალგაზრდა სპეციალისტს. სერია A-ს 2010/2011 წლების გათამაშება გასულ უქმეებზე დასრულდა, „რომა" ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა დარჩა – ანუ, ამოცანა არ შესრულდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მონტელასადმი იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ბევრის აზრით, ვინჩენცომ გაართვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავი და აუცილებლად უნდა გააგრძელოს მუშაობა, ნაწილს კი მის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება. თავად მონტელა პრესასთან შემდეგ კომენტარს აკეთებს:

*„გამოგიტყდებით და მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა იმაზე უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მეგონა. ერთია ის უდიდესი სამუშაო, რომელიც უნდა გასწიო და მეორე - წნეხი, რომელიც მედიის მხრიდან ხორციელდება. არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სპეციალისტი რომში ჩამოვიდა და კლუბის მესვეურებთან მოლაპარაკებები გამართა, კარლო ანჩელოტის შესახებ კი უკვე როგორ „ჯალოროსის" მწვრთნელზე, ისე ლაპარაკობდნენ. ასეთ ვითარებაში რთულია სრული კონცენტრაცია მოახდინო საქმეზე, მაგრამ ჩემი აზრით, დაკისრებულ მოვალეობას თავი საკმაოდ კარგად გავართვი. შესაძლოა, ყველა თამაში ვერ მოვიგეთ, მაგრამ პროგრესი სახეზეა და ვფიქრობ, ამას გულშემატკივრებიც აფასებენ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ძალიან გვინდოდა, მაგრამ მეოთხე ადგილს ვერ შევწვდით – იქნებ ასეც იყოს საჭირო, რადგან გუნდი შენების პროცესშია და ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, ორ ფრონტზე ბრძოლას შესაძლოა გადაუჭრელი პრობლემები შეექმნა ჩვენთვის. მომდევნო სეზონში ის უნდა დავინახოთ, რასაც ჩემი მთავარ მწვრთნელად დანიშვნის დღიდან ჩავუყარეთ საფუძველი და ვფიქრობ, რომ ასეც იქნება".*

მონტელას ისე გამოუვიდა: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო", მაგრამ ერთში კი უნდა დავეთანხმოთ – ასეთი ფორმაციის „რომას", ორ ფრონტზე ბრძოლა ნამდვილად გაუჭირდება. სხვა საქმეა, თუ კლუბში დიდძალი ინვესტიციები ჩაიდო და როგორც ცნობილია, **ტომას დი ბენედეტო** სწორედ ამას აპირებს. იტალიური წარმოშობის ამერიკელმა ბიზნესმენმა რამდენიმე თვის წინ შეიძინა კლუბი და მიზნად მისი აღორძინება დაისახა. ახალ მეპატრონეზე მონტელას შემდეგი მოსაზრება აქვს:

*„სენსების ოჯახის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი და ძალიან მიხარია, რომ კლუბის მმართველობაში ისინიც რჩებიან. მივესალმები ტომას დი ბენედეტოს გამოჩენასაც, რადგან „რომას" გულშემატკივრები დიდი ხანია ელოდებიან ისეთ ცვლილებებს, რომელიც გუნდს განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანს. ახალ მფლობელს ჯერ არ შევხვედრივარ და არ ვიცი რას აპირებ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რამდენიმე მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელს დავიმატებთ. დიახ, პირველ პირში ვლაპარაკობ, რადგან ჩემი „ჯალოროსის" სათავეში დარჩენის შანსი მინიმუმ 90%-ია. საიდან ვიცი? – მართალია, დი ბენედეტოს არ შევხვედრივარ, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას ვფლობ და სიტყვებს ჰაერზე ნამდვილად არ ვამბობ. თანაც, ობიექტური გადასახედიდან, განვლილი პერიოდი, წესით, დადებითად უნდა შეფასდეს და არა მგონია, ტომასი ჩემი არაკეთილმოსურნე იყოს. როგორც ვიცი, ძალიან უყვარს ფეხბურთი, რომი და „რომა" – გამომდინარე აქედან, მასთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება".*

მონტელა სიმშვიდეს ინარჩუნებს, მაგრამ იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად იწერება „ჯალოროსის" სათავეში **კარლო ანჩელოტის** მისვლის შესახებ. მოგეხსენებათ, კარლეტო „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს და ჯერჯერობით, სრულიად თავისუფალია. მას არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად ჩაიბარებს „რომას", რადგან ამ გუნდში თავის დროზე წლები აქვს გატარებული.

ანჩელოტის კანდიდატურას **ფრანჩესკო ტოტიმ** დაუჭირა მხარი, რაც პატარა საქმე ნამდვილად არ გახლავთ – მოვუსმინოთ კაპიტანს: *„იმედია, კლუბის მესვეურები განიხილავენ ანჩელოტის კანდიდატურას და იქნებ მთავარ მწვრთნელადაც დანიშნონ – მონტელასადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მოვლენათა ასეთი განვითარების წინააღმდეგი არ ვარ. ვინჩენცო ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მას უდიდესი მომავალი აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე გუნდს უფრო ანჩელოტი გამოადგება. კოლოსალური გამოცდილება აქვს, გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე სპეციალისტია, რაც დღეს „რომას" ყველაზე მეტად სჭირდება".*

**ლაშა ნიკლაური**

● სერია A. ბოლო ტურის შეჯამება

# კიდევ ერთი საცეკვაო ნომერი

## და პრიმავერელის საოცარი დებიუტი



### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ამელია** (მილანი) – **მაჯო** (ნაპოლი), **ტიაგო სილვა** (მილანი), **მორერო** (კიევო), **კრიშიტო** (ჯენოა) – **ვარგასი** (ფიორენტინა), **სტანკოვიჩი** (ინტერი), **კოპოლა** (ლეჩე) – **გრანდოლფო** (ბარი), **ფლორო ფლორესი** (ჯენოა), **სარატე** (ლაციო).

უკანასკნელი ტურის სიმბოლური ნაკრები 4-3-3 ტაქტიკით განლაგდა. დაცვა ვარსკვლავური გამოვიდა – შესაძლოა **მორეროზე** ეს ნაკლებად ითქმის, მაგრამ **მაჯო, კრიშიტო** და **ტიაგო სილვა** საყოველთაოდ ცნობილი ფეხბურთელები არიან. მილანელი სულაც მეექვსეჯერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი საუკეთესოა აპენინებზე. ნახევარდაცვის სამეული საკმაოდ შემტევია – **დეიან სტანკოვიჩი** ხშირად თამაშობს გამთამაშებლის პოზიციზე, მისი შორეული დარტყმების შესახებ კი ყველას კარგად მოეხსენება... „ლეჩელი" **კოპოლაც** შეტევაზე ორიენტირებული შუახაზელია - რომ აღარაფერი ვთქვათ ფლორენციელ **ხუან მანუელ ვარგასზე**.

თავდასხმაში არგენტინელ **მაურო სარატეს** და არგენტინული წარმოშობის იტალიელ **ანტონიო ფლორო ფლორესს** ვხედავთ – კინაღამ დაგვავიწყდა, აქვეა „ბარის" ახალგაზრდა თვდამსხმელი **ფრანჩესკო გრანდოლფო**, თუმცა მასზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ...

### ტურის გმირი

როგორც უკვე მიხვდით, ამ ნომინაციაში ფრანჩესკო გრანდოლფოზე გვექნება საუბარი, „ბარის" 19 წლის თავდამსხმელზე, რომელსაც დებიუტი ჰქონდა სერია A-ში და ყველასათვის მოულოდნელად, „ბოლონიას" სამი გოლი გაუტანა. მართლაც გასაოცარია, ნუთუ აქამდე ვერ შეამჩნიეს სერია B-ში გავარდნილი გუნდის მესვეურებმა, რომ პრიმავერაში ასეთი ტალანტი ჰყავდათ – მხოლოდ უკანასკნელ ტურში მისცეს თავის გამოჩენის საშუალება და მანაც ისე ითამაშა, რომ საფეხბურთო იტალია პირდაღებული დატოვა. გრანდოლფომ უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ აუცილებლად დარჩება „ბარიში" და გუნდს სერია A-ში დასაბრუნებლად დაეხმარება. ყველაზე უფრო პარადოქსული კი ის გახლავთ, რომ ამ ერთი თამაშით ახალგაზრდა ფორვარდი გუნდის მეორე ბომბარდირი გახდა მთელი სეზონის მასშტაბით.

### ტურის მოვლენა

იოლი მისახვედრია, რომ ტურის მთავარი მოვლენა „უდინეზეს" მიერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვებაა. ფრიულელებმა საკუთარ მოედანზე სასურველ ფრეს მიაღწიეს „მილანთან" და მეოთხე პოზიცია შეინარჩუნეს. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, „სტადიო ფრიულიზე" დიდი ზეიმი გაიმართა და ამის შესახებ ტურის მიმოხილვაში დეტალურად ვისაუბრეთ. ამიტომ, უმჯობესია პირდაპირ **ფრანჩესკო გვიდოლინის** გადავცეთ სიტყვა, რომელმაც დანაპირები შეასრულა და ლიგის საგზურის აღსანიშნავად ცეკვა შეასრულა:

*„საოცარია, როდესაც აცნობიერებ, რომ მიაღწიე იმას, რისთვისაც მთელი სეზონის განმავლობაში იბრძოდი. მადლობა მინდა გადავუხადო უკლებლივ ყველა ფეხბურთელს და გულშემატკივრებს, რომლებმაც მხურვალედ გვიქომაგეს. ჩვენი მიზნები ამით არ შემოიფარგლება და ამიტომ, ზაფხულში გაძლიერებას ვაპირებთ. უახლოეს დღეებში დაველაპარაკები კლუბის მესვეურებს და იმ გეგმებს დავისახავთ, რომელთა განხორციელებასაც მეთოდურად შევუდგებით. ასე რომ, მომავალში კიდევ უკეთეს „უდინეზეს" იხილავთ".*

### ტურის ფრაზა

**ფრანჩესკო გვიდოლინი (უდინეზეს მთავარი მწვრთნელი):** *„დავდე პირობა, რომ ვიცეკვებდი და ვიცეკვე კიდეც. მართალია, ისეთივე პლასტიკური ვერ ვარ, როგორიც კევინ პრინც ბოატენგი, მაგრამ ცდა არ დამიკლია და ვგონებ, გულშემატკივრებს თავი მოვაწონე".*

### ციფრები და ფაქტები

- **ანტონიო დი ნატალე** ზედიზედ მეორეჯერ გახდა სერია A-ს ბომბარდირი. ასეთი შედეგი ბოლოს **ჯუზეპე სინიორის** ჰქონდა 1992/93-1993/94 წლებში;
- „ინტერის" შეტევა მესამე სეზონია პირველობას არ თმობს;
- თუ კალჩოპოლს არ ჩავთვლით, „იუვენტუსი" პირველად დარჩა ევროტურნირებს მიღმა 1991 წლის შემდეგ;
- ეს იყო პირველი სეზონი სერია A-ს ისტორიაში, როდესაც ხუთმა გუნდმა მოიპოვა მინიმუმ 20 გამარჯვება;
- „კიევომ" პირველად დაამარცხდა „პალერმო" გასვლაზე;

**ლაშა ნიკლაური**

● ამბები

## სუპერბომბარდირი

**კრიშტიანო რონალდო** ამ სეზონში საოცარი შედეგიანობით გამოირჩეოდა - მას საშუალოდ თამაშში 1,17 გოლი გაჰქონდა. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელმა „ალმერიასთან„ მატჩში 2 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა. ამის შემდეგ რონალდო ესპანური ლა ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის გამტანი ფეხბურთელი გახდა - მან სეზონში 40 გოლი მხოლოდ ჩემპიონატში შეაგდო. რონალდომ 34 მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან 17-ში გაიტანა. ამ 17-დან 14-ში მან ორი ან მეტი გოლი შეაგდო. მის ანგარიშზეა ორი პოკერი და 4 ჰეთ თრიკი. მან სეზონში 8 პენალტი შეასრულა და ყველა ზუსტად. 4 გოლი რონალდომ საჯარიმო დარტყმებით გაიტანა. ყველაზე უხვმოსავლიანი მისთვის მაისი გამოდგა, როცა 4 მატჩში 11 გოლი გაიტანა. რონალდომ სეზონში 3 053 წუთი ითამაშა, საშუალოდ მას ყოველ 76,3 წუთში ერთხელ გაჰქონდა.

## 250 ჟურნალისტი კამპ ნოუზე

28 მაისის ფინალამდე უეფა ორივე ფინალისტ კლუბში მედიის დღეს აწყობს, რომელიც, ბუნებრივია, მომავალ ფინალს ეძღვნება. გუშინ „ბარსელონას„ დღე იყო და ყურადღებით ისედაც განებივრებული „ბარსა„ მთელი მსოფლიოს ცენტრში მოექცა. დღეს უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის„ მედიის დღეა. კატალონიაში მედიის დღეზე 250-ზე მეტი ჟურნალისტი ჩავიდა. თითქმის ყველა სააგენტო (სპორტული თუ არასპორტული) თუ სხვა მედიასაშუალება გუშინ „კამპ ნოუს„ დარბაზებში იმყოფებოდა. ჟურნალისტთა კითხვებს კი **ხოსეპ გვარდიოლამ** და **ლეო მესიმ** უპასუხეს.

გვარდიოლამ აღნიშნა, რომ ფინალში ფავორიტები არ არიან და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოება კარგ ფინალს იხილავს. პეპმა ახსენა რომის 2009 წლის ფინალი და აღნიშნა, რომ იმ ჩანაწერს ამ დღეებში რამდენჯერმე უყურა. მესიმაც გაიხსენა, ის ფინალი და აღნიშნა, რომ ამჯერად სულ სხვა თამაშს ელის. არგენტინელმა ბევრი მსგავსება დაინახა „ბარსასა„ და „იუნაიტედს„ შორის და აღნიშნა, რომ ორივე გუნდს ხიბლავს შემტევი ფეხბურთი.

## დეპორტივომ მწვრთნელიც დაკარგა

„დეპორტივოს„ თავკაცი **მიგელ ანხელ ლოტინა** თანამდებობიდან გადადგა. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს ლა ლიგის ერთ-ერთი გრანდი „დეპორი„ ამ სეზონში მე-18 ადგილზე გავიდა და პრიმერადივიზიონს დაემშვიდობა. ბოლო ტურში გალისიელებმა საკუთარ „რიასორზე„ 0:2 წააგეს „ვალენსიასთან„, რომელსაც ეს მოგება აღარაფერში სჭირდებოდა. ლოტინამ 4 სეზონი უხელმძღვანელა კლუბს, რომელთაგან „დეპორტივომ„, რომელიც ძველებურად ველარ ყოჩაღობდა, წინა სამში მაინც შეძლო ათეულში ჩემპიონატის დასრულება.

*„ძალიან ვწუხვარ, რომ გუნდთან განშორება მაშინ მიწევს, როცა ის პრიმერადან გავარდა. ჩვენ მაქსიმუმი გავიღეთ, მაგრამ ვერ შევძელით „დეპორის„ გადარჩენა. ფანებს ბოდიში, ჩვენ შევეცადეთ, მაგრამ გემი პორტში ვერ დავაბინავეთ. ამიტომ მე არ მაქვს უფლება თანამდებობაზე დავრჩე. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ესპანეთში 10-მდე გუნდს ჩამოვთვლი, რომელიც ჩვენზე უკეთესი არაა, მაგრამ ჩვენ გავვარდით„.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## არნაუტოვიჩს არაფერი ეშველება

კვირა არ გავა, რომ ბრემენის „ვერდერის„ ავსტრიელი თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი**, რომელიც ამ სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს იმედგაცრუებად შეირაცხა, ახალ სკანდალში არ გაეხვეს. ბრემენული კლუბის ხელმძღვანელებმა გუშინ დაადასტურეს, რომ მარკომ გასულ უქმეებზე ბრემენის ერთ-ერთ დისკოთეკაზე იჩხუბა. თუმცა „ვერდერი„ 21 წლის თავდამსხმელის დასჯისგან ამჯერად თავს იკავებს. შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინ, „მუსიკოსების„ მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** არნაუტოვიჩი უდისციპლინობის გამო გუნდის განაცხადიდან ამოშალა. უამრავი ასეთი შემთხვევის გამო, მარკოს ავსტრიის ნაკრებშიც აღარ იძახებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ. იოახიმ ლიოვი

# ტიტულის დროა, გული კარგს მიგრძნობს

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიომ ლიოვს ამაზე ლიად საუბარი ჯერ არ სურს, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნდესგუნდის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას საფრთხე აღარ ემუქრება. სამაგიეროდ, იოგი სიამოვნებით აღიარებს იმას, რომ მისი გუნდის მიზანი უკრაინასა და პოლონეთში მხოლოდ ევროპის ჩემპიონობა იქნება. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც „ბილდმა„ გამოაქვეყნა.**

**- ჰერ ლიოვი, გვესმის, რომ ოფიციალურად ამის თქმის უფლება არ გაქვთ, მაგრამ ხომ გვეთანხმებით, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საგზური უკვე მოპოვებული გვაქვს?**

- მოდი, ასე ვთქვათ: თუკი ივნისის დასაწყისში ავსტრიასა და აზერბაიჯანს დავამარცხებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ჩემპიონატის კარი ჩვენთვის ღია იქნება. თუ ამ ორ მატჩს მოვიგებთ, მაშინ დიდი სასწაული უნდა მოხდეს, ჯგუფში რომ ჩავრჩეთ.

**- მინიმუმ 15 წელი გავიდა მას მერე, რაც გერმანიას ასეთი ძლიერი გუნდი და ხარისხიანი ფეხბურთელები არ ჰყოლია. ამაშიც ხომ გვეთანხმებით?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ მხრივ მართლა დამაკმაყოფილებელი სიტუაციაა. სხვადასხვა თაობას შორის კი პარალელებს არ გავავლებდი.

**- დამაკმაყოფილებელი? მეტი არა?**

- დამაკმაყოფილებელი. გადაჭარბება არც შეიძლება და კარგსაც არაფერს მოგვიტანს. გერმანიის ნაკრებს მართლა კარგი ფეხბურთელები ჰყავს, შემადგენლობის შერჩევა არ მიჭირს. შეიცვალა ფეხბურთელთა განათლების სისტემაც და ბიჭები ძალიან კარგად არიან ხოლმე მომზადებულები...

**- მაგრამ?..**

- ...თუმცა ამ მართლაც უნიჭიერესი თაობის უმეტეს ნაწილს ჯერ უმაღლესი დონისთვის არ მიუღწევია. შესაბამისად, მუდმივად ერთი და იგივე კითხვები მიტრიალებს თავში: ვინ შეძლებს ზენიტში ასვლას? ვინ გააკეთებს ისეთ ნახტომს, როგორიც 2010 წლის მუნდიალზე მიულერმა, ხედირამ, ნოიერმა და იოზილმა გააკეთეს? ცხადია, ძალიან საინტერესო თაობა წამოვიდა, მაგრამ ბუნდესლიგის ერთი სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებ. შესაბამისად, სულ ახალ თაობას ევროპის ტოპდონეზე ჯერ ვერ ვხედავ.

**- ეს რას ნიშნავს?**

- მათ შორის განსაკუთრებული და გამაოგნებელი ტალანტი მხოლოდ მარიო გიოტცეა. სხვა დორტმუნელები, ისევე, როგორც ანდრე შიურლე და მარკო როისი, ჯერ მხოლოდ კარგი ფეხბურთელები არიან. ძალიან საინტერესოა, რომელი მათგანი შეძლებს ზენიტში ასვლას. სხვათა შორის, გერმანიას ტალანტები არასდროს აკლდა, მაგრამ ყველამ როდი შეძლო ფეხბურთის უმაღლეს დონეზე თამაში. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ სტაბილურად კარგად თამაში შეუძლიათ. სხვათა შორის, ტონი კროოსიც განსაკუთრებულ ტალანტად იყო შერაცხილი, მაგრამ ხომ ნახეთ, ბოლო დროს ისე ველარ თამაშობს, როგორც მაშინ, როცა უნიჭიერეს ფეხბურთელად მონათლეს.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიროსლავ კლოზე „ბაიერნში„ დარჩება. თქვენი აზრით ეს სწორი გადაწყვეტილებაა?**

- რამდენადაც ვიცი, იუპ ჰაინკესი „ბაიერნში„ ტაქტიკური სქემის შეცვლას და 4-4-2-ით თამაშს აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიროს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე ამ სეზონში ჰქონდა, როცა რეკორდმაისტერი 4-2-3-1-ით თამაშობდა. მე კლოზეს ვუთხარი, უკვე ძალიან გამოცდილი ხარ და უმჯობესია, გრძნობას მიჰყვე-მეთქი. ვურჩიე, ჰაინკესს დალაპარაკებოდა, ეკითხა, რას როგორ გეგმავს მიუნხენური გრანდის მწვრთნელი და მისი რჩევა გაეთვალისწინებინა.

**- ევროპის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. თქვენ უკვე უნდა იცოდეთ, რომ გერმანიისთვის ამიერიდან მხოლოდ ტიტული იქნება კარგი შედეგი...**

- 2010 წელს ყველაფერი იდეალურად გავაკეთეთ, გუნდმა ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენა და ერთადერთი, რამაც გული დაგვწყვიტა, იყო ის, რომ ტიტული ვერ მოვიგეთ. ეს ძალიან კარგად ვიცი. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისეთი რანგის ტურნირებზე, როგორებიცაა მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატი, წარმატების მიღწევა ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

**- დაგვერწმუნეთ, გაისად გერმანელი გულშემატკივრები მესამე ადგილით ან ფინალში გასვლით აღარ დაკმაყოფილდებიან...**

- ვიცი და შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი მიზანი ჩემპიონობა იქნება. თან, გულიც კარგს მიგრძნობს...

**- ეს კარგია...**

- მოდი, უბრალოდ კონკურენტებს შევადაროთ: ვინ დგას ევროპაში ისეთ სიმაღლეზე, როგორზეც გერმანიაა? ესპანეთი და ჰოლანდია? ნამდვილად! ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და პორტუგალია? შეიძლება! მაგრამ თუ ევრო 2012-ზეც ისე ვითამაშებთ, როგორც მუნდიალზე, ან თუ ცოტას კიდევ მოვუმატებთ, ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება. ბიჭებსაც ყოველთვის ვეუბნები, რომ გაისად ჩვენ მხოლოდ ევროპის ჩემპიონობაზე უნდა ვიფიქროთ.

**- ზამთარში ცალკე შეკრებას ხომ არ აპირებ?**

- არა, ამის დრო სამწუხაროდ არ იქნება. მერე, 2013 წელს კონფედერაციის თასი გველის ბრაზილიაში.

**- ჰო, მაგრამ იქ ხომ მხოლოდ ევროპის ჩემპიონს დაუშვებენ?**

- (იცინის) მერე, ჩვენ ხომ ევროპის ჩემპიონობა გვინდა.

**- ისე ჩანს, რომ მიხაელ ბალაკს ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანთ. მაინც როდის იტყვით, რომ მიხაელს გერმანიის ნაკრებში მომავალი აღარ აქვს?**

- მე და მიხაელი შევთანხმდით, რომ ამ ავსტრიასთან და აზერბაიჯანთან მატჩების შემდეგ კიდევ დავილაპარაკებთ. მანამდე კი ჯერ ადრეა.

**- მიხაელმა თქვენი გეგმების შესახებ ყველაფერი იცის?**

- რა თქმა უნდა.

**- გული გწყდებათ ბალაკის გამო?**

- მიხაელი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს იმის გამო, რაც გერმანიისთვის გააკეთა. დღესაც თავდადებით იბრძვის და ცდილობს, ნაკრებში დაბრუნდეს, გერმანიას კიდევ გამოადგეს. შარშან ძალიან დამწყდა გული, ბალაკმა მუნდიალზე თამაში რომ ვერ შეძლო. ცხადია, ახლაც გული მწყდება.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაქვთ გაფორმებული. მერე რას აპირებთ?**

- ფეხბურთიდან ნამდვილად არ წავალ, რადგან 2014-ში 54 წლის ვიქნები და პენსიაში რომ გავიდე, მთელი დღეები რა უნდა ვაკეთო? მანამდე ჯერ დიდი დროა. შესაძლოა, საკლუბო ფეხბურთში გადავინაცვლო.

**- ჰო, მაგრამ ეს ხომ უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება - ნებისმიერი გერმანელი მწვრთნელის ზენიტი ხომ ბუნდესმწვრთნელობაა?**

- ჰო, ამაზე მეც ვფიქრობ. ძალიან გამიმართლა, რომ ბუნდესგუნდის თავკაცი გავხდი და ხშირად მიტრიალებს კითხვა, ღირს თუ არა საკლუბო ფეხბურთში გადასვლა. საკლუბო დონეზე ასეთი რანგის სტატუსი მხოლოდ ევროპის 3-4 კლუბში თუ მექნება. ან ბრაზილიის, არგენტინის და ინგლისის მწვრთნელი უნდა გავხდე, მაგრამ გერმანელი სპეციალისტისთვის ამის შანსი ძალიან მცირეა.

**- რომ დაგპატიჟონ, დათანხმდებით?**

- არა მგონია.




შალკე




კადრი, რომელიც ასახავს, როგორ უთავაზა ერთერთმა ფანმა მანუელ ნოიერს ალიყური



კვირას „შალკეს„ ფეხბურთელები გერმანიის თასის მოგებას ზეიმობდნენ და გელზენკირხენში თასით ხელდამშვენებულებმა დიდი მსვლელობაც მოაწყვეს, რომლის დროსაც გასაოცარი, მაგრამ არცთუ ალოგიკური რამ მოხდა. **მანუელ ნოიერს**, რომელმაც წინა კვირაში საჯაროდ განაცხადა, რომ „შალკესთან„ კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს, ერთერთმა გულშემატკივარმა სახალხოდ ალიყური უთავაზა.

მივყვეთ დეტალურად: ნაშუადღევს, ხუთის ნახევარზე, „შალკეს„ კოლონა **კურტ შუმახერის** ქუჩაზე მიემართებოდა. პირველ ავტომობილში ნოიერი და მისი შემცვლელი, „შალკეს„ მეორე მეკარე **მათიას შობერი** ისხდნენ, მომღერალ ფანებს ესალმებოდნენ, ხელს ართმევდნენ, ავტოგრაფებს არიგებდნენ. ერთ მომენტში მანუელს ბეისბოლისკეპიანი კაცი მიუახლოვდა და საჩვენებელი თითი სახესთან მიუტანა. ნოიერი ოდნავ განზე გადგა, მაგრამ კაცი არ მოეშვა და ლანძღვა დაუწყო. მანუელმა უკან არ დაიხია და უპასუხა. მერე კი, როცა კაცმა მარცხენა ხელი სახესთან მიუტანა, თავი სწრაფად გასწია, თუმცა გაბრაზებულ გულშემატკივარს დარტყმა მეორე ხელით ჰქონდა ჩაფიქრებული და ნოიერს მარჯვენით მაგარი სილა გააწნა, რის შემდეგაც, მანუელი დაბნეული სახით გაერიდა, მანქანაში დაბრუნდა...

ორი აზრი არ არსებობს, ნოიერმა ეს ალიყური იმის გამო მიიღო, რომ „შალკესთან„ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა, რის შემდეგაც, გერმანიის ნაკრების მეკარე უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. თუმცა ჯერ მაინც არაა ოფიციალურად დადასტურებული ის, რომ მანუელი მიუნხენის „ბაიერნში„ გადადის. გულშემატკივრების ერთი ნაწილი ნოიერს კონტრაქტზე უარის თქმას პატიობს, მეორე ნაწილი კი აკრიტიკებს. ამასობაში, ვითარება ოდნავ შეიცვალა და გამორიცხული აღარაა, რომ ნოიერი „შალკეში„ დარჩეს. საქმე ის არ ის, რომ გელზენკირხენული კლუბის ბოსი **კლემენს ტიონიესი** მისი შენარჩუნებისთვის თავდაუზოგავად იბრძვის და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, მზადაა, მანუელს 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში წელიწადში 7 მილიონი ევრო გადაუხადოს. ტიონიესმა ბრძოლა მას მერე დაიწყო, რაც „გაზპრომს„ ახალ სასპონსორო ხელშეკრულებაზე მოურიგდა. მან ისიც თქვა, **ვლადიმირ პუტინმა** „შალკეს„ შესახებ ყველაფერი იცის და ნოიერის ფანიაო...

დორტმუნდის ბორუსია

# ახალი ბალაკი დორტმუნდში

## ბორუსია ხორვატ ნახევარმცველს ხუთწლიან კონტრაქტს უფორმებს

გერმანიის ჩეპიონი დორტმუნდის „ბორუსია„ ამ დღეებში მომდევნო სეზონისთვის მორიგ, რიგით მეხუთე ახალწვეულს წარადგენს: **ილქაი გიუნდოგანის** (20 წლის, „ნიურნბერგიდან„, 4 მილიონ ევროდ), **კრის ლიოვეს** (22, „ხემნიტციდან„, 250 000), **მორიტც ლაიტნერისა** (18, განათხოვრებული იყო „აუგსბურგში„) და **იულიან კოხის** (20, განათხოვრებული იყო „დუისბურგში„) შემდეგ, დორტმუნდელები ხორვატიის ნაკრებისა და „ბრიუგეს„ 22 წლის ნახევარმცველ **ივან პერისიჩსაც** გადაიბირებენ.

გუშინ, „ბორუსიას„ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ტრანსფერი გადაწყვეტილია. სამაგეროდ ჩაშლის პირასაა 17 წლის **მუსტაფა არმინის** ტრანსფერი, რომელიც „ბორუსიას„ ავსტრალიური „ქოუსტ მარინერსიდან„ უნდა ეყიდა. ეს ფეხბურთელი დორტმუნდში იანვარში იმყოფებოდა და სინჯებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა, მაგრამ როგორც ირკვევა, ავსტრალიური კლუბი მის სანაცვლოდ ნახევარ მილიონ ევროს ითხოვს, რაც „ბორუსიას„ ეძვირება.

რაც შეეხება პერისიჩს: ცორკმა დაადასტურა, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველს ხუთწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდს ხორვატიის ნაკრების მოთამაშე 5 მილიონი ევრო უჯდება. 1.87 მეტრი სიმაღლის ნახევარმცველმა „ბრიუგეში„ თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა - ამ სეზონში მან 37 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი გააკეთა. ექსპერტები მას „ახალ მიხაელ ბალაკს„ უწოდებენ, რადგან თამაშის სტილით გერმანიის ნაკრების კაპიტანს ძალიან ამსგავსებენ, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ პერისიჩი მიხაელზე გაცილებით სწრაფია. „დორტმუნდის„ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ივანი ნახევარდაცვის ცენტრში, საყრდენად ან გამთამაშებლად ითამაშებს. დიდი შანსია, რომ მადრიდის „რეალში„ გადაბარგებული **ნური შაჰინი** მემარცხენე საყრდენის პოზიციაზე სწორედ მან შეცვალოს.

ალსანიშნავია, რომ დორტმუნდელები ამ ეტაპზე მეტ ტრანსფერებს აღარ გეგმავენ, იდეაში კი, თავდამსხმელიც სჭირდებათ, რადგან მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** განკარგულებაში მხოლოდ ორი მაღალი კლასის ცენტრფორვარდია - **ლუკას ბარიოსი** და **რობერტ ლევანდოვსკი**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



გერმანიის ჩემპიონმა ივან პერისიჩი იყიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძალოსნობა

# ფავორიტებმა პოზიციები განიმტკიცეს



ქუთაისში დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 1991 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. 8 წონით კატეგორიაში სხვადასხვა სინჯის მედლებისთვის 110-ზე მეტი ათლეტი იბრძოდა. როგორც ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, ფავორიტებმა პოზიციები განიმტკიცეს. 6 წონაში მათ მეტოქეებს დიდი უპირატესობით სძლიეს. 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი ოქროს მედლის ბედი ორჭიდის ჯამში ერთმა კილომ გადაწყვიტა — ჩემპიონობა **ზურაბ თავაძემ** მოიპოვა. ასევე დაძაბული გამოდგა პაექრობები 85 კილოში, აქ **ლევან შაინიძემ** მეტოქეს 3 კილოთი აჯობა. შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო მომავალი მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადების დონის შემოწმება. ჭაბუკები წლეულს 21-28 აგვისტოს პოლონეთში თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ, 20-წლამდელები ოქტომბერში, ასევე, კონტინენტის პირველობაზე გამოვლენ, რომელსაც ბუქარესტი უმასპინძლებს. მთავარი მაინც უფროსების სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ეს შეჯიბრება კი 5-13 ნოემბერს პარიზში გაიმართება. ამ სამი ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით (მას დაეხმარებიან მწვრთნელები — **ალეკო ნოზაძე, ავთანდილ გახოკიძე, გია ცირეკიძე** და **აბესალომ ბასილია**) ჩაქვში საწვრთნელ შეკრებაზე 14 სპორტსმენი გაემგზავრა: წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გია მაჭავარიანი, ატაცში კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ირაკლი თურმანიძე, ვაჟა ლონლაძე, ალუდა მანაგაძე, დავით გოგია, რაულ ცირეკიძე, გიორგი ლომთაძე, შოთა მიშველიძე, ჯაბა ჩიბურდანიძე, ბაჩანა ქუხილავა, ზვიად სამუკაშვილი, თემურ პერტაია, იკა ცანავა და დავით ხარატაშვილი. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი (სამი ოქროს მედალი დაიმსახურა) ლაშა ტალახაძე ახლა სასკოლო გამოცდებს აბარებს და ნაკრებს ერთი კვირის შემდეგ შეუერთდება. ვანო გრიქუროვს მიაჩნია, რომ ამ ნიჭიერმა და თანატოლებში გამორჩეულმა ჭაბუკმა, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებში წლეულსვე დაიბევოს ადგილი და პარიზის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზეც მოსინჯოს ძალები. მანამდე კი 20-წლამდელთა კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებს. ქუთაისში მან მძიმე წონაში საქართველოს პირველობა დიდი უპირატესობით მოიგო, თანაც ისე, რომ ყველა ცდა არ გამოუყენებია.

### კვარცხლბეკი

**56 კგ.** 1. რამინ შამილიშვილი (აჭარა, 95+110=205), 2. ავთანდილ დევაძე (აჭარა, 73+90=163), 3. ვახტანგ ვეკუა (ზუგდიდი, 70+88=158).

**62 კგ.** 1. შოთა მიშველიძე (ქუთაისი, 110+132=242), 2. თორნიკე თოდაძე (საჩხერე, 95+122=217), 3. ლერი ბენდელიანი (წყალტუბო, 89+113=202).

**69 კგ.** 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 130+160=290), 2. გიორგი გრძელიშვილი (საჩხერე, 122+145=267), 3. ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი, 110+135=245).

**77 კგ.** 1. ზურაბ თავაძე (ქუთაისი, 131+162=293), 2. ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა, 130+162=292), 3. რომან სარქისიანი (თბილისი, 120+150=270).

**85 კგ.** 1. ლევან შაინიძე (აჭარა, 125+140=265), 2. ზვიად შეყლაშვილი (თბილისი, 117+145=262), 3. დავით ბეროზაშვილი (თბილისი, 120+140=260).

**94 კგ.** 1. ვილი ალექსიძე (აჭარა, 142+160=302), 2. დავით ცარციძე (თბილისი, 120+145=262), 3. უჩა ინაძე (თბილისი, 118+145=263).

**105 კგ.** 1. ნიკა ნანაძე (თბილისი, 150+187=337), 2. მირიან ნოზაძე (საჩხერე, 114+130=244), 3. რამინ გოგიტიძე (აჭარა, 75+95=170).

**+105 კგ.** 1. ლაშა ტალახაძე (საჩხერე, 170+190=360), 2. გიორგი თურმანიძე (თბილისი, 137+163=300), 3. გოგა ფიფია (ქუთაისი, 100+120=220).

**გუნდური:** 1. აჭარა (105), 2. თბილისი (101), 3. ქუთაისი (96 ქულა).

**ვაჟა დანელია**

## ჭიდაობა. თბილისის დიდი პრიზი

# ცხადაიაც შეგვრჩა და ტულბეაც გამოჩნდა

10-12 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში გასამართავი **გივი კარტოზიასა** და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი ისეც ვერ დაიკვეხნიდა გუნდებისა თუ ცალკეულ ვარსკვლავთა სიმრავლით, ბოლო დღეებში კი კინაღამ კიდევ ერთი ტიტულოვანი ფალავანი დააკლდა, თანაც - ჩვენივე რიგებიდან. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ევროპის პრიზიორმა **მანუჩარ ცხადაიამ**, რომელიც 74 კილოგრამში აპირებს ჭიდაობას, კინაღამ ტვინის მორიგი შერყევა მიიღო - დარბაზში ფეხი გაუცურდა და თავი დაარტყა. ეს იყო და, ყველას საფიქრალი ის გახდა, დაზიანება მძიმე ხომ არ იქნებოდა და შეძლებდა თუ არა სპორტსმენი „ოქროს დიდ პრიზზე" ჭიდაობას. თავიდან შერყევის ნიშნები მართლაც ჩანდა, მაგრამ გამოკვლევამ ეს ეჭვი არ დაადასტურა და ცხადაიაც მცირე პაუზის შემდეგ კვლავ შეუდგა ვარჯიშს.

სპორტსმენმა ტვინის შერყევა პირველად შარშან, დეკემბერში მიიღო საქართველოს ჩემპიონატზე. მაშინ ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, ევროპის ჩემპიონატიც გამოატოვებინა და მისთვის მოსამზადებელი მთელი ციკლიც. როგორც იქნა გამოჯანმრთელდა და როცა ყველამ შვებით ამოისუნთქა - ევროპაზე თუ არა, მსოფლიოზე მაინც შეძლებს გამოსვლასო, მორიგ ვარჯიშზე ნეკნი დაიზიანა. საბედნიეროდ, იმდენად საშიში არც ის აღმოჩნდა.

ცხადაია ბოლო ორ წელიწადში ანუ მას შემდეგ, რაც ევროპა-მსოფლიოზე ზემოაღნიშნული მედლები მოიპოვა, ისედაც გვარიანად გააწამა ტრავმებმა - ხან რა ასტკივდება, ხან - რა, რამაც მნიშვნელოვანი შეჯიბრებები გამოატოვებინა. ოღონდ იმ შეჯიბრებებისგან განსხვავებით, სექტემბერში სტამბოლში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი ორმაგად გამორჩეულია, რადგან იქ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურებიც გათამაშდება - ყოველ წონაში ექვს-ექვს მონაწილეზე. ცხადაიას ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, შეიცვალოს თუ არა წონითი კატეგორია - ეს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის შემდეგ, იქ ნაჩვენები შედეგების გაანალიზებით უნდა განესაზღვრა, მაგრამ ტრავმებმა ამის საშუალება არ მისცა. თბილისში ის 74-ში აპირებს ჭიდაობას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ გადადის იქ - ამით მხოლოდ საკუთარ ძალებს ცდის, მაგრამ წონის შეცვლა რომ ნამდვილად მოუწევს, ესეც უდავოა - ძალიან ბევრის დაკლება უწევს, დაახლოებით 10 კილოგრამისა. წონის ასეთი დიდი კლება განსაკუთრებით მტკივნეული მჩატე წონებისთვისაა.

>> მე-11 გვერდზე

## ქართული ჭიდაობა

# ყველაზე დაძაბული ზონა

მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რაიონებისა და ქალაქების ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში მცხეთაში საქართველოს გოლიათის სანდრო კანდელაკის სახელობის დარბაზში გაიმართა.

ეს ტურნირი ყველაზე მასშტაბური და როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დაძაბული გამოდგა საჩხერეში, თელავში და ზუგდიდში ჩატარებული ზონალური შეჯიბრებების შემდეგ. მარტო ის რად ღირს, რომ ხალიჩაზე ჭაბუკთა და ახალგაზრდული საერთაშორისო პირველობების ოცამდე გამარჯვებული და პრიზიორი ვიხილეთ.

სხვათა შორის, მცხეთა მთიანეთის რეგიონში სულ ახლახან აირჩიეს ქართული ჭიდაობის პრეზიდენტად **რეზო პაპუკაშვილი**, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. მასპინძელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, უპირატესობა მაინც შიდა ქართლელთა მხარეს იყო. უფრო ზუსტად, გორელებმა იყოჩაღეს და ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვეს.

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. ოთარ კაიდარაშვილი (გორი), 2. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 3. გოჩა გულბათაშვილი (მცხეთა).

**66 კგ.** 1. თემურ ოქრუაშვილი (მცხეთა), 2. ზვიად ოდოშაშვილი (კასპი), 3. სოსო ქოქაშვილი (გორი).

**73 კგ.** 1. ანზორ ხმიადაშვილი (გორი), 2. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა), 3. ზურაბ ნოზაძე (ხაშური).

**81 კგ.** 1 დავით ჭაბუკაშვილი, 2. იოსებ ჩილინდრიშვილი, 3. შოთა ვანიშვილი (სამივე-გორი).

**90 კგ.** 1. ნოდარ კუდუხაშვილი, 2. ჯუმბერ გიგაური (ორივე-გორი), 3. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა).

**+90 კგ.** 1. ილია მაჭავარიანი, 2. ამირან მაჭავარიანი (ორივე-გორი), 3. გია კილასონია (კასპი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო



გამარჯვებულები

# კოლია ქვარიანის თასზე




რიონისპირელი არისტოკრატის და ბეჭდაუდებელი ფალავნის **კოლია ქვარიანის** (1903-1980) სახელს, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა, არ ივიწყებენ ქუთაისელები. მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა ლეგენდარული ფალავნის უახლოესი ნათესავის **ნიკოლოზ ნემსაძის**, ქ. ქუთაისის მერიის სპორტის განყოფილებისა (**გია ჩიხლაძე**) და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (**თემურ გიორგაძე**) მონადინებით. ნამდვილ ზეიმად ქცეულ ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, ცაგერის, სამაჩაბლოს, წყალტუბოს, აჭარის და სამტრედიის ახალგაზრდა მოჭიდავეები (მთავარი მსაჯი **გურამ მელიქიშვილი**). საჭიდაოს უკრავდა კასპელ მუსიკოსთა ტრიო...

კოლია ქვარიანის ტრიუმფულ, მაგრამ ტრაგიზმით მოსილ კარიერაზე სპორტსმენებს მოუთხრო ქუთაისის სპორტული მუზეუმის დამაარსებელმა, პროფესორმა **ზურაბ ჯავახაძემ**. ჩემპიონები და პრიზიორები მედლებით და ფულადი პრიზებით დააჯილდოეს ნიკოლოზ ნემსაძემ, გია ჩიხლაძემ და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ოთარ ყურაშვილმა.**

მომავალში ტურნირი უფრო მასშტაბური გახდება. კიდევ ერთხელ ითქვა კოლია ქვარიანის ნეშტის ამერიკიდან მის მშობლიურ ქუთაისში ჩამოსვენების შესახებაც...

გაგაცნობთ ტურნირის ლაურეატებს:

**ლერი ჭელიძე** (55 კგ, ქუთაისი), **ლაშა კვირიკაშვილი** (60, წყალტუბო), **გიორგი კაცაძე** (65, სამტრედია), **ანდრო ბერუაშვილი** (70, სამაჩაბლო), **ალექსანდრე ქურასბედიანი** (75, **გურამ წულუკიძე** (80, **გიორგი ჯიბლაძე** (90, სამივე - ქუთაისი), **უშანგი კოკაური** (+90, აჭარა).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

## SOS

# კასპს ეს არ ეკადრება

დიდი ხანი არაა, რაც კასპის სასპორტო სკოლისგან დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება ჭიდაობის კომპლექსურმა სკოლამ (დირექტორი **ალექსი ხუციშვილი**). აქ მეცადინეობა თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, კასპისთვის ჭიდაობა ტრადიციული და ყველაზე მასობრივია, ბუნებრივია, ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებიც აქაურებს სწორედ ჭიდაობის სახეობებში აქვთ.

*„ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ კასპი ჭიდაობის მნიშვნელოვანი საბადოა საქართველოში. ძალიან ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენი გვყავს გაზრდილი. აქაურები არიან ქვეყნის სამბოს პირველი და ახალგაზრდული ნაკრებების მთავარი მწვრთნელები ოლეგ იაძე, ბადრი ჯანიაშვილი. სულ ახლახან კახა მამულაშვილი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გაგვიხდა სამბოში. აპრილიდან ჭიდაობის კომპლექსურმა სკოლამ დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება, რაც დროული გადაწყვეტილებაა. 260-მდე შეგირდი გვყავს ყველა საჭიდაო სახეობაში. ჯგუფები სოფლებში - დოესში, მეტეხში, ხანდაკსა და ლამისყანაშიც გავხსენით. ვემზადებით სოფლებში ნახერხმოყრილ არენაზე ქართული ჭიდაობის შეჯიბრებების ჩასატარებლად, რაც ახალი ტალანტების აღმოჩენაში დაგვეხმარება",* - ამბობს ალექსი ხუციშვილი.

უწინ კომპლექსში ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული იყო ჭიდაობის ე. წ. მრგვალი დარბაზი. დღეს იქ ანტისანიტარიის ნამდვილი ბუდეა! (იხ. ფოტო), არადა მის ჭერქვეშ ადრე სპორტული შეჯიბრებების გარდა კონცერტებიც იმართებოდა.

**ვასილ ბალახაძე**

კასპიდან

დავით ასპანიძის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალხტომა


ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი

# ლონდონის კონტურები შანხაიში გამოჩნდება

გერმანული როსტოკი 27-29 მაისს წყალმხტომელთა 2011 წლის მსოფლიოს გრან-პრის V ეტაპს უმასპინძლებს. წინასწარი განაცხადით, ამ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა და პრიზიორებმაც უნდა იასპარეზონ 19 ქვეყნიდან, მათ შორის - ამერიკიდან, ჩინეთიდან და კანადიდან, რომ არაფერი ვთქვათ ევროპელებზე. ასეთ ძლიერ შემადგენლობასთან მოუწევთ გამკლავება ქართველ სპორტსმენებს - **ჭოლა ჭანტურიას** და **შოთა კორახაშვილს** როგორც ინდივიდუალურ, ისე წყვილთა სინქრონულ პაექრობებში.

ქართველმა წყალმხტომელებმა წლეულს ესპანეთის გრან-პრიზე იასპარეზეს და სინქრონულ ხტომებში VI ადგილზე გავიდნენ, თანაც რეიტინგში წინ მდგომ ინგლისელთა და კუბელთა დუეტებს აჯობეს. ჩვენმა ბიჭებმა გრან-პრის მომდევნო II, III და IV ეტაპები გამოტოვეს. მათმა მწვრთნელმა, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** ეს იმით ახსნა, რომ ჩვენებურებს წლეულს ისედაც ბევრ შეჯიბრებაში უწევთ გამოსვლა.

მარტში ტურინმა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ქართველთა დუეტი იქ ფინალში შევიდა და მე-8 ადგილი დაიკავა, ინდივიდუალურში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭანტურია მე-15 იყო, კორახაშვილი-21-ე. მას შემდეგ ქართველი ათლეტები მონდომებით ვარჯიშობენ. სპეციალისტების აზრით, ისინი ამჟამად ბევრად უკეთეს სპორტულ ფორმაში არიან, ვიდრე გაზაფხულზე. როსტოკში 380 ქულას თუ მოაგროვებენ, სავარაუდოდ, პირველ ექვსეულში მოხვდებიან. გერმანიის შემდეგ ჭანტურია და კორახაშვილი 10-12 ივნისს იტალიაში მსოფლიოს გრან-პრის VI ეტაპზე გამოვლენ. 23 ივნისიდან 7 ივლისამდე მინსკში ბელარუსებთან ერთობლივ საწვრთნელო შეკრებას გაივლიან. 11-დან 24 ივლისის ჩათვლით კი შანხაიში (ჩინეთი) მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს, სადაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის 12 ინდივიდუალურისა და 3 სინქრონული ხტომების საგზური გათამაშდება.

- ლონდონში წყვილებისთვის სულ 8 ადგილია, ერთეულებში კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან 30 სპორტსმენი იასპარეზებს. - გვითხრა ირაკლი ბართაიამ. - ერთი საგზური მასპინძლებს ავტომატურად გადაეცემათ. დანარჩენი ადგილებისთვის უშელავათო პაექრობები იქნება. ვინც შანხაიში განბილებული დარჩება, ისინი გაისად თებერვალში სალიცენზიო ტურნირზე, რომელიც ინგლისის დედაქალაქში გაიმართება, ოლიმპიადის დანარჩენი საგზურებისთვის იბრძოლებენ. ყველაფერს ვილონებთ, ხელდამშვენებულთა შორის ჩვენც რომ ვიყოთ...

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქართველი წყალმხტომელები ჩინეთში დარჩებიან საწვრთნელ შეკრებაზე და 16-22 აგვისტოს იქვე მსოფლიო უნივერსიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია**

● უნივერსიადა 2011

# სტუ ისევ ლიდერობს



თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს 2011 წლის უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული პაექრობები. 12 სახეობაში გამართული ორთაბრძოლების შემდეგ სხვადასხვა სინჯის მედლები 25 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა გადაინაწილეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ისევ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტსმენები მეწინავეობენ. მათ 10 ოქროს, 11 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს (სულ 28) მედალი მოიხვეჭეს. ლიდერებს 3 ჯილდოთი ჩამორჩებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტები (9, 8, 8). 18 მედლით (5, 5, 8) მესამე ადგილს აგრარული უნივერსიტეტი ინარჩუნებს.

გასულ უქმეებზე ასპარეზობა დამთავრდა მძლეოსნობასა და შვიდკაცა რაგბიში. „სპორტის დედოფალს“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. გოგონებში თავი ისახელა **მაია გოგოლაძემ** (სამედიცინო ინსტიტუტი „ჰიპოკრატე“), რომელმაც 200 და 400 მეტრზე რბენა მოიგო. 100 მეტრზე უძლიერესი იყო **სოფიო მაჭავარიანი** (დავით გურამიშვილის სახელობის უნივერსიტეტი „იბერია“), რომელიც 200 მეტრზე მხოლოდ გოგოლაძეს ჩამორჩა. 800 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ **თამარ ქველიძეს**. 100 მეტრზე იგი მესამე იყო. ვაჟებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ალექსანდრე გაბუნია** (100 მ. შავი ზღვა), **ბექა ჯიშკარიანი** (200, ქუთაისი), **დავით ბარამიძე** (400, ბათუმის საზღვაო აკადემია), **მერაბ ქინიძე** (800 და 1500 მ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ოთარ ხაჭაპურიძე** (სიგრძეზე ხტომა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი). **გუნდური.** 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2. „ჰიპოკრატე“, 3. „იბერია“.

შვიდკაცა რაგბიში რვა გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალში სამედიცინო უნივერსიტეტის მორაგბეებმა ბათუმის საზღვაო აკადემია დაამარცხეს 28:10, ხოლო სტუ-მ ილიაუნელებს სძლია 12:7. მომავალმა ტექნიკოსებმა გადამწყვეტ შეხვედრაში მედიკოსებსაც აჯობეს 21:10 და ოქროს მედალი მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბათუმელებმა ილიას უნივერსიტეტს მოუგეს 20:7.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# სულ ცოტა დიდ სენსაციამდე



საოცრად დაიწყო „როლან გაროსის“ ცენტრალურ სტადიონზე მე-11 ნომრად განთესილი ფრანგი **მარიონ ბარტოლისა** (11) და **ანა ტატიშვილის** (106) დაპირისპირება. ჩვენებურმა, რომელიც ამ დაპირისპირების აშკარა აუტსაიდერი იყო, პირველ ნახევარ საათში მოსრა მსოფლიოს მე-11 ჩოგანი - 6:1 აჯობა. ქართველს აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა, მეტოქის მოწოდებაზე კი კორტის ბატონ-პატრონი იყო. სამწუხაროდ, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი მეორე სეტში მოვიდა გონს. ანამ ინერციით მეტოქის მოწოდება მოიგო და დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ბარტოლიმ იგდო ხელთ და ამის შემდეგ მისი უპირატესობა გამოიკვეთა. ჩვენი თანამემამულე პერიოდულად გაიბრწყინებდა ხოლმე, თუმცა ეს მატჩის მსვლელობაზე გავლენას ველარ ახდენდა - 6:1, 2:6, 1:6.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 5 სარეიტინგო ქულით დაკმაყოფილდა და რეიტინგში წინსვლის ნაცვლად დაქვეითება ელის, ჩვენ თანამემამულეს თამაშს შევუქებთ, რომელმაც სამომავლოდ დაგვაიმედა. მატჩი სულ 109 წუთს გაგრძელდა. ბარტოლიმ 5 ეისი ჩააგდო, ანამ - 1, ფრანგმა 7 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ქართველმა - 6, ფავორიტმა 31 ორმაგი შეცდომა დაუშვა, აუტსაიდერმა - 35.

გუშინ გამოქვეყნდა ჭთA-ს და AთP-ს ახალი რეიტინგ-ლისტები. გაგაცნობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას: 106 (+1) ანა ტატიშვილი - 648 ქულა; 181 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 316; 232 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 237; 283 (+2) **სოფიო შაფათავა** - 182; 309 (-1) **თათია მიქაძე** - 161; 370 (+15) **სოფიო ქვაცაბაია** - 111; 495 (-2) **ეკა გორგოძე** - 72; 919 (-8) **მანანა შაფაქიძე** - 14; ვაჟები: 651 (+13) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 28 ქულა; 829 (-4) **ლადო ჩიხლაძე** - 13.

ანა ტატიშვილს ასეულამდე 18 ქულა აშორებს. 22 წლის ქვაცაბაიამ კარიერის საუკეთესო ნიშნულს მიაღწია, 13 ადგილით დაწინაურდა ბასილაშვილი. მეტი საინტერესო ამ რეიტინგში ჩვენთვის არაფერი მოხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭიდაობა. თბილისის დიდი პრიზი

« მე-10 გვერდიდან

საკითხავი მხოლოდ ისაა, როდის გადავა ახალ წონაში - ოლიმპიადამდე თუ მის შემდეგ? სავარაუდოდ, ეს უფრო ლონდონის შემდეგ მოხდება - ახალ წონაში ადაპტაციას ისედაც სჭირდება გარკვეული პერიოდი, ოლიმპიადამდე კი არც იმდენია დარჩენილი, ახლა ექსპერიმენტების დრო იყოს. თანაც, ვიდრე 74-ში მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველიაა**, მასთან კონკურენციაში შესვლა არც ისე გონივრულია. ოღონდ ესეც ლონდონამდე დარჩენილი მცირე დროის გამო, თორემ გაცილებით მეტი რომ რჩებოდეს ადაპტაციისთვის, მაშინ სავსებით დასაშვებად მივიჩნევდით, ახლა კი ცხადაია ისეთ კონკურენტთან პაექრობაში აშკარად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდება.

„ოქროს დიდ პრიზზე“ ჩვენს ბერძენ-რომაელთა ნაკრებს დანაკლისი ისედაც მძიმე ექნება - ფეხის ძველი ტრავმის გამო ვერ იჭიდავებს **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), სავარაუდოდ, მწვრთნელები დაასვენებენ ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **რევაზ ლაშხსაც** (60), რომელმაც ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და საკმაოდ დიდი დრო გაუცდა... კიდევ უფრო სოლიდურია ქართველ „თავისუფალთა“ დანაკლისი, რომელსაც, სავარაუდოდ, ერთბაშად ოთხი ლიდერი არ ეყოლება: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** (66), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **გიორგი გოგშელიძე** (96), ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84). ამათგან თუშიშვილის და გოგშელიძის შემთხვევაში მიზეზი ძველი ტრავმები და გადატანილი ოპერაციაა, ევროპის ვიცე-ჩემპიონები კი კონტინენტის ახალგაზრდული პირველობისთვის ემზადებიან. თუშიშვილს ხელის მოტეხილი თითები ჯერაც არ მოურჩა, გოგშელიძე კი გერმანიაში ხელზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. მწვრთნელების თქმით, მისი „ოქროს დიდ პრიზზე“ გამოსვლის გარკვეული შანსი კიდევ არსებობს, თუშიშვილთან მიმართებაში კი პროგნოზები ბევრად უფრო პესიმისტურია.

სამწუხაროდ, დამაიმედებელს ვერც უცხოელთა მონაწილეობაზე გეტყვით - წლევანდელი ტურნირი საკმაოდ მცირერიცხოვანი და შემადგენლობითაც სუსტი იქნება ახლანდელი რანგის და იმის მიუხედავად, რომ „ოქროს დიდი პრიზის“ სუპერფინალის ქულებსაც იძლევა, იქ კი საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდია.

ჯერჯერობით თბილისში დაახლოებით 7-8 გუნდს ელოდებიან. ამათგან ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი ადრევე იყო ცნობილი, ბოლო დღეებში კი მათ ისრაელი, მონაკო და კანადაც დაემატნენ. ოღონდ ესენი არასრული გუნდებით ჩამოდიან, თუმცა წინასწარ სიებში მონაკოელებს მოლდოვიდან გადაბირებული ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **გენადი ტულბეა** (55) ჰყავთ შეყვანილი. მთლიანობაში უძლიერესი შემადგენლობით მხოლოდ ირანელები გვიპირებენ სტუმრობას. ადრე ვწერდით, რომ ირანიდან მონაწილეობა მაზანდარანის პროვინციის ნაკრებსაც სურდა, მასპინძლებმაც დასტური მისცეს, მაგრამ იქაურმა ფედერაციამ არ მისცა ამის უფლება. სამწუხაროდ, დამაიმედებელი ისევ არაფერი ისმის უკრაინიდან, რომლებიც ჩამოსვლის დიდ სურვილსაც ამჟღავნებდნენ და ჩემოდნებსაც ალაგებდნენ, მაგრამ ფედერაციამ უარი თქვა მათ დაფინანსებაზე. ერთადერთი იმედია, იქაური ქართველები თუ ჩამოვლენ საკუთარი ინიციატივით. ჯერ არ ვიცით, ვის ჩამოიყვანს აზერბაიჯანელთა დაღესტნელი დამრიგებელი **საიპულა აბსაიდოვი** - იქაურ საიტებზე ჩვენი შეჯიბრების შესახებ ჯერ არაფერი იწერება, თუმცა სავარაუდოდ, კუბიდან გადაბირებულ მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ალექსის როდრიგესს** წამოიყვანს. ის პირველად ამ უქმეებზე გამოცადეს დაღესტნურ კასპიისკში, ალი ალიევის სახელობის ტურნირში, მაგრამ იქ პირველივე წრეში წააგო და აზერბაიჯანელები გვარიანად გააწბილა. სავარაუდოდ, მას შანსს კვლავაც მისცემენ და ისევ დააკვირდებიან. მით უფრო, რომ კასპიისკში როდრიგესი წონის ლიდერთან, თურქ ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **ფატიჰ ჩაკიროღლუსთან** დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი

# უმაღლებოდ... არმია უფრო მაღალია

„არმიამ" ფინალური სერიის მესამე მატჩი მოიგო და 2:1 დაწინაურდა. ასე რომ, ჯარისკაცებს სადებიუტო სეზონში გაჩემპიონებამდე ერთი მოგებაღა აშორებთ. ეს დასაწერადაა იოლი, თორემ თსუ-ს ძლევა რამდენად რთული საქმეა, ეს თავად არმიელებსაც კარგად მოეხსენებათ. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ დღეს, 24 მაისს სერიის მეოთხე მატჩში ძალოვნებს ერთიორად გაუჭირდებათ, რადგან თსუ-სთვის ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება - წაგების შემთხვევაში ჩემპიონობაზე ოცნებას ემშვიდობება, ხოლო თუ მოიგო, 26 მაისს გადამწყვეტ მატჩში გამოვლინდება წლევანდელი სუპერლიგის ჩემპიონი.



■ ■ ■

**ლევან მოსეშვილის** „ჯარისკაცებმა" 14 ქულის სხვაობით იმარჯვეს, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას - მეტად გაუჭირდათ, ვიდრე 4 ქულით მოგებულ მატჩში. იყო ეპიზოდი, როცა სტუდენტები 13 ქულით დაწინაურდნენ, ხოლო მეოთხე პერიოდს თსუ 10 ქულიანი უპირატესობით შეხვდა. წინა შეხვედრაში **ლევან მოსეშვილმა** ბოლო რაუნდის დასაწყისში აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა, რადგან მანამდე, 30 წუთის განმავლობაში **გიორგი შარაბიძე** ბომბარდირობას არავის უთმობდა. გუშინ კი ბოლო პერიოდში მთლიანად გამოცდილებს დაეყრდნო: **კოტე ტულუშს, ზვიად ბაბიაშვილს, ვახტანგ მინაშვილს, ბუბა ბერიშვილს, ანატოლი ბოისას, დათო საყვარელიძეს...** საინტერესოა ისიც, რომ მატჩის ბოლოს არმიელები ნომინალური ცენტრის გარეშე თამაშობდნენ, რამაც გაამართლა კიდეც - ფორვარდებმა, ბაბიაშვილმა და მინაშვილმა ფარქვეშიდან უხვად აგროვეს ქულები. შესაძლოა, „არმიას" ტანდაბალი ხუთეულით თამაშს არც თსუ-ელები ელოდნენ, რადგან ყველაზე მეტი კარგი ცენტრი სწორედ ძალოვნებს ჰყავთ.

გადამწყვეტ მომენტში „არმია" პერიმეტრზეც მყარად დადგა, ხოლო გამოცდილმა ტულუშმა, მნიშვნელოვან ეპიზოდში სამქულიანი არ დაიშურა, რითაც თანაგუნდელთა უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა - 60:56. ამ ამბიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მეხუთე შენიშვნა მიიღო **რიჩარდ მათიაშვილმა.** მისი გამოკლება განსაკუთრებული დანაკლისი იმიტომაც იყო, რომ თსუ-ს მწვრთნელს, **ნუგზარ ჭეიშვილს** განკარგულებაში ნომინალური მეოთხე-მეხუთე ნომერი (მძიმე ფორვარდი და ცენტრი) არ დარჩა. თსუ-ს მეორე მეფარემ, **ილია ლონდარიძემ** ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი მესამე პერიოდში დატოვა. არადა, მან შენიშვნები ერთმანეთის მიყოლებით ისე მიიღო, რომ მწვრთნელმა მისი შეცვლა ვერ მოასწრო.

ამას დაერთო **მიხეილ ჩიტაშვილისა** და **გიორგი მარხვაშვილის** ტრავმები, რომლებმაც შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღეს. პირველს შაბათს კოჭი გადაუბრუნდა, მეორეს კუნთი აქვს დაჭიმული. ასე რომ, თსუ განახევრებული შეხვდა მატჩის ბოლო წუთებს...

■ ■ ■

გუშინ, 23 მაისს „არმიის" მწრთნელი ლევან მოსეშვილი 71 წლისა გახდა. მისმა შეგირდებმა ეს თარიღი გამარჯვებით მიულოცეს.

### კომენტარი
### რიჩარდ მათიაშვილი

- მძიმე თამაში იყო. ბოლო წუთებამდე კარგად ვიბრძოლეთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რესურსი არ გვეყო. მე და ილია ლონდარიძემ ხუთხუთი ჯარიმა მივიღეთ, ასევე გვაკლდა ორი ტრავმირებული მიხეილ ჩიტაშვილი და გიორგი მარხვაშვილი. ვიმედოვნებ, მეოთხე შეხვედრისთვის ყველაფერი წესრიგში იქნება და ფინალში გამარჯვებულის გამოსავლენად ხუთი მატჩი დაგვჭირდება.

23 მაისი, თბილისი. სპორტი სასახლე

## თსუ-არმია 60:74

18:21, 21:8, 12:16, 9:29

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

| თსუ | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 5. მიხეილ ფანჩულიძე | 31:24 | 1 | 4 | 25 | 1 | 5 | 20 | 3 | 4 | 75 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 8 |
| 6. გ. გაფრინდაშვილი * | 35:50 | 2 | 8 | 25 | 1 | 7 | 14.3 | 2 | 4 | 50 | 1 | 3 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 | 0 | 9 |
| 8. შალვა კოხრეიძე * | 09:53 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| 9. ილია ლონდარიძე * | 12:27 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 100 | 0 | 0 | 0 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 2 |
| 10. ზურაბ კორკოტაძე | 29:21 | 2 | 8 | 25 | 3 | 4 | 75 | 1 | 2 | 50 | 4 | 6 | 10 | 0 | 4 | 3 | 0 | 0 | 14 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი* | 35:00 | 3 | 4 | 75 | 3 | 5 | 60 | 0 | 1 | 0 | 1 | 6 | 7 | 0 | 5 | 7 | 0 | 4 | 15 |
| 15. მიხეილ ბერიშვილი * | 37:11 | 3 | 5 | 60 | 1 | 3 | 33.3 | 3 | 7 | 42.9 | 4 | 3 | 7 | 3 | 3 | 1 | 2 | 3 | 12 |
| 20. ზურა მაისურაძე | 08:54 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1 | 5 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| ჯამი | | 11 | 31 | 35.48 | 9 | 26 | 34.62 | 11 | 20 | 55.00 | 12 | 25 | 37 | 12 | 22 | 20 | 7 | 9 | 60 |

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს

| არმია | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4. გივი ბაქრაძე | 05:38 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი * | 35:09 | 9 | 19 | 47.4 | 0 | 0 | 0 | 5 | 7 | 71.4 | 6 | 6 | 12 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 23 |
| 6. ანატოლი ბოისა * | 26:28 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 | 33.3 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 | 7 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 3 |
| 7. ვახტანგ მინაშვილი | 20:00 | 6 | 8 | 75 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 33.3 | 2 | 4 | 6 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 13 |
| 10. კოტე ტულუში * | 38:34 | 3 | 5 | 60 | 3 | 5 | 60 | 3 | 5 | 60 | 0 | 5 | 5 | 6 | 4 | 6 | 2 | 1 | 18 |
| 11. გიორგი პირველაშვილი | 04:02 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 13. რევაზ ათანელიშვილი | 06:50 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 25 | 2 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| 21. დავით საყვარელიძე | 21:06 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 5 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 23. გიორგი შარაბიძე * | 13:59 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 100 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 |
| 24. ბუბა ბერიშვილი * | 28:14 | 3 | 5 | 60 | 1 | 2 | 50 | 5 | 6 | 83.3 | 0 | 1 | 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 0 | 14 |
| გუნდი | | | | | | | | | | | | 2 | 4 | 6 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ჯამი | | 21 | 51 | 41.18 | 5 | 13 | 38.46 | 17 | 27 | 62.96 | 17 | 29 | 46 | 17 | 26 | 15 | 6 | 3 | 74 |

**სერიას იგებს „არმია" - 2:1**

*შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა*

ლეგიონი




# სანიკიძემ მონტეპასკი დაამარცხა, მარკოიშვილი ნახევარფინალშია

იტალიის სერია A-ს მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი წარმატებული გამოდგა როგორც **მანუჩარ მარკოიშვილისთვის**, ასევე **ვიქტორ სანიკიძისთვის.** მანუს „კანტუმ" „ვარეზე" სტუმრადაც დაამარცხა (75:69) და მეოთხრეფინალური სერია მშრალი ანგარიშით დაასრულა - 3:0.

სანიკიძის „ვირტუსმა" პირველობის ფავორიტ „მონტეპასკისთან" ორი გასვლითი შეხვედრა წააგო და თუ გუშინ ღამითაც დამარცხდებოდა, მეოთხედფინალისკენ გზას სიენელებს დაუთმობდა. ბოლონიელებმა მატჩი თავიდანვე დამაჯერებლად ჩაატარეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს - 74:68.

■ ■ ■

„ვარეზესთან" მეოთხედფინალური სერიის მესამე შეხვედრაში „კანტუმ" პირველ პერიოდში 20:16 მოიგო. მას მერე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და სტუმრები მცირე უპირატესობას ხელიდან არ უშვებდნენ. შესაძლოა სწორედ ამიტომ, მწვრთნელმა მანუჩარ მარკოიშვილი ზედმეტად არ დატვირთა (ფეხის ცერი აწუხებს), სულ 13 წუთი ათამაშა. მანუმ თითო ორქულიანი და სამიანი ისროლა, თუმცა ქულები მხოლოდ საჯარიმოების რეალიზების შედეგად მიითვალა: 3 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი. საინტერესოა - ეს იყო მანუჩარის 101 მატჩი იტალიის ჩემპიონატში.

19-19 ბალები მოაგროვეს მისმა თანაგუნდელებმა **გრინმა** და **ლეუნენმა.**

■ ■ ■

ბოლონიაში „მონტეპასკიმ" პირველი პერიოდი ოთხი ქულით მოიგო, თუმცა მეორე და მესამე ათწუთეულებში „ვირტუსს" 8-10 ქულით ჩამორჩა... მასპინძლები ძირითადად ხუთი კალათბურთელის იმედად არიან, შესაბამისად იყო ალბათობა, რომ სიენელებისთვის ბოლომდე ვერ გაეძლოთ, თუმცა სანიკიძის თანაგუნდელებმა ეს შეძლეს და 74:68 იმარჯვეს.

ვიქტორმა 32 წუთი ითამაშა და „ვირტუსმა" „მონტეპასკის" მოხსნებში რომ აჯობა (35:33), სწორედ მისი დამსახურებაა: 6 ქულა, 12 მოხსნა, 1 დაფარება, 1 პასი, 1 ჩაჭრა. ქართველმა ფორვარდმა 7-დან 3 ორქულიანი ჩააგდო.

მატჩის მთავარი მექულე მასპინძელი **კელვინ რივერსი** გახდა - 20 ქულა.

■ ■ ■

მეოთხედფინალის მომდევნო შეხვედრას „ვირტუსი" 25 მაისს ჩაატარებს, „მონტეპასკის" ბოლონიაში უმასპინძლებს.

„კანტუს" ნახევარფინალის მეტოქე ჯერ არ გარკვეულა: „მილანი" „სისარის" 2:1-ს უგებს.

■ ■ ■

მოულოდნელი შედეგით დასრულდა იტალიის მეორე ლიგაში „რიმინისა" და „პრიმა ვეროლის" დაპირისპირება: 2:0 დაწინაურების შემდეგ რიმინელებმა ზედიზედ სამი მატჩი წააგეს და ნახევარფინალის საგზური „პრიმა ვეროლის" დაუთმეს.

მეხუთე შეხვედრა **ნიკა მეტრეველის** „რიმინიმ" შინ წააგო - 71:85. ქართველმა ფორვარდმა 13 წუთი ითამაშა, 4-4 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# IRB JUNIOR WORLD RUGBY TROPHY

# სტილი სხვადასხვა, ჟინი ერთნაირი












**დღეს თბილისში „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშება დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი იმავდროულად მომავალ წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართავი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა. იქ, ელიტაში თამაშის უფლებას თბილისურ ბატალიებში პირველ ადგილზე გასული მიიღებს, რომელიც წლეულს, იტალიაში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ადგილზე გასულ გუნდს შეცვლის.**

მანამდე კი, როგორც უკვე ვთქვით, თბილისში „ავჭალის“ სარაგბო სტადიონსა და „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ რვა საკმაოდ ძლიერი, სხვადასხვა სათამაშო სტილის, ძალზე საინტერესო 20-წლამდელთა ნაკრები გუნდები დიდი სარაგბო ზეიმის მოწყობას გვპირდებიან.

საქართველოს რაგბის კავშირმა ამ ძალზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი ტურნირის ორგანიზებისთვის უზარმაზარი სამუშაო გასწია, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს თავის კომენტარში IRB-ს ტურნირების დირექტორი **ფილიპ ბურდარიასი.**

*„ორგანიზაციული თვალსაზრისით ეს შეჯიბრება უწინდელებზე უკეთესია. საქართველოს რაგბის კავშირმა საკმაოდ ეფექტურად იმუშავა, ყველა მხრივ პროგრესი აქვთ და, ვფიქრობ, მათი საქმიანობა სხვა ქვეყნების რაგბის კავშირებისთვის მოდელი უნდა გახდეს“* – წერს იგი IRB-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში.

ცოტა რამ „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ ისტორიიდან. ეს ტურნირი პირველად 2008 წელს ჩატარდა ჩილეში და ურუგვაის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, მაშინ სამხრეთამერიკელებმა ფინალში საქართველოს ნაკრები დაამარცხეს. მომდევნო წელიწადს კენიაში ყველას რუმინელმა 20-წლამდელებმა აჯობეს, შარშან კი მოსკოვში იტალიის ნაკრებს არ ჰყავდა ბადალი.

წლეულს, თბილისში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ეს უნიკალურ შანსს მოგვცემს, ელიტურ გუნდებს ვეპაექროთ და მათ შორის დავიმკვიდროთ ადგილი. „უმცროსი ბორჯღალოსნების“ უმთავრესი კონკურენტები, სავარაუდოდ, იაპონიისა და სამოას ნაკრებები იქნებიან. ჩამოსაწერი არაა და საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს კანადის 20-წლამდელთა გუნდიც.

ერთი ძალზე საინტერესო დეტალი. იაპონიის ნაკრების მესამეხაზში თამაშობს მორაგბე სახელად **შოთა მიძუკამი.** ეს ქართული სახელი იაპონიაში მას შემდეგ გავრცელდა, რაცა ქართველმა ძიუდოისტმა **შოთა ჩოჩიშვილმა** მათ კერპ **ინოკის** სძლია.

იაპონელები პირველ შეხვედრას ზიმბაბვეს ნაკრებთან „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ დღეს 14 საათზე გამართავენ. იმავდროულად „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე სამოასა და აშშ-ის ნაკრებების დაპირისპირება დაიწყება. 16 საათზე კი, იქვე რუსეთის 20-წლამდელთა გუნდი ურუგვაელ თანატოლებს ეთამაშება.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას კანადასთან გამართავს. თამაში 18 საათზე „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ჩატარდება.

## საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ზურაბ ერისთავი, ზურა ჟვანია, მერაბ მატკავა (სამივე-აია), ირაკლი ჩომახაშვილი (არმაზი).

მეორე ხაზი: ბექა ხიპაშვილი (ლელო), კოტე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ჟღენტი (არმია).

მესამე ხაზი: ბექა ბიწაძე (არმია), გიორგი ტყეშელიაძე (ყოჩები), გიგა თხილაიშვილი (ბათუმი XV), ლევან თხელიძე (ლელო), ნიკოლოზ ჩხიკვაძე (აკადემია)

№9: ჯიმი ლამბაშიძე (ლელო), რამაზ ჯინაშვილი (არმია)

№10: გოდერძი ჭინჭარაული (ლელო)

№12-13: გიგა გაგოშვილი (ლოკომოტივი), დავით ლოსაბერიძე (ბონი), გიორგი მარგიანი (აკადემია)

№11-14: გიორგი აბრამიძე (აია), ვანო გაბროშვილი (არმაზი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია)

№15: ზურა ძნელაძე (აია), ბახვა კობახიძე (არმია), უჩა მჭედლიშვილი (ლელო).

მწვრთნელი: პაატა ნარიმანაშვილი

## კანადის ნაკრები

პირველი ხაზი: სკოტ მაკლოიდი, კესი კევერსი (ორივე-კოვიჩენი), გრემ მეჰერი (ბელმყ ბიჩი), ბობ როჯერსი, ჯორდან პოუერი (ორივე-დოგზი), ადამ ზარუბა (კაპილანო), ენდრიუ ჩო (კალგარი სარასენზი).

მეორე ხაზი: ტაილერ ერდრონი (ბრენფორდი), სემ პიერსი (კელოვნა).

მესამე ხაზი: ჯონი ჰემფრიზი (კესტევეი ვონდერერზი), მეთ კელი (ტორონტო სკოტიში), სკოტ მაკდონალდი (ოშავა ვიკინგსი), ევან ალმსტიდი (კაპილანო), სემ სტოუნი (აიაქს ვონდერერზი).

№9: ენდრიუ ფერგიუსონი (ოკვილი), ლუსიენ ნილი (კოვიჩანი)

№10: კერლინ ჰემსტრა, პატრიკ კეი (ორივე-კოვიჩანი), ლიამ ანდრევუდი (ბელმი ბიჩი).

№12-13: მიქაელ ფუაილეფაუ (კასტევეი ვონდერერზი), ჯეფ ჰესლერი (ლაიონზი), დილან მანდი (ოშავა ვიკინგს), პატრიკ პერფრი (სვილერს).

№11-14: ტეილორ პერისი (მარხამ აირიში), კერტის ეპელტურნი (ებოტსფორდი)

№15: ტეი ჰემბლინი (კოვიჩანი)

მწვრთნელი: მაიკლ შელი

## იაპონიის ნაკრები

პირველი ხაზი: მაო ენოკი (მეიჯი ინივერსიტეტი), ჰიკარუ იშიძავა (ჰოსეი უნივერსიტეტი), იოსუკე ტაკაჰაში (დიატო ბუნკა), იოშიკაცუ ჰიკოსაკა, ჰიროკი მურაკავა (ორივე-ცუკუბა), იუსუკე ნივაი (რიცუმეიკაუ).

მეორე ხაზი: იოჰო აშიია (ვასედა), სანჩანგ ლი (ტეიკო უნივერსიტეტი), იოშირო სონონაკა (ცუკაბა).

მესამე ხაზი: ჯანგკუ კიმი (ვასედა), რიოტა კობაიაში (კინკი უნივერსიტეტი), შოთა მიძუკამი (ცუკუბა), ნაოიუკი ცუჯი (რიუცუკეიზაი), ტაცურა ოვადა (ტეიკიო), ოლივიე ტაუფა (საიტამა).

№9: კეისუკე უჩიდა (ციკუბა), რიუტარო იოშიკავა (ტოკაი)

№10: მაშაჰიტო იმურა (ჰოსეი), რიოდო ნაკამურა (ტეიკო)

№12-13: კოჯირო ფუჯიშიკა, შუნსუკე ნუნომაკი (ორივე-ვასედა), კოკი ნოდა (ტეიკო), ტონისო ვაიჰუ (ტენრი).

№11-14: კაზუში ჰანო (ჩუო უნივერსიტეტი), მასაკაცუ ჰიკოსაკა (ცუკაბა).

№15: კენ კუროსავა (ვასედა)

მწვრთნელი: იოკიო მოტოკი

## ზიმბაბვეს ნაკრები

პირველი ხაზი: მურეი როჯერსი, ზერუ მაკომვა, იან მუზა, დელროი სიბანდა, სიმბა გონეზე, ტატენდა კარურუ.

მეორე ხაზი: ტაკუ ჯარავაზა, ტატენდა ჩიკაკა, გრემ ლოგანი, რეჯის მუტანგადურა.

მესამე ხაზი: ფარაი ჯიჯიტა, მარკო მემა, ტაკუძვა მანდივანზა, შონ იუბერი.

№9: ჩარლი ჯიჯი, ჰილტონ მუდარიკი

№10: შონ ლინფილდი, ტომი ნელსონი

№12-13: დილან კუცია, მაკლინ მუჰამბი, ტაკურა ტელა.

№11-14: კუდა ჩივანზა, ჯასტინ კოლი, ვიქტორ მუშორივა

№15: მარკუს ნილი, კორი ფან რისნბურგი

მწვრთნელი: ბრაის ჩივანდირე

## სამოას ნაკრები

პირველი ხაზი: მაიკლ ალაალატოა (ვესტ ჰარბორი), ფრენკ ფაატაუ, გოდი შუსტერი, როპეტი ლაფო, აისეტალია ვაიომანუ (ოთხივე-მარისტი), ოფისა სმითი (ვაიალა).

მეორე ხაზი: ვილიამ სკელტონი (სიდნეის უნივერსიტეტი), ტალაგა ალოფიპო, ფაივა ტაგატაული (ორივე-ვაიმოსო), ელია ტოგიტელე (ლეუნომეგა)

მესამე ხაზი: გრეგ ფოე (პაპატოეტე), პიტა სემეანე (აპია), ფააგოსოლო ტაეოალიი (ლეპა), ჯორდან ტაუფუა (ლინკოლნ უნივერსიტეტი), სუამალიე ტუილეტუფუგა (მარისტი)

№9: ვავაო აფემაი (ვაიალა), პაულ ტუია (სტ.პატრიკსი)

№10: პატრიკ ფააპალე (ვაიალა)

№12-13: რობერტ ლილომაიავა (ვაიალა), საგატო სუა (ლეულუმოეგა), აფერეტი იონა (ფასიტოო უტა)

№ 11-14: ვიალამუ ალაუნი (ვაიმოსო), საატო იოსუა (ვაიალა), ფაავე ფაავე (სკოპა)

№15: პეტერ შუსტერი (ნორს საბურუ)

მწვრთნელ: ჯონ შუსტერი

## ურუგვაის ნაკრები

პირველი ხაზი: ნიკოლას ბარბატო (ტრებოლი), ფრანსისკო ბენაიუნი, მატეო სანგვინეტი (კუერვოსი), იგნასიო ბუკე (ოლდ ქრისტიანს), ხუან ეჩევერია (ლა ოლა), ფრანსისკო გომესი (ოლდ ბოისი), გუსმან კარისიმი (კარასკო პოლო).

მეორე ხაზი: ლუკას ლაკოსტა (ტრებოლი), ხორხე სერბინო (ოლდ ქრისტიანსი), ტომას სერბინო (ოლდ ბოისი)

მესამე ხაზი: ავგუსტინ ალონსო (მონტევიდეო), სანტიაგო ჰერნანდესი, ფრანკო ლემანა (ორივე-კარასკო პოლო), ხულიან სპიკერი (ლობოსი), სანტინო პუპო (კარასკო პოლო)

№9: როდრიგო სილვა (კარასკო პოლო)

№10: ალეხო დურანი (ტრებოლი), ფილიპე ბერკესი (კარასკო პოლო), ანდრეს ვილასესა (ოლდ ბოისი)

№12-13: გილერმო დელ სერო, ფედერიკო ფავარო (ორივე-ოლდ ქრისტიანსი), ჯანლუკა პასინი (მონტევიდეო).

№11-14: ნიკოლას რომანო (კუევროსი), მარიანო სენ ანდრეა (ოლდ ქრისთიანსი), ავგუსტინ ორმაჩეა (კარასკო პოლო).

№15: ხოაკიმ პრადა (კუევროსი).

მწვრთნელი: ფერნანდო სილვა

## აშშ-ს ნაკრები

პირველი ხაზი: ოუ ჯეი ოუიმატაგი, პერის ჰოლისი, დრიუ ოჰმენი (სამივე-ლაიფ ინივერსიტეტი), ჩაკ კოჰლერი (ვისკონსინის უნივერსიტეტი), პოლ მალენი (ჰიუსტონი), პატრიკ ლატუ (სან ფრანცისკო)

მეორე ხაზი: შონ კელერი, დენ მეტკლიფი (სენ მერის კოლეჯი), ერიკ რიგილი, სელებ ტრეისი (ორივე-კუცთაუნის უნივერსიტეტი)

მესამე ხაზი: ტაილერ ბლეკი (ლაიფ უნივერსიტეტი), ალეკ გლეცერი, მაიკ ჯაყაკი, ტიმ ოჰარა (სამივე-სანტა ბარბარა), ვეკე სენფტი (ესთაიდ ბენშიზი).

№9: მაიკ დურანტი, მაიკლ ოლივიერი (ორივე-ოლდ ალეინიანსი)

№10: ვილ მეგი, კონორ მილზი (ორივე-ილინგი)

№12-13: ჯეკ ფელონი, ვილ ფორელი (ორივე-ჯორჯიის უნივერსიტეტი), ბუბა ჯოუნზი (სენ მერის კოლეჯი), აპელუ სოოალუ (კალიჰი რაიდერსი)

№11-14: მედისონ ჰოგსი (კობჰამი), ადამ სანდსტრომი (ლაიფ უნივერსიტეტი)

№15: ჯო კოული (ლაიფ უნივერსიტეტი)

მწვრთნელი: სკოტ ლოურენსი

## რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: არტიომ ჩეჩურა, ალექსი კოსობოჩკინი, იური მატვეევი, ტალიპ ნაგდიევი, ალექსეი სკობიოლა, სტანისლავ სელსკი.

მეორე ხაზი: ალექსანდრ გალიცკი, რუსლან შირინოვი.

მესამე ხაზი: ალექსანდრ ბერზინი, ნიკიტა შალუნოვი, სერგეი სტეპანოვი, იური ვენგეროვი.

№9: გერმან გოდლიუკი, პაველ ისაევი, მაქსიმ მარტრიში.

№10: დენის კუკიშევი, ლეონიდ იამშიკოვი.

№12-13: ევგენი კორნევი, სერგეი ნუკიჩენკო, ნიკოლაი პოჩეჩუევი, ალექსანდრ რაზუმოვი, ალექსეი ვასილიევი, ვიტალი ჟივატოვი.

№11-14: ალექსანდრ ტოლმაჩევი, მაქსიმ ტოლმაჩევი.

№15: დენის სიმპლიკევიჩი

მწვრთნელი: ანდრეი ჩერევიჩნი

## მსოფლიო ალაფი

A ჯგუფი: სამოა, რუსეთი, ურუგვაი, აშშ

B ჯგუფი: იაპონია, საქართველო, კანადა, ზიმბაბვე

### 24 მაისი

იაპონია-ზიმბაბვე, სამოა-აშშ, რუსეთი-ურუგვაი, საქართველო-კანადა

### 28 მაისი

სამოა-ურუგვაი, იაპონია-კანადა, რუსეთი-აშშ, საქართველო-ზიმბაბვე

### 1 ივნისი

კანადა-ზიმბაბვე, ურუგვაი-აშშ, სამოა-რუსეთი, საქართველო-იაპონია

### 5 ივნისი. ფინალი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**













msy.gov.ge

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი



ვანკუვერი გოლის შემდეგ

# სედინების შოუ

„ვანკუვერი“ სერიოზული დანაკლისით შეხვდა სერიის მეოთხე მატჩს. „სან ხოსეს“ ფორვარდმა **ჯეიმი მაკგინმა** წინა შეხვედრაში მწყობრიდან გამოიყვანა კანადელთა ორი მცველი - **კრისტიან ერჰოფი** და **აარონ როუმი**. „ვანკუვერისთვის“ საბედნიეროდ, მას გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და დაშავებულთა ადგილი **კიტ ბალარდმა** და ახალგაზრდა **კრის ტანევმა** დაიკავეს - ეს უკანასკნელი პირველად თამაშობდა პლეი ოფში.

ცნობილია, რომ „სან ხოსე“ ძალიან კარგად იყენებს რიცხობრივ უპირატესობას, ამიტომაც მატჩის წინ „კენაქსის“ მწვრთნელმა **ალან ვინიომ** თავის შეგირდებს უხეშობისგან თავის შეკავება სთხოვა. მიუხედავად ამისა, მარტო პირველ მეოთხედში სტუმრები ოთხჯერ დარჩნენ ყინულზე კაცნაკლულები, მაგრამ „ზვიგენებმა“ არათუ ვერ გამოიყენეს ეს უპირატესობა, არამედ თითქმის ვერ დაარტყეს **ლუონგოს** კარის მიმართულებით.

მეორე პერიოდის დასაწყისში „შარქსმა“ ზედიზედ მეხუთედ მიიღო რიცხობივი უპირატესობა და ზედიზედ მეხუთედ „ვანკუვერმა“ დამაჯერებლად შეინარჩუნა საყაიმო ანგარიში. ამის შემდეგ სტუმრებმა დამაჯერებლობა იგრძნეს და თამაში მათი ინიციატივით გაგრძელდა.

ამაში „ვანკუვერს“ მეტოქეც დაეხმარა - „სან ხოსეს“ პირველად უძევებენ მოთამაშეს (**ჰიტლი**). ამ მომენტიდან ერთი წუთი გავიდა და მასპინძლები სამი კაცით რჩებიან ყინულზე (ორი წუთით „დაასვენეს“ **მიტჩელი**). „ვანკუვერმა“ მოიგო ჩაგდება, შაიბა ერთი ფლანგიდან მეორეზე გადაიტანა და **კესლერმა** ახლო კუთხეში ზუსტად დაარტყა.

ერთ-ერთი გაგდებული - დენი ჰიტლი დაბრუნდა მოედანზე, „სან ხოსემ“ გააგრძელა უმცირესობაში თამაში და იქვე **რაიან ქლოუ** დაჯარიმდა. ისევ ორკაციანი უპირატესობა, ისევ მოგებული ჩაგდება და **სამი სალომ** 2:0 გახადა ანგარიში! ამასობაში, მიტჩელი ბრუნდება ყინულზე და „ზვიგენები“ ცდილობენ ოთხი კაცით გაძლონ, მაგრამ **დუგლას მიურეიმ** შეგნებულად გადააგდო ტრიბუნებზე შაიბა. თამაშის შეჩერების გამო მასაც საჯარიმო სკამისკენ მიუთითეს. „ვანკუვერს“ კვლავ ორით მეტი ჰოკეისტი ჰყავდა მოედანზე და სამი სალოს კიდევ ერთმა ბრწყინვალე დარტყმამ კანადელებს სამშაიბიანი უპირატესობა მოუტანა - 3:0! დაახლოებით ორწუთიანი (უფრო ნაკლები) ინტერვალით „კენაქსმა“ სამი გოლი გაიტანა, სალომ და **ჰენრიკ სედინმა** სამ-სამი ქულა მიითვალეს, **დანიელ სედინის** ანგარიშზე კი ორი ქულა იყო. ამ ბედნიერებისთვის სტუმრებს სულ ოთხი დარტყმის შესრულება დასჭირდათ.

ბოლო პერიოდში „ვანკუვერმა“ მეტოქეს თამაშის შემობრუნების შანსი არ დაუტოვა - არც გაძევება ყოფილა, არც საკუთარ ზონაში შეცდომა, არც „ზვიგენების“ კონტრშეტევა. სტარტზე სტუმრებმა მშვიდად დაიცვეს თავი და შემდეგ ულამაზესი კონტრიერიში განახორციელეს - ჰენრიკ სედინი მარჯვენა ფლანგიდან შევიდა მეტოქის ზონაში, კარიდან გამოიტყუა **ანტი ნიემი**, ფეხებსშუა გაუძვრინა შაიბა, რომელიც ცარიელ კარში **ბაროუზმა** შეაგდო.

ბოლოსკენ ადგილობრივმა გულშემატკივრებმაც გაიხარეს, როცა 24 წლის **ენდრიუ დეჟარდენმა** პლეი ოფში პირველი შაიბა გაიტანა. ამის შემდეგ „სან ხოსემ“ ხუთი წუთი მეტოქის ზონაში გაატარა, ბევრი შანსიც მიიღო, მაგრამ ლუონგო ბრწყინვალედ თამაშობდა.

მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დანებება არც უფიქრიათ - მათ მოიგერიეს მორიგი რიცხობრივი უმცირესობა და იქვე მეორე გოლიც გაიტანეს (ქლოუმ **კუტურის** იდეალური პასი გამოიყენა). „ზვიგენების“ მწვრთნელი მაქსიმალურ რისკზე წავიდა, საფინალო სირენამდე ორწუთ-ნახევრით ადრე მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალა. „ვანკუვერმა“ გაუძლო ამ უდიდეს ზეწოლას და სერიაში მესამე მატჩი მოიგო.

რა თქმა უნდა, აღვნიშნავთ ძმები სედინების ბრწყინვალე თამაშს, რომლებმაც ერთად შვიდი ქულა დააგროვეს. რაც ყველაზე საოცარია, „ვანკუვერმა“ მოიგო შეხვედრა, რომელშიც მხოლოდ 13 (!) ზუსტი დარტყმა შეასრულა.

**დასავლეთი**

**სან ხოსე-ვანკუვერი 2:4**

**0:0, 0:3, 2:1**

**გოლები:** 0:1 კესლერი-6 (სალო-1, ჰ. სედინი-14), 0:2 სალო-2 (ჰ. სედინი-15, დ. სედინი-5), 0:3 სალო-3 (ჰ. სედინი-16, დ. სედინი-6), 0:4 ბაროუზი-6 (ჰ. სედინი-17, დ. სედინი-7), 1:4 დეჟარდენი-1 (ჰასკინსი-1, მაკგინი-1), 2:4 ქლოუ-6 (კუტური-7, მარლო-5).

**სერია: 1-3**

## ამბები

**ოლიმპიზმი**

### ჰიროსიმას უარი

იაპონიის ქალაქი ჰიროსიმა აღარ აპირებს 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზიის გამოცხადებას. მიზეზი გახდა ჰიროსიმას მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება ამ იდეის მიმართ, აგრეთვე სათანადო დაფინანსების დეფიციტი.

შედეგად ქალაქის მერმა **კაზუმი მაცუიმ** საგანაცხადო კომიტეტის დაშლა გადაწყვიტა. თავდაპირველად 2010 წლის თამაშებისადმი ინტერესს ჰიროსიმა და ნაგასაკი აცხადებდნენ, ამ ბრძოლაში ჩაბმის სურვილს გამოთქვამდა ტოკიოს მერი **სინტარო ისიჰარაც**. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადების შეტანის საბოლოო ვადა - პირველი სექტემბერია.

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

### გრიუგერი კარიერას გააგრძელებს

ავსტრიელი სამთომოთხილამურე **ჰანს გრიუგერი**, რომელმაც ამა წლის იანვარში ავსტრიის კურორტ კიტცბუელში ვარჯიშისას სერიოზული დაზიანება მიიღო, მომავალ სეზონში დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს.

*„თავდაპირველად სრულად უნდა გამოვჯანმრთელდე. ჯერჯერობით მიჭირს წონასწორობის შენარჩუნება და მარცხენა ფეხის ამოძრავება. მიუხედავად ამისა, მაქვს ენერგია და სურვილი ტრასაზე დავბრუნდე. იმედია, ეს ძალიან მალე მოხდება“*, - ამბობს 29 წლის მოთხილამურე.

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ჰიტის გადამწყვეტი ნაბიჯი?



კრის ბოში

აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალის მესამე მატჩი უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო ამ დაპირისპირებაში - ამაზე თუნდაც ერთი სტატისტიკური მონაცემი მეტყველებდა: 2006 წლიდან მოყოლებული (როცა „ჰიტმა“ ბოლოჯერ მოიგო საჩემპიონო ტიტული) ყველა გუნდი, რომელიც ნახევარფინალურ სერიაში მესამე მატჩს იგებდა, შემდეგ აუცილებლად ხვდებოდა ფინალში. რთული სათქმელია, იცოდნენ თუ არა გუშინდელი მატჩის მონაწილეებმა ამ სტატისტიკური მონაცემის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ მეოთხედში ისინი მაქსიმალურად დაიხარჯნენ მოედანზე, თუმცა პროდუქტიულობის მხრივ მოიკოჭლებდნენ.

პირველივე წუთებიდან თამაში ძალიან სწრაფ ტემპში ვითარდებოდა. დაცვაში ორივე გუნდის მაღალ დონეზე მოქმედების გათვალისწინებით, ამ „სირბილს“ ბევრი შეცდომა ახლდა თან. თავდაპირველად თამაშზე კონტროლის დაწესება **უეიდმა** სცადა, მაგრამ მას ყურადღებით მეურვეობდნენ და ამან „ჰიტის“ ვარსკვლავის რამდენიმე შეცდომა გამოიწვია. სამაგიეროდ, ასეთი ტემპის პირობებში კომფორტულად გრძნობდა თავს **ლებრონ ჯეიმსი**, რომელიც კარგად უძლვებოდა თავისიანების თამაშს, მაგრამ მისი პარტნიორები არ ჩქარობდნენ შეტევების პროდუქტიულად დასრულებას. „ჩიკაგოს“ კი საერთოდ არაფერი გამოსდიოდა. **ნოამ** ორი პერსონალური მიიღო და დასასვენებლად გაემართა - ამაში, რა თქმა უნდა, „ჰიტის“ დაცვაა „დამნაშავე“. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა **ჯოელ ენტონი**, რომელმაც გასაქანი არ მისცა **ბუზერს** და **როუზის** მეურვეობაშიც დაიდო წვლილი. სერიოზული პრობლემები ჰქონდა **კრის ბოშსაც**, რომელიც თავისი საყვარელი წერტილებიდან ვერ აგდებდა. პირველი 12 წუთის შემდეგ „ჰიტი“ სამი ქულით (18:15) იყო წინ, მაგრამ სათამაშო უპირატესობა ჰქონდა ძალიან დიდი. „ბულზმა“ ტყორცნების მხოლოდ 27 პროცენტი გამოიყენა, რაც საკმარისი არ არის ასეთი ამბიციური გუნდისთვის.

მეორე მეოთხედმა ბოშისა და ბუზერის შეტევების აკომპანემენტით ჩაიარა. ჩიკაგოელებმა საშუალო ტყორცნებზე გააკეთეს აქცენტი და უნდა აღინიშნოს, რომ როუზის არყოფნაში „ხარების“ მოქმედებაში ქაოსი ნაკლებად შეინიშნებოდა. კარგად ერთვებოდა შეტევებში **ჩელმერსი**, რამაც „ჰიტს“ მეტოქის დისტანციაზე შენარჩუნების საშუალება მისცა. ასევე აღვნიშნავთ **ბრიუერის** ნაყოფიერ მოქმედებას, რომელმაც სერიოზულად გაურთულა საქმე უეიდს და შეტევაშიც არ იკარგებოდა. დიდი შესვენებისთვის სამქულიანი სხვაობა შენარჩუნებული იყო, თუმცა **სპოელსტრას** ბუზერის შეჩერებაზე უნდა ეზრუნა.

მატჩის მესამე ნაწილი მეორის ლოგიკური გაგრძელება იყო. „ხარების“ შეტევები ისევ საშუალო ტყორცნებით სრულდებოდა, ხანდახან როუზი თუ შეასრულებდა თავის საფირმო შესვლებს. „ჩიკაგოს“ კრის ბოში პასუხობდა, რომელსაც იმ დღეს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდა. იყო მომენტი, როცა **ტიბოდოს** გუნდი წინ გავიდა, მაგრამ **ბიბის** (ორი გამოყენებული სამქულიანი), უეიდისა და ბოშის მიერ მოწყობილმა გაქცევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. თუმცა რეგულარულის ჩემპიონმა „ჰიტს“ შორს წასვლის საშუალება არ მისცა. **დენგმა** მეოთხედის ბოლოს ორი სამქულიანი ჩააგდო და ტაბლომ ისევ დააფიქსირა „მაიამის“ სამქულიანი უპირატესობა.

ბოლო მეოთხედის პირველი ნაწილი თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. კვლავ შეუდარებელი იყო ბოში, რომელსაც ვერაფერს უხერხებდნენ ბუზერი და ნოა. „ტორონტოს“ ყოფილი მოთამაშე სხვადასხვა ხერხით უსწორდებოდა ამ დუეტს. თუ მას ბუზერი მეურვეობდა, კრისი უბრალოდ პოზიციას იგებდა და საშუალო მანძილიდან სასროლად და ფარქვეშ შესასვლელად იხსნებოდა, ნოას წინააღმდეგ კი ურთულეს, მაგრამ საფირმო საშუალო ტყორცნებს ასრულებდა და ამ შემთხვევაშიც თითქმის არ ცდებოდა.

მუდმივი ზეწოლის ქვეშ მყოფი „ჩიკაგო“ მცირე დროით მოდუნდა და მეტოქის გადამწყვეტი გაქცევა (9:0) გამოეპარა. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და საკუთარი გაქცევით (8:2) უპასუხეს „ჰიტს“. თითქოს ეს გარდამტეხი მომენტი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ „ბულზს“ სასწაულისთვის დრო საკმარისი ჰქონდა, მაგრამ ბუზერის უპასუხისმგებლო თამაშმა და „ჰიტის“ ლიდერთა ჯარიმების გარეშე შეჩერების უუნარობამ „ჩიკაგოს“ მატჩის გადარჩენის შანსი არ მისცეს.

ილინოისურმა კლუბმა 7 თებერვლის შემდეგ პირველად წააგო ზედიზედ ორი მატჩი და შესამჩნევად გაიუარესა საქმე სერიაში. „ჰიტმა“ უკვე მეორედ აჯობა დაცვით თამაშში მოწინააღმდეგეს. დერიკ როუზმა კვლავ ვერ შეძლო სრულად თავისი პოტენციალის გამოყენება, ამის გარეშე კი „ჩიკაგოს“ შედეგიანობა მკვეთრად ეცემა ხოლმე.

უეიდმა მაინცდამაინც წარმატებული თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ მისი 35-პროცენტიანი სიზუსტე კრის ბოშის ფანტასტიკურმა მოქმედებამ გადაფარა. სხვათა შორის, ამ პლეი ოფში „მაიამი“ შინ არ მარცხდება (ზედიზედ შვიდი მოგება). სერიის მორიგი შეხვედრაც სწორედ ფლორიდელთა არენაზე გაიმართება.

**მაიამი-ჩიკაგო 96:85**

**18:15, 25:25, 25:25, 28:20**

**მ:** ბოში (34+5 მოხსნა), ჯეიმსი (22+10 პასი+6 მოხსნა+2 ჩაჭრა+2 დაფარება), უეიდი (17+9 მოხსნა+3 პასი), ჰასლემი (8), ჩელმერსი (6), ბიბი (6), ენტონი (3+5 დაფარება).

**ჩ:** ბუზერი (26+17 მოხსნა+2 დაფარება), როუზი (20+5 პასი+5 მოხსნა), დენგი (14+8 მოხსნა), გიბსონი (11), ბოგანსი (4), ბრიუერი (4), კორვერი (3), უოტსონი (2), ნოა (1+6 პასი+5 მოხსნა+2 დაფარება).

**სერია: 2-1**

მძლეოსნობა

# რეკორდი ჰალეში



რეკორდსმენი

გასულ უქმეებზე მსოფლიოს რეკორდით დასრულდა საერთაშორისო ტურნირი გერმანიის ქალაქ ჰალეში. ადგილობრივმა ათლეტმა, 27 წლის **ბეტი ჰაიდლერმა** უროს ტყორცნაში 79,42 მეტრი დააფიქსირა, რითაც **ანიტა ვლოდარჩიკის** წინა რეკორდი მეტრითა და 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

გერმანელმა ხუთივე ცდა შესანიშნავად შეასრულა - ხუთივეჯერ ურო 60 მეტრზე შორს ტყორცნა. ტურნირის დასაწყისში, პირველივე ცდაზე ეროვნული რეკორდი დაამყარა - 77,17 მეტრი. შემდეგ კი მსოფლიოს ახალი რეკორდის ჯერი დადგა, რომელიც სპორტსმენის პირად რეკორდზე თითქმის ორი მეტრით უკეთესი იყო.

ჰაიდლერმა 2009 წელს, ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 77,19 მეტრი აჩვენა. მაშინ გერმანელმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

*„უკეთესადაც შემიძლია. მოშვებული ვიყავი, ზეწოლას არ ვგრძნობდი, რის გამოც უფრო დამაჯერებელი გამოსვლა გამომივიდა. კარგად ჩავატარე მოსამზადებელი სეზონი, ამინდმა კი ასეთი შედეგის დაფიქსირების საშუალება მომცა. 80 მეტრამდე 58 სანტიმეტრი დარჩა. ეს უდიდესი გამოწვევაა ქალებს შორის უროს მტყორცნელებს შორის“*, - განაცხადა ახალმა რეკორდსმენმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# სკუდერია საშუალო დონეა

„ფერარი" აშკარა კრიზისშია. ბარსელონაში „სკუდერიამ" მორიგი კოშმარული რბოლა ჩაატარა - ფელიპე მასა ამ სეზონში მესამედ ვერ მივიდა ფინიშამდე, ფერნანდო ალონსოს ბოლიდს კი ისეთი ტემპი ჰქონდა, რომ ბოლოს მას წრეზე (!) გაუსწრეს სებასტიან ფეტელმა და ლუის ჰემილტონმა. არადა, ესპანელისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - მეოთხე პოზიციიდან მოგებული სტარტი და დაახლოებით 20 წრე ლიდერობა.

რბოლის შემდეგ გაზეთმა „მარკამ" მცირე ინტერვიუ ჩამოართვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს. საუბარში ალონსო „ფერარიში" არსებულ პრობლემებზე მსჯელობს.


ფერნანდო ალონსო

**- ბრწყინვალე სტარტის შემდეგ თანდათან კარგავდით პოზიციას. რა იყო ამის მიზეზი? საქმე მხოლოდ საბურავებშია?**

- არასაკმარისად სწრაფები ვართ - ეს არის მთავარი პრობლემა. სავარაუდოდ, ამ მანქანით კვალიფიკაციაში მერვე ან მეცხრე დრო უნდა მეჩვენებინა, მაგრამ მეოთხეზე გავედი. შაბათს ყველაფერი კარგად გამომივიდა, რბოლაც შესანიშნავად დავიწყე, მაგრამ მანქანას სისწრაფე არ ეყო.

სამწუხაროდ, დისტანციის 40 პროცენტის გავლა ხისტი საბურავით მომიწია, რომელსაც უფრო ცუდად ვეგუებით, თუმცა მანქანა არც რბილი საბურავით ყოფილა სწრაფი.

**- რა იყო ასეთი შთამბეჭდავი სტარტის საიდუმლო?**

- ყოველ გრანპრიზე ვცდილობ კარგი სტარტის აღებას. ამისთვის ჩვეულებრივ ვემზადებოდით, იგივე პროცედურა ჩავატარეთ, იგივე საბურავები გამოვიყენეთ, რაც ადრე - მოკლედ განსხვავებული არაფერი ყოფილა, უბრალოდ ხანდახან ყველა ფაქტორი ემთხვევა ხოლმე. სტარტის სიგნალზე დროული რეაგირება მოვახდინე, ოპტიმალური ტრაექტორია ავირჩიე - ყველაფერი კარგად გამოვიდა, ამასთან, ბარსელონაში გრძელი სასტარტო მონაკვეთია, რომელიც უპირატესობის რეალიზების საშუალებას გაძლევს. თუ ასევე კარგად შეძლებთ მონაკოში სტარტის აღებას, იქ პოზიციას უპრობლემოდ შეინარჩუნებთ, რადგან იმ ტრასაზე შეტევისთვის ადგილი უბრალოდ არ არსებობს.

**- რა თქმა უნდა, სასიამოვნო უნდა ყოფილიყო საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რბოლის ლიდერად გასვლა. იმ მომენტში იფიქრებდით, რომ მხოლოდ მეხუთე მიხვიდოდით ფინიშთან?**

- რბოლაში ლიდერობა, მით უმეტეს, საშინაო ტრასაზე - ძალიან სასიამოვნოა. პირველმა 20-მა წრემ დიდი სიამოვნება მომიტანა, თუმცა კონკურენტები დიდ ზეწოლას ახდენდნენ და გარკვეულ ადგილებში KERS-ის სისტემის გამოყენება მჭირდებოდა პირველი პოზიციის შესანარჩუნებლად.

პიტსტოპების დროს კი უკვე არაფრის შეცვლა არ შემეძლო. როგორც კი მეტოქეებზე ერთი წრით ადრე შევიდოდი ბოქსებში, ისინი მაშინვე უპირატესობას იღებდნენ, ამიტომაც ვცდილობდი მათთან ერთად გამევლო პიტსტოპი. მეტოქეები კი მრავლად მყავდა, ასე რომ გამარჯვების მოპოვების დიდი იმედი არ მქონია.

**- წინ მონაკოს რბოლაა. რას ელით ჩემპიონატის მეექვსე ეტაპისგან?**

- მონაკოში ფრთხილი ოპტიმიზმით მივემგზავრები. ეს უნიკალური ტრასაა, რომელსაც განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. დღეს ჩვენს ბოლიდს ძალიან არ ჰყოფნის მოჭიდების ძალა და მონაკოში ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. შარშან იქ საკმაოდ კონკურენტუნარიანები ვიყავით, ამიტომაც წარმატების გამეორების იმედი მაქვს.

■ ■ ■

საინტერესოა „ფერარიში" არსებულ პრობლემებზე გუნდის ხელმძღვანელთა კომენტარიც. აი რას ამბობს „სკუდერიაში" შექმნილ სიტუაციაზე იტალიური საჯინიბოს შეფი **სტეფანო დომენიკალი**:

*„ექვგარეშეა, რომ რბოლის ზოგიერთ მონაკვეთზე ჩვენი ტემპი არადამაკმაყოფილებელი იყო. კიდევ უფრო ნაღვლიანი იყო იმის ცქერა, ბრწყინვალე სტარტისა და 12 წრე ღირსეული ბრძოლის შემდეგ როგორ კარგავდა ჩვენი ბოლიდი სისწრაფეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ფერნანდო და ფელიპე მასა ისეთი ტექნიკით უზრუნველვყოთ, რომელიც მათ არამარტო სტარტზე, არამედ მთელი რბოლის განმავლობაში ბრძოლის საშუალებას მისცემს.*

*ამ ტრასაზე ძალიან მნიშვნელოვანია მოჭიდების ძალა, ჩვენ კი კონკურენტებს სწორედ ამ კომპონენტში ჩამოვრჩებით, განსაკუთრებით ხისტი საბურავების პირობებში. ახალ საბურავებს ვერა და ვერ შევეგუეთ, ამიტომაც დაწინაურებულ ოთხეულთან წრეზე ორ წამსაც კი ვაგებდით.*

*რას მოვიმოქმედებთ? გავაგრძელებთ მუშაობას მანქანის გაუმჯობესებაზე. წინ სამი გრანპრის სერიაა, რომლებშიც რბილ და სუპერრბილ საბურავებს გამოიყენებენ. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ეს საერთო სურათზე"*.

**პეტ ფრაი** (მთავარი სარბოლო ინჟინერი): *„კვალიფიკაციაზე ფერნანდომ ფანტასტიკური წრე გაიარა, რისი წყალობითაც პირველად სეზონში მეორე სასტარტო ხაზზე მოვხვდით. რბოლაში ესპანელს ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა და პირველ ადგილზე აღმოვჩნდით, არადა, ეს პოზიცია აღემატება ჩვენი მანქანის შესაძლებლობებს.*

*რბილი საბურავებით ვახერხებდით უფრო სწრაფი მეტოქეების შეფერხებას, მაგრამ ხისტმა საბურავებმა არანაირი შანსი აღარ დაგვიტოვა - ასეთ სიტუაციაში მხოლოდ იმ პოზიციის შენარჩუნებაზე თუ ვიფიქრებდით, რომელიც იმ მომენტში გვქონდა.*

*რა თქმა უნდა, „რედ ბულისა" და „მაკლარენის" პილოტები ჩვენზე სწრაფები არიან და სტარტზე მათი დამარცხება მხოლოდ ფერნანდოს ნიჭის წყალობით მოხერხდა. ამ ტრასისთვის არასაკმარისი მოჭიდების ძალა გვქონდა - ეს პრობლემა უქმეების დასაწყისშიც კარგად ჩანდა, თუმცა რბოლის დროს ტემპის ასეთ დაცემას ნამდვილად არ მოველოდით.*

*უდიდესი სამუშაოს ჩატარება დაგვჭირდება იმისთვის, რომ მანქანა უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს - პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მაღალ ადგილებზე გასასვლელად"*.

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# კონტადორმა თითქმის გაინაღდა


მიკელ ნიევე

მე-15 ეტაპი იტალიურ ველომარათონზე ყველაზე რთული აღმოჩნდა - ველომრბოლებმა პირველი კატეგორიის ოთხი მწვერვალის გადალახვას შვიდსაათნახევარი მოანდომეს. პირველი ფინიშთან ბასკი **მიკელ ნიევე** მივიდა, საერთო ჩათვლის ლიდერმა **ალბერტო კონტრადორმა** კი მესამე ადგილი დაიკავა და ამით პირველობა განიმტკიცა გენერალურ კლასიფიკაციაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეტაპი გამოცდილი სამთო ველომრბოლების გაქცევით დაიწყო. დაწინაურებულთა შორის იყვნენ სხვადასხვა წლებში „გრანდტურების" გამარჯვებულები - **მიკელე სკარპონი, დანილო დი ლუკა** და **კარლოს სასტრე**. პელოტონთან უპირატესობამ ცხრა წუთი შეადგინა და რაღაც მომენტში მიკელ ნიევე საერთო ჩათვლაში კონტადორის პოზიციებს დაემუქრა.

მალე ნიევე და სკარპონი შეტევაზე გადავიდნენ და ლიდერთა ჯგუფი საბოლოოდ დაიშალა. პელოტონში მყოფ საერთო ჩათვლის ლიდერებს მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობდათ და მალე ისინი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ.

თავიდან **ხოაკინ როდრიგესმა** სცადა გაქცევა. მის ტემპს ფეხი აუწყვეს **რუხანომ** და კონტადორმა, **ნიბალი** კი დროებით ჩამორჩა კონკურენტებს. პელოტონი სულ მალე ათკაციან ჯგუფად გადაკეთდა.

ამასობაში, გაქცეულთა შორის გარცელიმ იაქტიურა და სამთო პრემიების შეგროვება დაიწყო, თუმცა ვეტერანს სახეზე ეტყობოდა, რომ მარტო ვერ მიაღწევდა ფინიშამდე. ნიევე მას 40 წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ ბოლო მთაზე, სადაც გარცელის საბოლოოდ გამოელია ძალები, ბასკი ჯერ დაეწია იტალიელს და შემდეგ გაუსწრო მას.

პელოტონში კი კონტადორი დომინირებდა. მის ტემპს ვერ გაუძლეს ნიბალიმ, **მენშოვმა** და **ანტონმა**. ესპანელის გვერდით მხოლოდ სკარპონი და **გარდე** იყვნენ, მაგრამ ალბერტო კიდევ ერთხელ წამოდგა სკამიდან და უკვე მარტო გაემართა ფინიშისკენ.

საბოლოოდ, წინ მხოლოდ ნიევე და გარცელი რჩებოდნენ, თუმცა მათი კოლოსალური უპირატესობა სწრაფი ტემპით მცირდებოდა. თითქოს ბოლო კილომეტრზე კონტადორი უნდა დაწეოდა ამ დუეტს, მაგრამ ლიდერებმა დიდი გაჭირვებით შეინარჩუნეს პირველი და მეორე ადგილები. ნიევემ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა ბასკურ გუნდ „ეუსკატელ-ეუსკადის", გარცელი კი „მთის მეფის" მაისურის მოპოვებით დაკმაყოფილდა. ბრწყინვალედ იარა ბოლო აღმართზე სკარპონიმაც. იტალიელმა არამარტო გარდეს გაასწრო, არამედ მინიმუმამდე შეამცირა კონტადორთან ჩამორჩენა და ამის წყალობით მეორე ადგილზე გადაინაცვლა გენერალურ კლასიფიკაციაში.

**XV ეტაპი**

1. **მიკელ ნიევე** (ესპ, „ეუსკატელ-ეუსკადი") - 7:27.14; 2. **სტეფანო გარცელი** (იტა, „აკლა ე საპონე") - +1.41; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - +1.51; 4. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +1.57; 5. **ჯონ გარდე** (საფ, „აჟ2რ") - +2.28 6. **ხოსე რუხანო** (ვენ, „ანდრონი ჯოკატოლი") - +2.35...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - 62:15.29; 2. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +4.20; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +5.11; 4. **ჯონ გარდე** (საფ, „აჟ2რ") - +6.08; 5. **იგორ ანტონი** (ესპ, „ეუსკატელ-ეუსკადი") - +6.32; 6. **მიკელ ნიევე** (ესპ, „ეუსკატელ-ეუსკადი") - +7.03...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **სერია B** | |
| სიენა-ვარეზე | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-ჰალმსტადი | 3:2 |
| მიალბიუ-იურგორდენი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ატვიდაბერგი | 1:0 |
| ლანდსკრონა-ბრაგე | 1:2 |
| ვარნამო-იონჩოპინგი | 2:4 |
| ფალკენბერგი-ანგელჰოლმი | 1:0 |
| დეგერფორსი-ლიუნგსკილე | 2:3 |
| ოსტერსი-ვასტერასი | 0:0 |
| ასირისკა-ბრომაპიოკარნა | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| იარო-ვაასა | 2:0 |
| ჰონკა-ტურკუ | 1:2 |
| იუვიასკიულა-კუოპიო | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამეენლინა-კტპ | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ტორი-ჰაფნარი | გადაიდო |
| **თურქეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| თავსანლი-ბბ გაზიანთეფი | 1:2 |
| ორდუ-რიზე | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 105:65 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 87:64 |
| **იტალია** | |
| ვირტუსი-მონტეპასკი | 74:68 |
| ბენეტონი-აველინო | 74:64 |
| **რუსეთი** | |
| უნიქსი-ნ. ნოვგოროდი | 86:66 |
| ხიმკი-სპარტაკი | 87:82 |
| ცსკა-კრ. კრილია | 82:73 |
| ლოკომოტივი-ყუბანი | 83:80 |

● TV პროგრამა

**24 მაისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. არსენალი-ბოკა ხუნიორსი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ხეტაფე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-სტ. ეტიენი
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.
**00:00** გერმანიის თასი. ფინალი. დუისბურგი-შალკე.

**GMG-სპორტი**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. IV მატჩი.
**12:15** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. მიმოხილვა.
**13:15** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. III დღე. პარიზი (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. IV მატჩი.
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. IV მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. IV მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**05:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ვანკუვერი-სან ხოსე. V მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**23:00** რუსეთის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ხიმკი-სპარტაკი. I მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. III დღე. პარიზი (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVI ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. III დღე. პარიზი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ოთხი ერის თასი. უელსი-შოტლანდია (LIVE).
**02:15** მოტოსპორტი. ალბასეტე. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. III დღე. პარიზი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბოხუმი-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# მალე ჯოკოვიჩ-დელ პოტროს ვნახავთ

როლან გაროსის მეორე დღეს მაყურებელმა პირველი ხმაურიანი სენსაცია იხილა, თანაც ადგილობრივი პუბლიკის გასახარად მისი ავტორი გახდა ფრანგი **სტეფან რობერი**. 31 წლის ჩოგბურთელმა კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია - ბრძოლას გამოთიშა შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი, ტურნირის მეექვსე ნომერი **ტომაშ ბერდიხი**.

პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩეხი ჩოგბურთელი დათმობდა ამ შეხვედრას. მაგრამ ფრანგმა ზედიზედ ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:2 აილო, რის შემდეგაც გაიმართა მარათონული მეხუთე სეტი, რომელშიც ბერდიხი ისევ ახლოს იყო მიზანთან - 5:4-ზე მატჩბოლი მიიღო და ფრანგმა ისევ გადაარჩინა შეხვედრა, მე-15 გეიმში ბრეიკი გააკეთა და მატჩზე დამაჯერებლად ჩააწოდა - 9:7.

რობერმა 62 „ვინერსით" დაასრულა შეხვედრა და ქულების 82 პროცენტი მოიგო ბადესთან გასვლის შემდეგ. ფრანგისთვის ეს იყო მეორე მოგება „დიდი სლემის" ტურნირებზე და ასევე მეორე წარმატება მიმდინარე სეზონში. გარდა ამისა, სტეფანმა პირველად დაამარცხა რეიტინგის საუკეთესო ათეულის წევრი. მანამდე მისი ყველაზე დიდი გამარჯვება შარშან იოჰანესბურგში დაფიქსირდა, როცა მან ესპანელი **დავიდ ფერერი** დაამარცხა.

ახალ რეიტინგში ბერდიხი სერიოზულად დაქვეითდება, რადგან შარშან აქ ნახევარფინალში ითამაშა და წელს ვერ შეძლო სარეიტინგო ქულების დაცვა.

მოულოდნელი იყო მეორე ფრანგის **მიკაელ ლოდრას** მარცხი ბელგიელ **სტივ დარცისთან**. მსოფლიოს 24-ე ნომერმა მხოლოდ პირველ სეტში შეძლო ჩვეული დონის ჩვენება, როცა ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა, მაგრამ მომდევნო სამ პარტიაში ლოდრამ ხუთჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, თავად კი მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა. ეს სამი სეტი კლასიფიკაციის 135-ე ნომერმა ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო.

დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო ორი გიგანტის - არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და ხორვატი **ივო კარლოვიჩის** დაპირისპირება. ევროპელმა თავისი მთავარი იარალი - ძლიერი მოწოდება მხოლოდ პირველ სეტში გამოიყენა, რომელიც ტაი-ბრეიკით აილო. ამის შემდეგ დელ პოტრო თითო ბრეიკს აკეთებდა თითო სეტში და ამის ხარჯზე გააღწია შემდეგ წრეში. კარლოვიჩმა ვერც ერთხელ ვერ აილო მეტოქის მოწოდება. მატჩი საერთო ჯამში 3 საათი და 13 წუთი გაგრძელდა. სხვათა შორის, დელ პოტრომ პირველად დაამარცხა კარლოვიჩი და გაათანაბრა ანგარიში მასთან ურთიერთშეხვედრებში.

*„ეს მართლაც რთული მატჩი იყო. კარლოვიჩის წინააღმდეგ ყოველთვის რთულია თამაში, რადგან მის მოწოდებაზე წარმატების მინიმალური შანსი გაქვს. მაგრამ დღეს ყველაფერი გამომივიდა. მთელი მატჩის განმავლობაში არ დამიკარგავს კონცენტრაცია და საბოლოოდ გავუმკლავდი მეტოქეს.*

*სასიამოვნოა, როცა ფავორიტთა ჯგუფს მიგაკუთვნებენ. კმაყოფილი ვარ საკუთარი ფიზიკური კონდიციებით. დღეს ეს ყველაზე მნიშვნელოვანია"*, - თქვა დელ პოტრომ, რომლის პოტენციური მეტოქე მესამე წრეში **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იქნება.

15-თვიანი შესვენების შემდეგ კორტს დაუბრუნდა მსოფლიოს ყოფილი მეორე ჩოგანი **ტომი ჰაასი**. ვეტერანმა ჩოგბურთელმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო, თუმცა ტურნირებზე გერმანიის სახელით გამოდის. ტომის დაბრუნება წარუმატებელი გამოვიდა - მან ოთხ სეტში წააგო ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ თურქთან **მარსელ ილჰანთან** - 4:6, 6:4, 6:7, 4:6.

გუშინ ბრძოლაში ჩაება ორი ფავორიტი - ნოვაკ ჯოკოვიჩი და **როჯერ ფედერერი**. სერბმა ჰოლანდიელი **ტიემო დე ბაკერის** დამარცხებით 38 მატჩამდე აიყვანა ATP-ის ტურში მოგებათა სერია. ჯოკოვიჩმა ძალიან დამაჯერებლად გაიმარჯვა - ექვსი ბრეიკი მიითვალა და თავად ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაუთმო მეტოქეს.

*„ჩემთვის ეს შესანიშნავი სტარტი იყო. ძალიან ზუსტად ვაწვდიდი და მაქსიმალურად აგრესიულად ვთამაშობდი. არსად გამქრალა დიდი ტურნირებისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ზეწოლა, თუმცა წლების განმავლობაში ამ პრობლემასთან გამკლავება ვისწავლე. კარგად ვიცი, რომ ჩემგან ბევრს ელიან იმ გამარჯვებათა სერიის გამო, რომელიც ჯერჯერობით გრძელდება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა.

გაცილებით რთული მატჩი ელოდა მესამე ჩოგანს როჯერ ფედერერს. შვეიცარიელს გრუნტის საფრის მოყვარული **ფელისიანო ლოპესი** შეხვდა. ესპანელს რევანშზე უნდა ეზრუნა, რადგან წინა რვა შეხვედრაში როჯერს რვაჯერ ჰყავდა დამარცხებული ფელისიანო.

მაგრამ ლოპესმა ნავსი ვერ გატეხა. მართალია, ფედერერმა მხოლოდ ორი ბრეიკი გააკეთა, თუმცა მთელი შეხვედრა ძალიან დამაჯერებლად და სტაბილურად ჩაატარა: ფელისიანოს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მიუღია, გარდა ამისა, ფედერერმა 12 ეისი ჩააწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია. თამაში საათსა და 59 წუთს გაგრძელდა.

**კაცები**

**I წრე**

**ანტონიო ვეიჩი (ხორ)**-პაბლო კუევასი (ურუ) 4:6, 6:3, 6:2, 3:1 უარი; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 28)**-დენის გრემელმაირი (გერ) 7:6, 6:1, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 27)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 7:6, 6:2, 6:2; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-დასტინ ბრაუნი (გერ) 3:6, 7:6, 6:2, 6:2; **ალბერტ რამოს ვინოლასი (ესპ)**-ხავიერ მარტი (ესპ) 6:3, 6:7, 4:6, 6:1, 6:3; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:1, 6:3, 6:7, 6:2; **მაიკლ ბერერი (გერ)**-მილოშ რაონიჩი (კან, 26) 6:4, 4:6, 6:3, 6:4; **ტომბიას კამკე (გერ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:7, 6:3, 6:3, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 15)**-ჯულიან რაისტერი (გერ) 6:4, 6:3, 6:3; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 7:5, 6:4, 6:2; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6, 6:1, 6:1; **სტივ დარცისი (ბელ)**-მიკაელ ლოდრა (საფ, 22) 6:7, 6:3, 6:3, 6:3; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-მიშა ზვერევი (გერ) 7:6, 6:0, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-ბიორნ ფაუ (გერ) 4:6, 6:3, 7:5, 6:0; **ტომას შორელი (ჰოლ)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 7:6, 6:3, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ფლორან სერა (საფ) 6:4, 6:1, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4, 7:6; **სტეფან რობერი (საფ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6) 3:6, 3:6, 6:2, 6:2, 9:7; **მარსელ ილჰანი (თურ)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:4, 4:6, 7:6, 6:4; **მიხაეილ კუკუშკინი (ყაზ)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:2, 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 12)**-გო სოედა (იაპ) 7:5, 6:2, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 13)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 7:5, 6:3, 6:0; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 3:6, 7:6, 6:2; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 23)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:4, 6:4, 6:7, 7:6; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 25)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:7, 6:3, 7:5, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ბენუა პერი (საფ) 7:5, 4:6, 6:1, 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:2, 6:1, 6:3.

**ქალები**

**I წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:0, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-იუნრი ნამიგატა (იაპ) 6:1, 6:1; **სარა ერანი (იტა)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:7, 6:2, 9:7; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 28)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 6:3, 6:3; **ირინა-კამელია ბეგუ (რუმ)**-არავან რეზაი (საფ) 6:3, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-ანა ტატიშვილი (საქ) 1:6, 6:2, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)** -აგნეს შავაი (უნგ) 6:4, 4:6, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 3)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:3, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:0, 6:4; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 2:6, 6:3, 6:1; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-ნადია პეტროვა (რუს, 26) 6:7, 6:3, 6:4; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:3, 6:0; **შუაი პენგი (ჩინ, 29)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:3, 6:2; **ვესნა დოლონცი (რუს)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 3:6, 7:6, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:2, 6:0; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-სანდრა ზახვალოვა (ჩეხ) 6:4, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 9)**-გრეტა არნი (უნგ) 6:2, 6:1; **კაია კანეპი (ესტ, 16)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 7:5, 6:1; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-სტეფანი ფორეტც გაკონი (საფ) 7:6, 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა, 30)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:3, 3:6, 6:3; **ირინა ბრემონი (საფ)**-ევგენია როდინა (რუს) 6:3, 4:6, 8:6; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:3; **იუნ იან ჩანი (ტაივ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) 7:5, 6:1; **სანია მირზა (ინდ)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-პატრისია მეირი (ავსტრია) 6:1, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 7:6, 6:2; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 6:3, 4:6, 6:2.



სტეფან რობერი

ავტოსპორტი

# კიმიმ პიკაპიც მოსინჯა



კიმი ბოქსებში

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** ახალ სერიაში მოსინჯა ძალები. რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ფინელი ოკეანის გაღმა გაემგზავრა და შარლოტში ნასკარის სერიის ერთ-ერთ ეტაპში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო პიკაპებით რბოლა, რომელიც World Truck Series-ში შედის. სასტარტო ბილიკზე 36 მონაწილეს შორის კიმის 31-ე ადგილი ეკავა - სწორედ ეს პოზიცია მოიპოვა მან კვალიფიკაციაში, ორივე თავისუფალი პრაქტიკის დროს კი კიმის 30-ე შედეგი ჰქონდა.

უშუალოდ რბოლის დროს რაიკონენმა ერთხელ მეშვიდე ადგილს მიაღწია, მაგრამ საბურავების ცვეთის გამო იძულებული გახდა ბოქსებში შეეხვია. რესტარტის შემდეგ ფინელი მე-14 პოზიციაზე იმყოფებოდა, ბოლო პიტსტოპის შედეგად კი მე-18 ადგილამდე ჩამოქვეითდა. თუმცა უფრო წარმატებული სტრატეგიისა და კონკურენტებს შორის მომხდარი ინციდენტების წყალობით რაიკონენმა ფინიშზე მე-15 შედეგი აჩვენა.

*„რბოლა ძალიან საინტერესო გამოვიდა. აქ ჩემთვის ბევრი რამ ახალი იყო. მაგალითად, ყოველთვის, როცა შედეგის გაუმჯობესებას ვიწყებდი, რბოლა წყდებოდა და თავიდან მჭირდებოდა დრო ადაპტაციისთვის.*

*თავიდან ბარიერს შევეჯახე, შემდეგ კიდევ ერთხელ, უფრო ძლიერად. ისიც კი გავიფიქრე, რომ მანქანა სერიოზულად იყო დაზიანებული. პიტსტოპამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, საბურავების გახურება შევძელი, მაგრამ მანქანა ტრასიდან გადავარდნის შემდეგ ბოლომდე მწყობრში აღარ იყო. საერთოდ პიკაპის მართვა მოსახერხებელი ყოფილა, ცუდად არ გამოვიყურებოდი გრძელ დისტანციებზე, მანქანა კი სულ უფრო და უფრო მეტად მემორჩილებოდა.*

*იმაზე მეტი სიამოვნება მივიღე, ვიდრე ველოდი. რა თქმა უნდა, მერჩივნა უფრო მაღალი ადგილი დამეკავებინა, მაგრამ პრაქტიკებისა და კვალიფიკაციის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო, მაგრამ ის ფაქტი, რომ სერიოზული შეცდომები ავიცილე თავიდან, ძალიან მახარებს"*, - განაცხადა Autosport-თან კომენტარში რაიკონენმა.

ამბები

კალათბურთი

## მგლები რუბიოს თმობენ

საინტერესო ტრეიდს ამზადებენ „მინესოტა ტიმბერვულვზი" და „ინდიანა პეისერსი". ორი დღის წინ „მგლების" გენერალურმა მენეჯერმა **დევიდ კანმა** გამოაცხადა, რომ მზად არის გაცვალოს წლევანდელ დრაფტზე მეორე ნომრის არჩევის უფლება. ახლა, ამ წინადადებით „ინდიანას" პრეზიდენტი **ლარი ბერდი** დაინტერესდა.

როგორც ამერიკული პრესა წერს, „პეისერსი" მზად არის ამ გაცვლაში ჩართოს თავისი ერთ-ერთი ლიდერი - **დენი გრეინჯერი**, რაც შეეხება „მინესოტას", მან, შესაძლოა, ტრეიდისთვის გამოიყენოს მცველი **მაიკლ ბიზლი** და აგრეთვე უფლებები ესპანელ ვუნდერკინდ **რიკი რუბიოზე**.

თუმცა ამ მომენტისთვის მოსალოდნელი ტრეიდის სრული შემადგენლობა ცნობილი არ არის.

## შიშკაუსკასმა ნაკრები იუარა

მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდმა **რამუნას შიშკაუსკასმა** უარი შეუთვალა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადას გარასტასს**, რომელმაც კალათბურთელს ეროვნულ ნაკრებში კარიერის განახლება შესთავაზა. 32 წლის შიშკაუსკასმა 2008 წელს შეწყვიტა ეროვნულ გუნდში გამოსვლა და არ აპირებს სამი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას.

*„პეკინის ოლიმპიადის შემდეგ გამოვეთხოვე ეროვნულ გუნდს, მაგრამ მას შემდეგ უკვე მეორედ მთხოვენ ნაკრებში დაბრუნებას. შევიტყვე გარასტასის თხოვნის შესახებ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ არ ვაპირებ გადაწყვეტილების შეცვლას. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გულშემატკივრების თვალში, ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავედ გამოჩნდები. ცუდად ითამაშე - გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან, ნაკრებში კარიერა დაასრულე - ისევ უკმაყოფილება, ნაკრებში დაბრუნება არ მინდა - იგივე რეაქცია"*, - ამბობს შიშკაუსკასი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა